ISSN 1987-6890

ეკონომისტი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific –Analytical Journal

5

2 0 1 4

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ოქტომბერი
ნოემბერი
5
2014

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე.
საქ. მეც. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ლეო ჩიქავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, გივი ბედიანაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მეძვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, შანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:
ნანული არევაძე, თამილა არნანია-კეკულაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი გეჩბაია, მერაბ გველესიანი, შალვა გოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერძომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოდაშვილი, ნოდარ ხადური, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:
ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), გინდრა კასნაუსკიენე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), გალინა სავინა (უკრაინა), სლავომირ პარტიცკი (კოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).

თამარ დადიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

October
November

5

2014

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
Vladimer Papava, Avtandil Silagadze

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
Leo Chikava,

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:
Nanuli Arevadze, Tamila Arnania-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMSERS:
Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Galina Savina (Ukraine), Dmitri Sorokin (Russia).

Tamar Dadiani (executive secretary)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

ქრისტინა ვილჰელმ ბლაგოიჩევა – ბულგარეთის სახელმწიფო საპენსიო სისტემის ფინანსური მდგომარეობა **6**

მაკროეკონომიკა

გივი ბედიანაშვილი – ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი **12**

სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი – ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები **22**

თეა კასრაძე – საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი **33**

მარინა მუჩიაშვილი – ფისკალური რისკების გამოვლენა და მართვა **43**

ეკონომიკური თეორია

ვახტანგ ბურდული – ნეოინდუსტრიული განვითარება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პირობებში (თეორიული ასპექტი) **51**

როლანდ სარჩიმელია, მედეა მელაშვილი – ზოგიერთი ტერმინის განმარტება **73**

ტურიზმი

გაიოზ ნადირაშვილი, დავით ჯანგულაშვილი – საერთაშორისო ტურიზმის განვითარების რეგიონალური ტენდენციები **78**

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

ლაშა ლაბაძე – ინვესტიციების ეფექტების შეფასება ზოგადი წონასწორობის მოდელით საქართველოში **94**

სიახლე **105**

ინფორმაცია **111**

СОДЕРЖАНИЕ

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ

Кристина Вильгельм Благоичева – Финансовая устойчивость государственной пенсионной системы Болгарии **6**

МАКРОЭКОНОМИКА

Гиви Бедианашвили – Евросоюз и вопрос бенчмаркинга социально-экономического развития грузии: институциональный макросистемный аспект **12**

Слава Фетелава, Шалва Гогиашвили – Аспекты антимонопольного и отраслевого регулирования **22**

Теа Касрадзе – Инвестиционная среда в Грузии и внутренний инвестиционный потенциал страны **33**

Марина Мучиашвили – Источники финансових рисков и их управления **43**

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ

Вахтанг Бурдули – Неоиндустриальное развитие в условиях формирования инновационной экономики (теоретический аспект) **51**

Роланд Сарчимелия,Медеа Мелашвили – Определения некоторых терминов **73**

ТУРИЗМ

Гаиоз Надирашвили, Давид Джангулашвили – Региональные тенденции развития международного туризма **78**

НАУЧНЫЕ ТРУДЫ МАГИСТРАНТОВ И ДОКТОРАНТОВ

Лаша Лабадзе – Оценка влияния инвестиций в Грузии с модели общего равновесия **94**

НОВШЕСТВО **105**

ИНФОРМАЦИЯ **111**

C O N T E N T S

SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS

Hristina Vilhelm Blagoycheva – Finansial Sustainability of the Bulgarian Public Pension System **6**

MACROECONOMICS

Givi Bedianashvili – Europian Union and Question Benchmarking of Socioeconomic Development Georgia: Macroeconomic Systemic Aspect **12**

Slava Fetelava, Shalva Gogiashvili – Antimonopoly and Industry Regulation **22**

Tea Kasradze – Investment Environment in Georgia and Domestic Investment Potential of the Country **33**

Marina Muchiashvili – Sources of Fiscal Risks and Its Management **43**

ECONOMIC THEORY

Vakhtang Burduli – Neo-Industrial Development and the Formation of an Innovative Economy (Theoretical Aspekt) **51**

Rolan Sarchimelia, Medea Melashvili – Definition of Some Terms **73**

TOURISM

Gaioz Nadirashvili, David Jangulashvili – Regional Trends of International Tourism Development **78**

SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

Lasha Labadze – Assessing the Effects of Investments in Georgia with General Equilibrium Model **94**

INNOVATION **105**

INFORMATION **111**

Hristina Vilhelm Blagoycheva
Ph.D., Associated Professor of University of Economics (Varna, Bulgaria)

FINANSIAL SUSTAINABILITY OF THE BULGARIAN PUBLIC PENSION SYSTEM

Introduction

The aging of Europe's population poses serious challenges to governments with regard to the balancing of public pension systems and providing the necessary means of subsistence of the elderly now and in the future. Therefore in the last few decades, interest in the financial sustainability of pension systems has constituted the main reason for pension reforms in European countries [6] so that they can withstand the expected demographic changes.

The organization of a pension system can affect the operation of the related pension model, the supply of labor, the economic activity coefficient, etc. Therefore, frequent changes in the parameters, apart from the fact that they could create social tensions between working and contributing people and the beneficiaries of the system (the retired), they can also affect the delivery of the pension promises.

1. Challenges before the sustainability of the public pension systems

The question arises how to define sustainability. The difficulty stems from the fact that no precise definition has been formulated yet. The most cited definition of sustainability is the one put forward by the United Nations : "sustainable development is development, that meets the needs of the present, without compromising the ability of future generations to meet their own needs [9]. According to European commission there is no clear definition for sustainability, but it can be used for government's ability to service its own obligation through future revenues [7]. According to definition of Organization of Economic Co-operation and Development (OECD): „Fiscal policy can be thought of as a set of rules, as well, as an inherited level of debt. And a sustainable fiscal policy can be defined as a policy such that the ratio of debt to GNP eventually converges back to its initial level" [4 , 11]. The definition of the OECD can be interpreted in the following way: a pension system is sustainable when the established percentage of contributions is sufficient to finance the pensions paid and simultaneously the formed pension fund is constantly maintained at a reasonable level, depending on the size of the system. From here, however, we can go to a broader scope for discussion, depending on the perspective of the partners in the system. Contributors may consider it to be sustainable if the rules regarding the terms and amount of social security payments do not change, even if there are changes experienced by pensioners. On the other hand pensioners will consider it sustainable as long as they receive their expected pensions, even if it is associated with changes in the rules for the social security contributors. In both cases there is a risk that the system in its future development exerts an unexpected pressure on one or the other

group. It is exactly the reduction of the possibility of such unexpected events occurring in the future that forms the foundations of the idea of sustainability.

Studies have shown that public pension expenditure as a percentage of GDP endure almost constant increase [10] and with some exceptions, they are expected to continue to increase in the future (Figure 1) [8, 328] .



Figure 1. Public pension expenditure as % of GDP

Within the EU the share of public pension expenditure in relation to GDP varied widely in 2010- from 6.8 % (the Netherlands) to 15.3 % (Italy) with a EU average of 11.3% . Forecasts of the European Commission are that in 2060 the share of pension expenditure in the GDP in the EU27 would be 12.9% on average. In Denmark, Estonia, Italy, Latvia and Poland a decrease in the index is expected, the most significant (-3.8%) to be in Latvia. In all other countries an increase is forecast in the share of pension costs. The most significant increase is expected in Luxembourg (9.4 %), followed by Cyprus (8.8 %) and Slovenia (7.1 %). The most stable situation is expected in Portugal (an increase of only 0.2%) , France (0.5 %) and Sweden (0.6 %).

Pension costs are an important factor for the current, medium and long-term equilibrium of the social security budget and the public fiscal program. Therefore, sustainability is bound both with the balancing of revenues and the implementation of the pension promises and with the ratio between the socially insured (contributers) and pensioners (beneficiaries). Therefore, the measures carried out in the system must correct also the negative impact of population aging on its balance.

In 2012, pensioners in the EU were120 million or nearly 24% of the total population [5 , 4]. The forecasts of the European Commission are that by 2060 the share of the EU population aged over 65 is expected to increase to almost one third of the entire population [8, 299] . A relative measure to determine the size of the aging population is old-age dependency ratio - the ratio between the number of people over 65 and those of persons between 15 and 64. Studies of the European Commission show that in most European countries this ratio is low [8]. This means that a

significant proportion of adults, although not yet of retirement age, have already left the field of work. In this regard, the recommendations are related to events supporting employment and the continuation of active working life.

2. Problems before the sustainability of the Bulgarian public pension system

The sustainability of any public pension system depends on the extent to which it relies on the contributions and taxes accumulated by working people. The means of funding and eligibility conditions must be so organized as to achieve a balance both between contributions and pension rights, and between the number of contributors and those receiving pensions.

The balance of the Bulgarian pension system is negative. At present, it has a significant deficit to which the economic crisis largely contributes. Figure 2 shows the deficit of the Pensions fund after the 2000 pension reform.



Figure 2. Deficit of the Pensions fund, million BGN[1]

Data show that the Bulgarian public pension system cannot be considered stable. It is strongly dependent on the state budget, relying on subsidies from it. In addition, it should be taken into account that in 2009 the state joined as an insurer with an additional 12% contribution for each insured person which actually represents further state funding. Despite the government intervention the long-term actuarial balance[2] for the period 2006 – 2050 of the State Public Social Security as a whole remains negative for the whole period: from -14,5% in 2007 to –3,5% in 2031 (when the best situation will be attained according to the actuarial forecasts), back to –8% in 2050. [1, 9]. Until that moment the public pension insurance system has to mobilise all

[1] 1 bulgarian lev (BGN) = 0.511 €.

[2]The long-term actuarial balance is defined as the difference between the summary rate of income (the ratio between the current rate of revenue and current rate of contribution base for the period) over the years and the summary rate of cost (the ratio between the present value of costs for the period plus the present value of planned level of State Public Social Security funds for the period minus the present value of the initial level of State Public Social Security funds for the period and the present value of the contribution base over the respective period).

its available reserves and possibly to undergo more reforms in order to be most adequate to the increasing payments to pensioners.

The number of pensioners is the main factor that determines the amount of the cost of the pension system. In combination with the number of insured persons it gives an idea about the financial burden on workers related to the subsistence of those unable to work. The number of Bulgarian pensioners is a function of several factors: the low birth rate, the aging population and the relieved conditions of retirement before the reform.

However, to determine the financial sustainability of the public pension scheme, it would be more correct to explore the dependency ratio, expressed by the ratio between the number of pensioners and the number of insured persons. It is an important indicator of the system due to the expected aging and the changes in the demographic structure.

Since 2000, insured persons whose social security contributions maintain the pension system have been fewer than the pensioners. The dependency ratio, which was 74.34% in 1997 (ie 74 pensioners per 100 insured people), became 108.02% in 2002 (more pensioners than insured people). Since 2003, the number of insured persons has increased for the reasons mentioned above, while the number of pensioners has decreased. As a result, the ratio fell below 100 to reach 77.4% in 2010. However, the increased unemployment due to the economic crisis had an impact also in 2012, the ratio increased to 80.1%. [2, 178, 221; 3, 11]. The situation is influenced also by the substantial emigration of young people to other EU countries.

Currently the unused reserves to accumulate additional retirement resources are the unemployed, some adults (aged 15 - 64) who are out of work (as they are already receiving pension benefits) and those employed in the "gray" economy. In order for these reserves to be used, changes should be made not only in the pension system, but also in the overall regulatory environment (additional changes in tax legislation and the imposition of heavier penalties for established violations of the financial discipline).

Conclusion

One of the main aims of the Europe 2020 strategy is to achieve a target employment rate of 75% in the age group 20-64. This objective will result in a slower rate of increase in old-age dependency ratio. But the increase of the employment rate should not only be achieved among the adults group, but also among other groups traditionally characterized by lower levels of employment: women, migrants, people with disabilities, minorities, etc. It is obvious that besides following the strategy Bulgaria needs to do complementary reforms, since the financial crisis has delayed the addressing of the consequences of demographic changes and has highlighted the weaknesses in the current system organization. The slower economic growth, the budget deficit, the financial instability of the overall economy and the low employment definitely hamper the adequacy and sustainability of the Bulgarian pension system in relation to the implementation of the agreed rules. Therefore, it will be inevitable to take greater efforts to increase employment and labor productivity, to increase the legal retirement age and to introduce additional adjustments related to the rules for determining the cost. The challenges are significant, but can largely be overcome with a rapid response and implementation of appropriate action policies.

References

1. Митрева, Хр. (2006). *Демографските перспективи на населението в България за периода 2004-2050 г. и социалният статус на възрастните хора през призмата на пенсионната система*, Бюлетин на НОИ, бр. 3, 2006.
2. НОИ (2007), *Демография, икономика и социално осигуряване 1986-2006 г.*, Статистически справочник на Националния осигурителен институт. с. 178, 221.
3. НОИ (2013), *Статистически годишник. Пенсии 2012 г.*, С. 2013, с. 11.
4. Blanchard, O., Chouraqui, J., Hagemann, R., Sartor, N. (1990), *The Sustainability of Fiscal Policy: New Answers to an Old Question*, OECD Economic Studies 15: 7-36.
5. COM(2012) 55 final. *WHITE PAPER: An Agenda for Adequate, Safe and Sustainable Pensions*, Brussels: European Commission, 2012.
6. European commission (2010), *Towards Adequate, Sustainable and Safe European Pension Systems, Green Paper*, Luxembourg:Publications Office of the European Union.
7. The 2009 Ageing Report. *Economic and Budgetary Projections for the 27 EU Member States (2008-2060)*, European Economy 2/2009.
8. The 2012 Ageing Report. *Economic and Budgetary Projections for the 27 EU Member States (2010-2060)*, European Economy 2/2012.
9. United Nations (1987), *Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future*, Report transmitted to the General Assembly as an Annex to document A/42/427 – Development and International Co-operation: Environment, New York.
10. Whitehouse, E., D'Addio, A., Chomik, R., Reilly, A. (2009). *Two Decades of Pension Reform: What has been Achieved and What Remains to be Done?* in The Geneva Papers, 34(4), pp. 515-535.

Hristina Vilhelm Blagoycheva
Ph.D., Associated Professor of University of Economics (Varna, Bulgaria)

FINANSIAL SUSTAINABILITY OF THE BULGARIAN PUBLIC PENSION SYSTEM

Annotation

Public pension systems fulfill a long-term commitment - the subsistence of the adult population unable to work . In light of the demographic crisis, the lack of financial sustainability can lead to a future increased pressure on workers (social insurance and tax payers) or beneficiaries (pensioners). Therefore, it is necessary to constantly study and search measures both in order to achieve a balance whereby the rate of the social security contribution will be sufficient to finance the pensions paid and at the same time to maintain the established pension fund at a reasonable level depending on the size of the system.

ქრისტინა ვილჰელმ ბლაგოიჩევა
ეკონომიკის დოქტორი, ეკონომიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი (ვარნა, ბულგარეთი)

ბულგარეთის სახელმწიფო საპენსიო სისტემის ფინანსური მდგომარეობა

ანოტაცია

სახელმწიფო საპენსიო სისტემა ასრულებს გრძელვადიან ვალდებულებას – შრომის უუნარო მოზრდილი მოსახლეობის არსებობის საშუალებების უზრუნველყოფა. დემოგრაფიული კრიზისის შუქზე ფინანსური მდგომარეობის არარსებობას შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს გადასახადის გადამხდელების, ან ბენეფიციარების (პენსიონერები) ფინანსურ მდგომარეობაზე. ამიტომ აუცილებელია მუდმივი შესწავლა და საშუალებების გამონახვა რათა მიღწეულ იქნეს ბალანსი, როცა სოციალური დაზღვევის შენატანები საკმარისი იქნება პენსიების დასაფინანსებლად და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნება დადგენილი საპენსიო ფონდი გონივრულ ფარგლებში, რაც დამოკიდებული იქნება სისტემის გამართულობაზე.

Кристина Вильгельм Благоичева
Доктор экономики, Ассоциированный профессор института экономики (Варна, Болгария)

ФИНАНСОВАЯ УСТОЙЧИВОСТЬ ГОСУДАРСТВЕННОЙ ПЕНСИОННОЙ СИСТЕМЫ БОЛГАРИИ

Аннотация

Государственная пенсионная система выполняет долгосрочное обязательство – обеспечить прожиточный минимум для взрослого населения, неспособного работать. В свете демографического кризиса отсутствие финансовой устойчивости может привести к будущему трудному финансовому положению наоргоплательщиков и бенефициаров (пенсионеров). Поэтому, необходимо постоянное исследование и выявление средств для достижения баланса, когда вклады социального страхования будут достаточны для финансирования пенсии и тоже время для сохранения пенсионного фонда в разумных пределях.

მაკროეკონომიკა

გივი ბედიანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მიწვეული პროფესორი

ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი

საქართველოს ევროპული ორიენტაცია აქტუალურს ხდის ევროკავშირსა და ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის სისტემური და ეფექტიანი თანმიმდევრული ინსტიტუციური ინტეგრაციის უზრუნველყოფას [1] თვით ევროკავშირის დღევანდელი პრინციპული მოწყობის [2] თავისებურებათა გათვალისწინებით.

უმნიშვნელოვანესი საკითხი აქ ის არის, რომ ინსტიტუტების შექმნის (გარდაქმნის) პროცესი (ინსტიტუციონალიზაცია) იყოს არა მარტო სისტემური, არამედ ასევე მაქსიმალურად სინქრონული დინამიკაში (დროში). **გასათვალისწინებელია, რომ ინსტიტუციონალიზაცია შედეგად გულისხმობს სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლას რეგულირებული, მოსალოდნელი და პროგნოზირებადი ქცევით**. ამასთან, ამ პროცესში ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების პოზიციებიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიურად იგულისხმება რამდენიმე ლოგიკური და ურთიერთდაკავშირებული ეტაპი, როგორიცაა: **მოთხოვნილების წარმოშობა (გამოვლენა)**, რომელთა დაკმაყოფილებაც მოითხოვს ადამიანთა ერთობლივ ორგანიზებულ **(არა სპონტანურ)** მოქმედებას; **სტიქიური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების პროცესში ნორმებისა და წესების გაჩენა;** ამ **ნორმებისა და მათი ხელშეწყობისათვის დადგენილი სანქციების გამოყენება**; ინსტიტუტის ყველა წევრის მიმართ შესაბამისი **სტატუსებისა და როლების ჩამოყალიბება**; **ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების შექმნა**, რომლებიც **დაარეგულირებენ ინსტიტუტის ფუნქციონირებას**. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში წარმოებს ინსტიტუტების (პირველ რიგში ეკონომიკური ინსტიტუტების, მაგრამ არა მარტო) ადგილზე „გამოზრდა" და არა გარედან შემოტანა (იმპორტი) ე. წ. „ტრანსპლანტაცია" (ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსპლანტაციის შესახებ იხილე [4]). როგორც პოსტკომუნისტური პერიოდის ტრანსფორმაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, ინსტიტუტების სხვადასხვა ქვეყნებში იმპორტი, როდესაც იმპორტირებული ინსტიტუტი ყალიბდებოდა მრავალი წლის განმავლობაში და ეფექტიანად ფუნქციონირებდა

„იმპორტიორი" ქვეყნისაგან თვისებრივად განსხვავებულ გარემოში, ხშირ შემთხვევაში ვერ იძლევა სასურველ შედეგებს, რაც დაკავშირებულია მთელ რიგ მიზეზებთან (მათი კომპლექსური ანალიზი განხორციელებულია ნაშრომში [5], ხოლო ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კი გამოკვლეულია ნაშრომში [6], ამ მიმართებით საინტერესოა აგრეთვე ნაშრომები [7] და [8]).

ინსტიტუციონალიზაციის პრობლემატიკაში ფრიად მნიშვნელოვანად გვესახება ინსტიტუციური სტრუქტურის (ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და დინამიკის კომპლექსურობის უზრუნველყოფის მთავარი სტრუქტურული კომპონენტის [9]) განვითარების დონის ადეკვატური გაზომვა ინსტიტუტების ფორმირებისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის მონიტორინგის თვალსაზრისით, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში კონკრეტული ქვეყნის მგომარეობის განსაზღვრისათვის (ბენჩმარკინგისთვის).

ლოგიკურია, დაისვას საკითხი ევროკავშირის ბიზნესგარემოსთან, ასევე ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინსტიტუციური სტრუქტურების თავსებადობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ინსტიტუტების მექანიკური კოპირება ეფექტიანი არ არის ქვეყნისათვის. გამომდინარე სისტემური ინსტიტუციონალოზაციის ლოგიკიდან, პირველი ეტაპი უნდა იყოს მოთხოვნილებებისა და შესაბამისი პრობლემების გამოყოფა, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს სათანადო ინსტიტუციურ მიდგომას (მოწყობას). ამ მიმართებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, განვიხილოთ ის სფეროები, სადაც ადგილი აქვს ქვეყნის მნიშვნელოვან ჩამორჩენას, რაც არსებითად უშლის ხელს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოსთვის ბენჩმარკინგის მიზნით გამოვყოფთ შვეიცარიას (ევროპული ეფექტიანი ინსტიტუციური მოწყობის ქვეყანას, თუმცა ის არ არის ევროკავშირის წევრი), ფინეთს და ესტონეთს. ინსტიტუციური სტრუქტურის ეფექტიანობა, ვფიქრობთ, შეიძლება ირიბად გაიზომოს ქვეყნის მდგრადობის დონით ექსტრემალურ (კრიზისულ) პერიოდებში (საზოგადოდ, ინსტიტუტების გაზომვის შესახებ ეკონომიკური თეორიის ინსტრუმენტალით, საუბრობდა ადრე ჯერ კიდევ რ. მეტიუსი [10]). მართლაც, შვეიცარია გვაჩვენებს საკმაოდ კარგ დინამიკას 2008 წლის კრიზისის და მის შემდეგ პერიოდებში, თუმცა ესტონეთსაც აქვს კარგი მახასიათებლები უშუალოდ კრიზისიდან გამოსვლის ეტაპზე (გამოყენებულია სტატისტიკური მასალები [11]):



ნახ. 1. მშპ-ს წლიური ზრდის ტემპი პროცენტებში ადგილობრივი ვალუტის საბაზრო ფასებით

აქვე საინტერესოა დაისვას კითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური დინამიკის მდგრადობის ხარისხისთვის მისი ეკონომიკური განვითარების დონეს? საზოგადოდ, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი. ჩვენი აზრით, სწორედ ინსტიტუციური სტრუქტურის ეფექტიანობაა უფრო არსებითი.

რაც შეეხება ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცალკეული სფეროს განვითარების დონის იდენტიფიცირებას, ჩვენი აზრით, ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცნობილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index - GCI), რომელიც 2004-2005 წლიდან დაწყებული, ასახულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ მოხსენებაში. აღნიშნულ მოხსენებაში გადმოცემულია ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი ფაქტორების კვლევა. ამ სამუშაოში მონაწილე ექსპერტების მოსაზრებით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც გარკვეულად განსაზღვრავს შესაბამისი კონკრეტული სახელმწიფოს პროდუქტიულობის დონეს, როგორც შედეგი, მის მოქალაქეთა კეთიდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს [11].

როგორც ცნობილია, გლობალური კონკურენტუნარიანობის გამოკვლევა ეფუძნება 110-მდე სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორის ანალიზს და საბოლოო მოხსენება მზადდება თორმეტი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა საჯარო ინსტიტუტები (**Institutions**), ინფრასტრუქტურა (**Infrastructure**), მაკროეკონომიკური გარემო (**Macroeconomic environment**), ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება (**Health and primary education**), უმაღლესი განათლება და ტრენინგები (**Higher education and training**), სასაქონლო და შრომითი ბაზრების ეფექტიანობა (**Goods market efficiency; Labor market**

efficiency), ფინანსური ბაზრის განვითარებულობა (**Financial market development**), ტექნოლოგიური მზადყოფნა (**Technological readiness**), ბაზრის სიდიდე (**Market size**), ბიზნესის დახვეწილობა (**Business sophistication**) და ინოვაციები (**Innovation**). პირველი ოთხი მაჩვენებელი ასახავს ძირითად მოთხოვნებს (ბაზურ ფაქტორებს), შემდეგი ექვსი – ეფექტიანობის ზრდის (გაძლიერების) ფაქტორებს, ხოლო ბოლო ორი კი წარმოგვიდგენს ინოვაციებს და ბიზნესის დახვეწილობის ფაქტორებს. 2012-2013 წლის მონაცემებით (იხ.: [12]) საქართველოს შედარებითი მდგომარეობა გვიჩვენებს იმ სფეროებს, რომელთა უპირატესი განვითარებაც ალბათ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, იმ მოსაზრებით, რომ საქართველო ეტაპობრივად უნდა მიისწრაფოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოწყობის საუკეთესო ევროპული მოდელისაკენ:



ნახ. 2. საქართველო, შვეიცარია და ესტონეთი ცალკეული სფეროების განვითარების დონეთა მიხედვით 2012-2013 წწ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შესახებ მოხსენებაში (2014-2015) ასახულია ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება [13]:

საერთო რეიტინგში, გადმოინაცვლა რა 144 ქვეყანას შორის 72-ე ადგილიდან 69-ე ადგილზე (4.22 ქულით), საქართველომ გააუმჯობესა ზოგიერთი ისეთი მთავარი ლოკალური ინდიკატორი, როგორიცაა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემო; ჯანმრთელობის დაცვა და პირველადი განათლება; ბიზნესის განვითარება; საკუთრების უფლება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; სასამართლოს დამოუკიდებლობა; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა; მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალობა; ორგანიზებული კრიმინალის დონე (შემცირდა); პოლიციის მომსახურება; ინვესტორების მხარდაჭერის გაძლიერება;



ნახ. 3. საქართველოს ცალკეული სფეროების განვითარების დონეთა დინამიკა 2012-2013 წწ. და 2014-2015 წწ.

ინფრასტრუქტურის ხარისხი; ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე; სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა; საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი; ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სკოლებში; დანახარჯები (ფინანსური დაბანდებები) სოფლის მეურნეობაში; საბაჟო პროცედურების სიმძიმე; ნაწილობრივ გაუმჯობესებულია შრომის ანაზღაურება და ნაყოფიერება; ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; ბანკების სიმყარე; ასევე გაუმჯობესდა უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა (იხ. [13]). **თუმცა, კვლავ აქტუალურია ისეთი სფეროების ხელშეწყობა და არსებითი გაუმჯობესება, როგორიცაა უმაღლესი განათლება და ტრენინგები (3.89 ქულა - 92-ე ადგილით), ინოვაციური პოტენციალი (2.71 ქულა - 121-ე პოზიციით)** და **ბიზნესის დახვეწილობა (3.49 ქულა - 113-ე ადგილით).** ცხადია, **ეს ის სფეროებია, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას და მის პერსპექტივებს.**

რაც შეეხება უშუალოდ ინსტიტუციური სტრუქტურის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველმყოფ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით მთავარ ფაქტორს, მისი იდენტიფიცირება და მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, რომელიც გამოითვლება გაზეთ **Wall Street Journal** და კვლევითი ცენტრის **Heritage Foundation** მიერ 1995 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს ქვეყნების ჭრილში [14].

ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი მოიცავს რამდენიმე ათეულ მაჩვენებელს, კიდევ გაერთიანებულს შემდეგ 10 ჯგუფში: 1. ბიზნესის თავისუფლება; 2. ვაჭრობის თავისუფლება; 3. გადასახადების თავისუფლება; 4. თავისუფლება ხელისუფლებისაგან; 5. ფულადი თავისუფლება; 6. ინვესტიციური თავისუფლება; 7. ფინანსური თავისუფლება; 8. საკუთრების უფლებათა დაცვა; 9. თავისუფლება კორუფციისაგან; 10. შრომითი ურიერთობების თავისუფლება. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილია 4 გამსხვილებულ ჯგუფად: მართლწესრიგი (8;9), ხელისუფლების შეზღუდულობა (3; 4), რეგულირების ეფექტიანობა (1; 5; 10), ბაზრის გახსნილობა (2; 6; 7). ყოველი ზემოთ აღნიშნული ინდექსი, თავის მხრივ, იზომება 0-დან 100-მდე სკალაში. ამასთან, მნიშვნელობა 100 შეესაბამება მაქსიმალურ თავისუფლებას, ხოლო 0 – მინიმალურს. ზემოაღნიშნული ათიდან ყოველი ფაქტორი შედის თანაბარი წონით ინტეგრალურ ინდიკატორში (ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსში), რომელიც გაიანგარიშება როგორც მათი საშუალო არითმეტიკული. მისი მნიშვნელობების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების დონით იყოფა ხუთ შესაბამის ჯგუფად: თავისუფალი, დიაპაზონით 80-100; ძირითადში თავისუფალი, დიაპაზონით 70-79.9; ზომიერად თავისუფალი, დიაპაზონით 60-69.9; ძირითადში არათავისუფალი, დიაპაზონით 50-59.9 და დესპოტური, დიაპაზონით 0-49.9.

მიმდინარე 2014 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო მიეკუთვნება ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს, რეიტინგით 22-ე ადგილზე მსოფლიოში, ხოლო ევროპის 43 ქვეყანას შორის მას უკავია მე-12 ადგილი. ინტეგრალური ინდიკატორის მნიშვნელობით (72.6) კი იგი დგას ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა ფინეთი და გერმანია (73.4), შვედეთი (73.1), ლიტვა (73.0), ავსტრია, ისლანდია და იაპონია (72.4). გასათვალისწინებელია, რომ ინდიკატორის საშუალო მსოფლიო მნიშვნელობაა 60.3, ხოლო საშუალო ევროპული კი 67.1. ამრიგად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინტეგრალური მაჩვენებლის მიხედვით, საკმაოდ მაღალ დონეზეა ევროპასა და მსოფლიოში.

საქართველოს განვითარების დონის შედარებითი ანალიზისა და მისი მიზნობრივი ორიენტაციის განსაზღვრისთვის, მისი უშუალო მეზობლების აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის და თურქეთის გარდა, გამოვყოფთ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ესტონეთს (ევროკავშირის წევრს), ხოლო ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან (როგორც ზემოთ) შვეიცარიას, ასევე ევროკავშირის საშუალო დონეს (ციფრობრივი მონაცემები გამოყენებულია მასალებიდან [15]).

ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის მიმართებით საქართველოში წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა არასასურველად დაბალი დონე,

თუმცა ინსტიტუტების ცალკეული ქვესისტემები საკმაოდ მაღალი ტემპებით ვითარდებოდნენ:



ნახ. 4. ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის დონის დინამიკა საქართველოში

საორიენტაციო ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნებთან შედარებით 2014 წელს მომზადებული მონაცემებით საქართველოს მდგომარეობა პოზიტიურია, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება მათ ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური და ფინანსური თავისუფლების), ასევე მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვის და კორუფციისაგან თავისუფლების) განვითარებით:



ნახ. 5. საქართველოს შედარებითი მდგომარეობა ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის დონის მიხედვით

აღნიშნული ჩამორჩენის დაძლევა მოგვცემს საშუალებას, სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თანამედროვე ევროპული ტიპის ინსტიტუციური სტრუქტურის და უშუალოდ ევროკავშირის ბიზნესგარემოს პოტენციალი. გარკვეულ ღონისძიებათა

რეალიზაცია გათვალისწინებულია უკვე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგში [16], ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020) [17].

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.mfa.gov.ge.
2. http://europa.eu/index_en.htm
3. ბედიანაშვილი გ. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ინსტიტუტები და სისტემური ინსტიტუციონალიზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2014, გვ. 158-161.
4. Полтерович В. М. Трансплантация экономических институтов. «Экономическая наука современной России», 2001, No. 3.С.24 -50.
5. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიქსი. პაატა გუგუშვილის ეკონომკის ინსტიტუტი. თბილისი, 2011.
6. Papava V., Khaduri N. On the Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis Problems of Economic Transition. Vol. 40. No 6.
7. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფტუალური ანალიზი. თბილისი, სიახლე, 2014. გვ. 78-112.
8. თოქმაზიშვილი მ. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები: მოკლე მაკროეკონიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი. კავკასიის ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 1997.
9. Bedianashvili G. State, Power Structure and Socio-Economoc Reforming of Society. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba, 1995. P. 5.
10. Matthews R. The Economics of Institutions and Sources of Growth. Economic Jourtnal. 1986. Vol. 96. P.903-910.
11. The World Bank. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG/countries/EU-EE?display=graph
12. Global Competitiveness Index (GCI), Scores, 2004 – 2013. http://www.weforum.org/issues/global-competitiveness
13. The Global Competitiveness Report 2014d2015. http://www.weforum.org/issues/global-competitiveness

14. 2014 Index of Economic Freedom. http://www.heritage.org/index/
15. 2014 Index of Economic Freedom. Explore the Data. http://www.heritage.org/index/explore
16. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი http://www.mfa.gov.ge.
17. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. http://www.mof.ge

გივი ბედიანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიწვეული პროფესორი

ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი

ანოტაცია

განხილულია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების კონტექსტში ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურის მოდერნიზაციის საკითხები, მასთან დაკავშირებული ბენჩმარკინგის კონცეპტუალური და მეთოდური საკითხები. ინსტიტუციური განვითარების მონიტორინგის მიზნით ნაჩვენებია არსებული საერთაშორისო ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობები.

Гиви Бедианашвили
Тбилисский государтсвенный университет имени
Иване Джавахишвили, приглашенный профессор

ЕВРОСОЮЗ И ВОПРОС БЕНЧМАРКИНГА СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ: ИНСТИТУЦИОНАЛЬНЫЙ МАКРОСИСТЕМНЫЙ АСПЕКТ

Аннотация

В контексте соглашения об ассоцииации Грузии с Евросоюзом, расмотрены вопросы модернизации институциональной структуры социально-экономической системы страны, связанные с ней клнцептуальные и методичиские вопросы бенчмаркинга. С целю мониторинга институционального развития показаны возможности использования международных индикаторов.

Givi Bedianashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Visiting Professor

EUROPIAN UNION AND QUESTION BENCHMARKING OF SOCIOECONOMIC DEVELOPMENT GEORGIA: MACROECONOMIC SYSTEMIC ASPECT

Annotation

In the context of the Association Agreement Georgia with the EU, considered issues of modernization of the institutional structure of the socio-economic system of the country, related conceptual issues in benchmarking. With the purpose to monitor institutional development shows the possibility of using international indicators.

სლავა ფეტელავა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
შალვა გოგიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ამა თუ იმ ზომით, თითქმის ყველა დარგი განიცდის სახელმწიფო რეგულირებას, რომლის ფორმა (მეთოდები) და აღსრულების მექანიზმები შესაძლებელია განსხვავებული იყოს სახელმწიფოების მიხედვით, თუმცა, მათი მიზანი ერთი და იგივეა ყველგან. ამასთან, თუ საუბარია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის რეგულირებაზე, ცხადია, აქ, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები რეგულირების ის ფორმები, რომლებიც აღიარებული და შეცნობილია მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული სახელმწიფოს მიერ და რომელთა მიზანია ბაზრის ლიბერალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ნებისმიერ ქვეყანას გააჩნდეს გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომლის პრაქტიკაში რეალიზაციამ ხელი უნდა შეუშალოს კარტელების შექმნას და შეაჩეროს ეკონომიკურ აგენტთა შერწყმა და ისეთი სხვა ანტიკონკურენციული პროცესები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით აფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასევე, მსოფლიოს მასშტაბით რეგულირების ერთ-ერთ აპრობირებულ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის სფეროების რეგულირება კონკრეტული დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუტების (კომისიების) მეშვეობით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რეგულირების სასარგებლოდ წარმოდგენილი ძირითადი არგუმენტები არის შემდეგი სახის:

1. მონოპოლიური ძალაუფლების (დომინირებული მდგომარეობის) პრობლემა, რომლის შექმნისა და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვა ხორციელდება ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით;
2. გარეშე ეფექტები, რაც ქმნის გარემოს დაბინძურების დონის, მიწის გამოყენებაში შეზღუდვების, ტელემაუწყებლობაზე

კონტროლისა და სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობათა განხორციელების საფუძველს;

3. ინფორმაციის არასრულყოფილება – სრულყოფილი კონკურენციის მოდელი გულისხმობს, რომ მომხმარებლებიც და გამყიდველებიც ფლობენ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას საკუთარი ინტერესების დასაცავად. რეალურად კი ეს დაშვება არასდროს არ სრულდება და შესაბამისად მოითხოვს გარკვეული სამართლებრივი ზომების გატარებას.

თავის მხრივ, გადაწყვეტილება რეგულირების შესახებ პოლიტიკური საკითხია და, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, არცთუ იშვიათად, სახელმწიფო რეგულირებას ფართო მასშტაბით ადგილი აქვს იქაც, სადაც აშკარა არ არის ბაზრის ნაკლოვანებები. მეორე მხრივ, რეგულირების მექანიზმმა შეიძლება სუსტად იმუშაოს იქაც, სადაც სახელმწიფოს ჩარევა გამართლებულია. შესაბამისად, ცალკეული სახელმწიფოები მათი თავისებურებებისა და კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით წყვეტენ, თუ როგორი მარეგულირებელი ინსტიტუტები უნდა შექმნან და რა უნდა აკეთონ მათ.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკაში ფასები წარმოადგენს ძირითად გამანაწილებელ მექანიზმს და განაპირობებს, როგორც მომხმარებლის ალტერნატიულ არჩევანს, ისე რესურსების განაწილების პროპორციებს მწარმოებელთა შორის. ამასთან, ერთი მხრივ, სრულყოფილი კონკურენცია ოპტიმალურად ანაწილებს რესურსებს, თუმცა, მეორე მხრივ, ის მხოლოდ თეორიულ აბსტრაქციას წარმოადგენს და მას ვერსად ვერ ვხვდებით პრაქტიკაში. შესაბამისად, მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და „ბაზრის დეფექტებისაგან" საზოგადოების დაცვის აუცილებლობა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას განაპირობებს.

რეალურად, ყველა ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოები იქმნება ზემოხსენებული ერთი ან რამდენიმე პრობლემის გადასაწყვეტად. სხვა საკითხია, თუ პრაქტიკულად როგორ ახორციელებენ ისინი ბაზრის დეფექტების აღმოფხვრას. თავის მხრივ, ეკონომიკის რეგულირებას უძველესი ისტორია აქვს, მაგრამ ის ჩვენთვის საინტერესოა, განსაკუთრებით, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდიდან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს, კერძოდ 1887 წელს, აშშ-ში – ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროში ფედერალური რეგულაციების შემოღებით და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების შექმნით. მოგვიანებით, 1890 წელს მიღებულ იქნა ფედერალურ

დონეზე პირველი ანტიტრესტული კანონმდებლობა, ხოლო 1914 წელს შეიქმნა ფედერალური ვაჭრობის კომისია (იგივე ანტიმონოპოლიური ორგანო). ამასთან, იმავე პერიოდში ცალკეული შტატების დონეზე შეიქმნა ფასების მარეგულირებელი კომისიები (კომუნალური საწარმოებისათვის). რეგულირების მასშტაბები გაძლიერდა დიდი დეპრესიის დროს და კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დაიწყო ნავთობის, ბენზინის და სხვა თანმხლები პროდუქტების ფასების რეგულირება. რაც შეეხება სოციალურ რეგულირებას, მას საფუძველი ჩაეყარა 1906 წელს, როდესაც შეიქმნა კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის ადმინისტრაცია.

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში გაძლიერდა კრიტიკა ეკონომიკური და სოციალური რეგულირების საწინააღმდეგოდ. კრიტიკოსთა რისხვას იმსახურებდა რეგულირების დანახარჯები, რომელიც, მათი აზრით, მძიმე ტვირთად აწვებოდა საზოგადოებას. კრიტიკის ობიექტი იყო ასევე რეგულირების პრაქტიკაც, რაც, მათი აზრით, ხელს კი არ უწყობდა საბაზრო ნაკლოვანებების აღმოფხვრას, არამედ ქმნიდა საზოგადოებრივი თვალსაზრისით არაეფექტურობის ახალ წყაროებს. ამ პერიოდში რეგულირების საწინააღმდეგო მოძრაობას (დერეგულაციის მომხრეთა მოძრაობა) შედეგად მოჰყვა ის, რომ რეგულირების ბერკეტები შერბილდა და ნაწილობრივ რეგულირებას დაექვემდებარა ბანკები, რკინიგზა და სატელეფონო ქსელი. მთავრობამ შეწყვიტა ფასების დაწესება ნავთობზე, გაზზე, ბენზინზე, ასევე, უარი განაცხადა საავიაციო და ავტოსატრანსპორტო კომპანიების ტარიფების დაწესებაზე. თუმცა, ეს პროცესი ნაკლებად შეეხო სოციალურ სფეროს.

ეკონომიკური და სოციალური რეგულირების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარეგულირებელ ორგანოთა არსებობის მიზეზები განსხვავებულია ისევე, როგორც ის პოლიტიკური ძალები, რომლებზეც ისინი რეაგირებენ. კერძოდ, დარგის მარეგულირებელ ორგანოთა ფუნქციები მოიცავს შეზღუდვებს კონკრეტულ დარგში შესვლაზე და კონტროლს მომსახურების ფასებსა და ხარისხზე. ძირითად ეკონომიკურ საფუძველს კი ასეთი რეგულირებისათვის წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემები. თუმცა, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რეგულირებას ექვემდებარება მრავალი ისეთი დარგიც, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ ბუნებრივ მონოპოლიებთან. ამ უკანასკნელის მიზეზი, ბაზრის ნაკლოვანებებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად, შესაძლებელია აიხსნას საკმაოდ ცნობილი „დაპყრობის ჰიპოთეზით", რომლის თანახმადაც, მარეგულირებელი ინსტიტუტები იქმნებიან და ემსახურებიან იმ ეკონომიკურ აგენტ-

თა ინტერესებს, რომელთა რეგულირებისთვისაც ისინი არიან მოწოდებული. ამასთან, „დაპყრობის ჰიპოთეზა" ნაკლებად ვრცელდება სოციალური პროფილის რეგულირებაზე და ის ძირითადად დამახასიათებელია დარგობრივი რეგულირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების საერთო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომელსაც ექვემდებარება ყველა საბაზრო ძალა.

პოსტკომუნისტურ სივრცეში ანტიმონოპოლიური რეგულირება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ხორციელდება. რეგულირების პრინციპებისა და საფუძვლების იდენტურობის მიუხედავად, სახელმწიფოები ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარებისათვის ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა გზას ირჩევენ, რაც განპირობებულია სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკური ნებით და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გეგმიური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლების პარალელურად დაიწყეს მასიური პრივატიზების პროცესი, რომლის დროსაც დიდი იყო სახელმწიფო მონოპოლიების კერძო მონოპოლიებად გარდაქმნის და ახალი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნის ცდუნება. ამ პრობლემამ რეალური საფრთხე შეუქმნა ისედაც არამდგრად ეკონომიკურ სიტუაციას და სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე ნათლად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის, როგორც ამ პროცესის დამაბალანსებელი ძალის, როლი და მნიშვნელობა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ საწყის ეტაპზე სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით ანტიმონოპოლიური ორგანოების ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა მოდელი იქნა მიჩნეული ოპტიმალურად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მოგვიანებით, რეფორმის ეტაპობრივ განვითარებასთან ერთად, განხორციელდა მათი სტრუქტურული რეორგანიზაცია. იგივე პროცესები შეეხო როგორც მაღალგანვითარებულ (გაერთიანებული სამეფო, იაპონია), ისე შედარებით ნაკლებად განვითარებულ (საბერძნეთი, უნგრეთი, თურქეთი) ქვეყნებს. ამ ქვეყნებმა ინსტიტუციური მოწყობის დარგობრივ რეგულაციებს ამჯობინეს ანტიმონოპოლიური რეგულირების ცენტრალიზებული ვარიანტი და ამ გზით მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების შედარებით მაღალ დონეს.

ამასთან, დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში უმთავრეს მომენტს წარმოადგენს ამ დარგის საწარმოთა ტარიფების

რეგულირება. თუმცა, მათი როლი კონკრეტული დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში, სადაც ტრადიციულია ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების კომისიური მოწყობა, მკაცრადაა გამიჯნული უფლებამოსილებანი ინფრასტრუქტურის მარეგულირებელ კომისიებსა და ანტიმონოპოლიურ ორგანოებს შორის. შესაბამისად, მხოლოდ ფედერალური ვაჭრობის კომისიისა და იუსტიციის სამინისტროს ანტიტრასტული დეპარტამენტის განხილვის საგანს წარმოადგენს რეგულირების ისეთი უმნიშვნელოვანესი ასპექტები, როგორიცაა ეკონომიკურ აგენტთა შერწყმა და გაერთიანება.

საზოგადოდ, მარეგულირებელი ორგანოები მოწოდებული არიან, გაატარონ შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ✓ ბაზარზე შესვლის გაადვილება (სადაც ეს შესაძლებელია);
- ✓ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და ა.შ.

შესაბამისად, მარეგულირებელი ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგულირების რაციონალური ხერხის (ერთი ან რამდენიმე) შერჩევა, მათ შორის:

- ✓ ფასების რეგულირება ტარიფებზე მუდმივი კონტროლის ან ფასების ზღვრული დონის (ზედა) დაწესების გზით;
- ✓ მომსახურების ხარისხზე კონტროლი;
- ✓ დანადგარების ექსპერტიზა და კონტროლი და მათი მიერთება საერთო სარგებლობის ქსელებთან (ურთიერთჩართვები);
- ✓ ტექნიკურ და საოპერატორო ნორმების დაცვაზე კონტროლი.

მარეგულირებელ ორგანოთა პრაქტიკაში (როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს) ძირითადად რეგულირების შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

1. ზედამხედველობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად;
2. რეგულირება საოპერაციო დანახარჯების საფუძველზე;
3. მასტიმულირებელი რეგულირება.

პირველი მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ ანტიმონოპოლიურმა ორგანომ არ დაუშვას ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მდგომარეობის ბოროტად გამოყენებათა შესაძლო კონკრეტულ გამოვლინებებს კი წარმოადგენს ფასით დისკრიმინაცია, ასორტიმენტის თავს მოხვევა, არაგონივრული ფასის დაწესება, დეფიციტის შექმნა ფასის აწევის მიზნით და ა.შ.

მეორე მეთოდის თანახმად იქმნება მარეგულირებელი ორგანო, რომელიც აწესებს ფასებს (ტარიფებს) ან მათ ზღვრულ დონეს, ემყარება რა ამ პროცესში ფაქტობრივი დანახარჯების ანალიზს და მოგების ადეკვატური ნორმის უზრუნველყოფის პრინციპს.

მესამე შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო აწესებს ფასებს (ტარიფებს) რამდენიმე ფაქტორის (რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოს მიმდინარე და გაწეულ დანახარჯებთან) გათვალისწინებით.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ რეგულირების განსხვავებული სქემები შესაძლოა სხვადასხვა ხარისხით მისაღები აღმოჩნდეს სხვადასხვა დარგის, აგრეთვე დროის განსხვავებული მონაკვეთისათვის. ამდენად, კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია რეგულირებასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანზე. ამასთან, დროთა განმავლობაში, საბაზრო ცვლილებებთან ერთად, მიდგომები შესაძლოა შეიცვალოს.

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების პრაქტიკულ რეალიზაციას (ანტიმონოპოლიური და ინფრასტრუქტურის სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მიღება და ინსტიტუციური მოწყობა) საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან. კერძოდ, 1992 წელს იქნა მიღებული პირველი ქართული ანტიმონოპოლიური აქტი – „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" – სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის სახით, ხოლო მოგვიანებით, 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი, რის საფუძველზეც შეიქმნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (ლიკვიდირებულ იქნა 2005 წლის 19 აგვისტოს). ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს 2012 წლის კანონი, რომელშიც 2014 წლის მარტის ბოლოს შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (მათ შორის, შეიცვალა კანონის სახელწოდება და ის უკვე „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის სახელით მოქმედებს), რითაც ის დაუახლოვდა ევროკავშირის შესაბამის ნორმას. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის აღმასრულებელ ორგანოს 2014 წლის 14 აპრილიდან წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის სფეროს მარეგულირებელ ნორმათა მიღებას და შესაბამისი აღმასრულებელი კომისიების შექმნას, მას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. ამჟამად მოქმედებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი

გაზის შესახებ", „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" კანონები, რომელთა საფუძველზეც შექმნილია –1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და 2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კონკურენციის და ინფრასტრუქტურის სფეროების კანონმდებლობის სრულყოფილებასა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების (კონკურენციის სააგენტო და ეროვნული მარეგულირებელი კომისიები) ეფექტურ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი ხელშეწყობა და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Белов В., Обзор мировой практики регулирования естественных монополии, журнал ,,конкурент,, №9, 1995.
2. Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовская законодательство и экономика, Международный институт права, США, 1995.
3. Ордовер Д., Питман Р., Конкурентная политика для естественных монополии, Журнал для акционеров №1, 1993.
4. Разгуляев Ю., Практика регулирования естественных монополий в отдельных отраслях инфраструктуры, ж. ,,Конкурент,, №9, 1995.
5. Кэмпбелл Р. Макконнелл, Стэнли Л. Брю, Экономикс: Принципы, проблемыиполитика, М., ,,инфра-м", 1999.
6. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р., Экономика, М., ,,Дело", 1993.
7. Чепраков С., Пределы административного регулирования (из зарубежного опыта), Журнал для акционеров №1, 1993.
8. Regulation of Utilities & Monopolies: Effective Models for promoting Competition and consumer Protection in Market Economies, Washington, DC. December 4-5, 1995.
9. Scott H. Jacobs, Bulding Regulatory Institutions in Central and Eastern Europe, OECD, 15 December, 1996.
10. მსოფლიო ბანკისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით ინფრასტრუქტურის საკვანძო დარგებში კონკურენციისა და დარგობრივი რეგულირების საკითხებზე ორგანიზებული საერთაშორისო სემინარის მასალები, ბუდაპეშტი (უნგრეთი), 1994.
11. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი.

12. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს 2002 წლის 13 სექტემბრის კანონი.
13. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი.
14. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი (კოდიფიცირებული).
15. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი.
16. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი.
17. „საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 16 სექტემბრის დეკრეტი.

სლავა ფეტელავა
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
შალვა გოგიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგულირების როლი და მნიშვნელობა. მასშიკონკრეტულად საუბარია რეგულირების საერთო სისტემაში ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ადგილზე. აღნიშნულია, რომ მარეგულირებელ ორგანოთა პრაქტიკაში ძირითადად რეგულირების სამი მეთოდი გამოიყენება; პირველი (ზედამხედველობა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად) გულისხმობს, რომ ანტიმონოპოლიურმა ორგანომ არ დაუშვას ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; მეორე მეთოდის (რეგულირება საოპერაციო დანახარჯების საფუძველზე) თანახმად იქმნება მარეგულირებელი ორგანო, რომელიც აწესებს ფასებს (ტარიფებს) ან მათ ზღვრულ დონეს, ემყარება რა ამ პროცესში ფაქტიური დანახარჯების ანალიზს და მოგების ადექვატური ნორმის უზრუნველყოფის პრინციპს, ხოლო მესამე მეთოდის (მასტიმულირებელი რეგულირება) შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანო აწესებს ფასს

(ტარიფებს) რამდენიმე ფაქტორის (რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოს მიმდინარე და გაწეულ დანახარჯებთან) გათვალისწინებით. ხაზგასმულია, რომ რეგულირების განსხვავებული სქემები შესაძლოა სხვადასხვა ხარისხით მისაღები აღმოჩნდეს სხვადასხვა დარგის, აგრეთვე დროის განსხვავებული მონაკვეთისათვის. ამდენად, რეგულირებასთან მიმართებაში კონკრეტული მეთოდის არჩევა დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკის მიზანზე. ამასთან, დროთა განმავლობაში საბაზრო ცვლილებებთან ერთად მიდგომები შესაძლოა შეიცვალოს.

ნაშრომში ასევე მითითებულია ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ქართულ რეალობაზე და ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური კონკურენციის და ინფრასტრუქტურის სფეროების კანონმდებლობათა სრულყოფილებასა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების (კონკურენციის სააგენტო და ეროვნული მარეგულირებელი კომისიები) ეფექტურ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი განვითარების სტიმულირება.

Слава Фетелава
Профессор Грузинского университета
имени святого Андрея Первозванного Грузинского Патриархата,
Шалва Гогиашвили
Ассоц.профессор Тбилисского государственного университета
имени Иване Джавахишвили

АСПЕКТЫ АНТИМОНОПОЛЬНОГО И ОТРАСЛЕВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ

Аннотация

В работе рассмотрены роль и значение регулирования в условиях рыночной экономики. В ней конкретно показано место антимонопольного и отраслевого регулирования в системе общего регулирования. Отмечено, что в практике регулирующих органов применяются в основном три метода: первый (надзор в соответствий антимонопольного законодательства) означает, что антимонопольный орган не допускает злоупотребление положением экономического агента; согласно второго метода (регулирование на основе операционных расходов), создается регулирующий орган, который устанавливает цены (тарифы) или их предельные уровни, основываясь при этом на анализе фактических расходов и принципе обеспечения адекватной нормы прибили, а в случае третьего метода (стимулирующее регулирование) регулирующий орган

устанавливает цену(тариф) с учетом нескольких факторов(которые непосредственно свяэаны с осуществленными и текущими затратами производства). Подчеркнуто, что различные схемы регулпрования возможно окажутся приемлемыми для различных отраслей, а также для различные отрезки времени. Исходя из этого, выбор конкретного метода по отношению регулирования зависит от цели государственной политики. При этом, наряду с рыночными изменениями возможно изменятся и подходы.

В работе также отмечено о грузинской реальности антимонопольного и отраслевого регулирования; подчеркнуто, что от совершенства законодательств зкономической конкуренций и инфраструктурных сфер и от зффективной работы соответствующих испольнительных органов(агентство конкуренции и национальные регулирующие комиссии) во многом зависит ускорение процесса формирования рыночной экономики и стимулирование ее дальнейщего развития.

Slava Fetelava
The professor of St. Andrew
the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia,
Shalva Gogiashvili
The associate professor of
Tbilisi Ivane Javakhishvili State
University

ANTIMONOPOLY AND INDUSTRY REGULATION

Annotation

In this article there is discussed role and importance of regulation in terms of market economy. Specifically it concerns the place of antimonopoly and industry regulation in regulation overall system. There is mentioned that in practice of regulatory authorities basically three methods are used: first (regulation according to the antimonopoly legislation) means that antimonopoly authority should not allow economic agents to abuse dominance; According to the second method (regulation according to operational expenses) regulatory authority should be created. This authority will set prices (tariff) or marginal level and will be based on analysis of real costs in the process and principle of adequate income provision; In case of the third method (stimulating regulation) the regulatory authority sets price (tariff) according to the several factors (which are directly linked to the current and incurred expenses of the entity). There is underlined that different schemes of regulation with varying degrees can be appropriate in different fields, also for different period of time. Thus, selection of particular regulation method is depended on the aim of the state policy.

Moreover, as time passes and market conditions change, approach can also be changed.

In this article there is also indicated antimonopoly and industry regulation in frames of Georgian reality and is underlined that market economy formation process acceleration and further development stimulation is significantly depended on perfection of economic competition and infrastructure sphere legislation andneffective work of corresponding executive authorities (Competition Agency and United regulatory commissions).

თეა კასრაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. ამ ფაქტორების ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვ. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, შიდა დანაზოგის მაჩვენებელი, დასაქმების მაჩვენებელი, საგადასახდელო ბალანსი და სხვ.

თითოეული ჩამოთვლილთაგანი, სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ქმნის იმ გარემოს ქვეყნაში, რომელში ფუნქციონირებაც უწევს როგორც მოქმედ ადგილობრივ ბიზნესს, ისე იმ რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებსაც, რომელებიც გადაწყვეტენ საკუთარი კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყანაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინვესტირებისათვის ხელსაყრელ გარემოზე საქართველოში. ხაზს უსვამენ ბიზნესის დაწყებისათვის ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს, რაც, ძირითადად, კომპანიის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის და საბანკო ანგარიშების გახსნის პროცედურების სიმარტივეში, აგრეთვე, ხანგრძლივობაში (მოკლე ვადებში) გამოიხატება. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმართვის სიმარტივის რეიტინგში საქართველომ 2012 წლის მონაცემების მიხედვით 2005 წელს დაკავებული 120-ე ადგილიდან მე-12 ადგილზე გადაინაცვლა. 2014 წელს ეს მაჩვენებელი მცირედით გაუარესდა და მე-15 ადგილზე გადავინაცვლეთ (1) მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2013 წელს 16 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, მაშინ, როცა 2004 წელს ეს მაჩვენებელი 5 მლრდ აშშ დოლარი იყო. გაიზარდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ინვესტორებმა შეამჩნიეს ქვეყნის მზარდი საბაზრო შესაძლებლობები. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ 2008 წელს რეკორდულ 2015 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა ეს პროცესი საქართველოში 2008 წელს განვითარებული საომა-

რი მოქმედებებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო დამუხრუჭდა [2].



დღეს, საგადასახადო და საინვესტიციო კანონმდებლობაც, წინა წლებთან შედარებით, უფრო ლიბერალურია. 2012 წელს საგადასახადო ტვირთი საქართველოში დაახლოებით 25,5% იყო, რაც არ არის მაღალი მაჩვენებელი და ბიზნესისთვის მიმზიდველია (მაგალითად, შვედეთში იგი 60%-ს აღწევს).

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსი, შიდა ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია და ქვეყანა მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზე მიჯაჭვული რჩება.

სწორედ შიდა საინვესტიციო რესურსების სიმწირის გამომწვევ ზოგიერთ მნიშვნელოვან მიზეზზე მსურს გავამახვილო ყურადღება.

დავიწყოთ დანაზოგების მაჩვენებლებით, რადგან ინვესტიციების მთავარ შიდა წყაროს დანაზოგები წარმოადგენს. საქართველოში დღეს სამომხმარებლო ხარჯი საკმაოდ მაღალია. იგი მშპ-ს დაახლოებით 80%-ს შეადგენს. მსოფლიო განვითარების ინდექსის (WDI) მონაცემებით, 1990-იან წლებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი საშუალოდ 20%-ით გაიზარდა. 2004 წლიდან მოყოლებული, დანაზოგები შემცირების ტენ-

დენციით ხასიათდება. მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი – 2006-2007 წლებში, ადგილობრივი დანაზოგები 6-7%-ით შეიკვეცა. საქართველოში 2007–2012 წლებში მთლიანი დანაზოგები მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 0.46%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი სომხეთში 34.8% იყო, ხოლო აზერბაიჯანში – 19.9%, დაზოგვის ასეთი დაბალი ნორმა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფაქტობრივად მთლიან წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს მოვიხმართ, დანაზოგებზე კი სახსრები აღარ რჩება. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს დაზოგვის ნორმამ 4.9%, 2009 წელს კი 7.9% შეადგინა, ანუ საბოლოო მოხმარებამ აღნიშნულ წლებში წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს მნიშვნელოვნად გადააჭარბა [3].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო პერიოდის დანაზოგების სტატისტიკა საქართველოში ასე გამოიყურება:

დანაზოგების სტატისტიკა		
წელი	მლნ ლარი	მშპ %
2008	939,2	3
2009	1420,4	2
2010	34,4	10
2011	529,7	2,1

სამწუხაროდ, 2012 და 2013 წლების ანალოგიური მაჩვენებლების მოძიება ვერ მოხერხდა, თუმცა, სავარაუდოდ, დიდად გაუმჯობესებული არ უნდა იყოს. ამ მაჩვენებლებით საგრძნობლად ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს, მაგალითად: სინგაპურს, აზერბაიჯანს, რუსეთს, სომხეთს და ასე შემდეგ, რომელთა მთლიანი დანაზოგები, შესაბამისად, GDP-ის 46%, 46%, 28%, 19%-ია [4].

რაც არ უნდა დამზოგველები ვიყოთ, თუ მოსახლეობის შემოსავლები არ გაიზრდება, დანაზოგების ზრდა წარმოუდგენელია. საქართველოში ბოლო ოცი წელია სიღარიბე იზრდება. დღეს სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო ფლობს და იგი ეფუძნება საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას და მათ წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ამ მაჩვენებლით, სიღარიბის დონე საქართველოში 9-10%-ია. თუმცა სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის რიცხვში გაცილებით მეტი ადამიანი მოიაზრებს თავს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბია ადამიანი, რომლის შემოსავალი დღეში 1.25 დოლარზე ნაკლებია.

სიღარიბის დონე საქართველოში (მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით)

	1995	2000	2005	2009
დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით)	4	10	13	15

ე.ი. საქართველოს მოსახლეობის 15 პროცენტი დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს, მაშინ, როცა 2010 წლისთვის არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაში სიღარიბის ყველაზე უფრო დაბალი ზღვარის (1.25 დოლარი) ქვემოთ არ ცხოვრობს მოსახლეობის 2 პროცენტზე მეტი [2].

დანაზოგების სიმწირის პრობლემა მაკროდონეზეც დგას. საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2000 წელს 176,8 მლნ დოლარი იყო, 2011 წელს კი 1681,6 მლნ დოლარი შეადგინა. ქვეყნის ვალდებულებები (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მისი აქტივები, რის გამოც საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (ვალდებულებების და აქტივების თანაფარდობა) მკვეთრად არის გაუარესებული, თუ 2000 წელს საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 2168,7 მლნ დოლარი იყო, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 15.5 მლრდ დოლარამდე გაუარესდა, ანუ ქვეყანაში ელემენტარულად დაზოგვის წყარო არ არსებობს [4].



დღეს დაზოგვის წყაროს არარსებობაა ყველაზე დიდი პრობლემა ქართულ ეკონომიკაში. საჭიროა დანაზოგების სტიმულირებისათვის

სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი საბანკო სექტორში სპრედის (დეპოზიტის პროცენტსა და სესხის პროცენტს შორის სხვაობის) შემცირებაა. ეს მაჩვენებელი დღეს საქართველოში არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, რაც ამცირებს ჩვენს დანაზოგებს.

სპრედი (საშუალო განაკვეთი სესხზე- საშუალო განაკვეთი დეპოზიტზე) %				
ქვეყანა	2007	2008	2009	2010
საქართველო	10,9	10,9	15,2	15,0
სომხეთი	11,3	10,4	10,1	10,3
აზერბაიჯანი	7,6	7,5	7,8	9,1
ბულგარეთი	6,3	6,4	5,2	7,1
ჩეხეთი	4,5	4,6	4,7	4,8
ესტონეთი	2,1	2,8	4,6	6,7
ლატვია	4,8	5,5	8,2	7,7
მოლდოვა	3,8	3,1	5,6	8,7
რუმინეთი	6,6	5,5	5,3	6,8
რუსეთი	4,9	6,5	6,7	4,8
შვეიცარია	1,0	3,2	2,7	2,7
უკრაინა	5,8	7,5	7,1	5,3

საქართველოში საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე კვლავ მაღალი რჩება, მაშინ როდესაც დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთიები ბოლო პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კრედიტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ბიზნესის დასაწყებად, ისე მისი გაფართოებისათვის. დეპოზიტებზე თანხის განთავსება არის მოსახლეობისათვის დანაზოგების ინვესტირების პრაქტიკულად ერთადერთი გზა, რადგან ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს საფონდო ბირჟა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი რესურსების მობილიზებას და საჭიროებისამებრ გადანაწილებას. დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის სიმცირის გამო მოსახლეობას ურჩევნია, მთლიანად მოიხმაროს შემოსავლები, ვიდრე დეპოზიტებში მოახდინოს ინვესტირება.

აღნიშნულმა პრობლემამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020"-შიც პოვა ასახვა. სტრატეგიით, ქვეყნის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ ადგილობრივი დანაზოგების ზრდა განიხილება. საპროგნოზო მაჩვენებ-

ლების მიხედვით, 2020 წლისთვის შიდა დანაზოგების პროცენტული მოცულობა მშპ-სთან საბაზისო 2.5%-დან 17%-მდე უნდა გაიზარდოს [5].

სტრატეგიის თანახმად, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის წახალისება იგეგმება გრძელვადიანი დანაზოგების ინსტრუმენტების ჩამოყალიბების ხელშეწყობით, რასაც დიდად დაეხმარება დაგეგმილი საპენსიო რეფორმაც, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას. იგი ხელს შეუწყობს გრძელვადიანი დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში, შექმნის დამატებით წყაროს გრძელვადიანი ინვესტირებისთვის.

სტრატეგიაში საუბარია კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობაზეც საინვესტიციო რესურსების ზრდაში, აგრეთვე საინვესტიციო კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობაზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას.

ქვეყანაში შიდა საინვესტიციო რესურსების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის მოიაზრება აგრეთვე:

- უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი გადაულახავ ბარიერად რჩება სიღარიბის პრობლემის დაძლევის გზაზე. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უმუშევრობის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია [6].

ქვეყნები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
სომხეთი	9.6	8.2	7.5	7.0	6.3	6.8	7.0	7.0
აზერბაიჯანი	8.4	7.6	6.8	6.5	6.1	6.0	6.0	6.0
ბელორუსი	1.9	1.5	1.2	1.0	0.8	0.9	0.7	0.7
საქართველო	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	16.2
ყაზახეთი	8.4	8.1	7.8	7.3	6.6	6.6	5.8	5.7
ყირგიზეთი	8.5	8.1	8.3	8.2	8.2	8.4	9.3	8.4
ლატვია	10.6	8.8	7.0	6.2	7.8	17.3	19.0	16.1
ლიტვა	11.4	8.3	5.6	4.	5.8	13.7	17.8	15.5
მოლდოვა	8.1	7.3	7.4	5.1	4.0	6.4	7.4	7.3
რუსეთი	8.2	7.6	7.2	6.1	6.4	8.4	7.5	7.3
უკრაინა	8.6	7.2	6.8	6.4	6.4	8.8	8.1	7.8
უზბეკეთი	0.4	0.3	0.2	0.2	0.1	0.2	0.2	0.2

- საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის მოუწესრიგებლობა;
- ანტიმონოპოლიური სტრუქტურის არარსებობა;

- პრობლემაა აგრეთვე საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, რაც ინვესტორს გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებას არ აძლევს.

ამრიგად, თუ გვინდა, მომდევნო ათწლეულში მაღალ ეკონომიკურ ზრდას ჰქონდეს ადგილი, უცხოური კაპიტალის მოზიდვის პარალელურად, მასზე დამოკიდებულება უნდა შევამციროთ შიდა საინვესტიციო პოტენციალის განვითარების გზით. ამის ერთ-ერთი გზა კი დანაზოგების ზრდის სტიმულირებაცაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.doingbusiness.org/rankings
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
3. დანაზოგების პროცენტული მიმართება GD -სთან საქართველოში ყველაზე დაბალია http://bfm.ge/index.php?newsid=3670#.VH8uYTGUdbw)
4. გაზეთი "ბანკები და ფინანსები" http://bfm.ge/index.php?newsid=3941#.VHy9PTGUdbw
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია "საქართველო 2020" (პროექტი), http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64
6. International Monetary Fund, World Economic Outlook Database, September 2011; http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2011/01/weodata/index.aspx

თეა კასრაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი

ანოტაცია

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. ამ ფაქტორების ქვეშ უპირველეს ყოვლისა მოიაზრება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვ. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, შიდა დანაზოგის და დასაქმების მაჩვენებლები, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა და სხვ.

თითოეული ჩამოთვლილთაგანი სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ქმნის იმ გარემოს ქვეყნაში, რომელში ფუნქციონირებაც უწევს როგორც მოქმედ ადგილობრივ ბიზნესს, ისე იმ რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებსაც, რომელებიც გადაწყვეტენ საკუთარი კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყანაში.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინვესტირებისათვის ხელსაყრელ გარემოზე საქართველოში. გამარტივდა ბიზნესის დაწყების ადმინისტრაციული პროცედურები. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმართვის სიმარტივის რეიტინგში საქართველომ 2012 წლის მონაცემების მიხედვით 2005 წელს დაკავებული 120–ე ადგილიდან მე–12 ადგილზე გადაინაცვლა. 2014 წელს ეს მაჩვენებელი მცირედით გაუარესდა და მე-15 ადგილზე გადავინაცვლეთ. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2013 წელს 16 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, მაშინ როცა 2004 წელს ეს მაჩვენებელი 5 მლრდ აშშ დოლარი იყო. გაიზარდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება. საგადასახადო და საინვესტიციო კანონმდებლობაც წინა წლებთან შედარებით უფრო ლიბერალურია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსი, შიდა ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია და ქვეყანა მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზე მიჯაჭვული რჩება.

სწორედ შიდა საინვესტიციო რესურსების სიმწირის გამომწვევ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტორზეა საუბარი ნაშრომში. განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული დანაზოგების სიმწირის პრობლემაზე, მის გამომწვევ მიზეზებზე და სტიმულირების ნაბიჯებზე.

ქვეყანაში შიდა საინვესტიციო რესურსების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის დანაზოგების სიმწირესთან ერთად მოაზრებულია აგრეთვე ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონე; უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი; საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის მოუწესრიგებლობა; ანტიმონოპოლიური სტრუქტურის არარსებობა; აგრეთვე საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, რაც ინვესტორს გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებას არ აძლევს.

Теа Касрадзе

Доктор экономики, ассоцированный профессор

ИНВЕСТИЦИОННАЯ СРЕДА В ГРУЗИИ И ВНУТРЕННИЙ ИНВЕСТИЦИОННЫЙ ПОТЕНЦИАЛ СТРАНЫ

Аннотация

Инвестиционная среда является совокупностью факторов, оказывающих влияние на инвесторов при принятии ими решений об инвестировании. Под данными фактами в первую очередь подразумевается политическая стабильность страны, инвестиционная и налоговая политика, криминогенная ситуация и уровень коррупции в стране, законодательная база и свободная судебная власть, простота ведения бизнеса и др. Параллельно с указанными фактами, большим значением обладает и состояние таких экономических показателей, как валовой внутренний продукт, инфляция, показатели внутренних сбережений и трудоустройства, состояние платежного баланса и т.д.

Каждых из перечисленных, в совокупности с другими, менее значительными факторами, создает в стране среду, в которой приходится функционировать как действующему местному бизнесу, так и резидентским и нерезидентским субъектам, решившим вложить собственный капитал в этой стране.

Сегодня многие говорят о выгодной для инвестирования среде в Грузии. Упрощены административные процедуры по началу бизнеса. По данным Всемирного Банка за 2014 год, Грузия с занимаемого ею в 2005 году 120-го места в рейтинге простоты ведения бизнеса, переместилась на 15 место. Объем валового внутреннего продукта в 2012 году увеличился до 16 млрд. долларов США, тогда как в 2004 году данный показатель составлял 5 млрд. долларов США. Вырос уровень притока иностранных инвестиций. Налоговое и инвестиционное законодательство по сравнению с предыдущими годами более либерально. Несмотря на более-менее стабильную и экономическую ситуацию в стране, показатель объема внутренних инвестиций все равно очень низкий и страна будет полностью привязана к иностранным инвестициям.

Именно о некоторых значимых факторах, вызывающих скудность внутренних инвестиционных ресурсов и говорится в работе. Особые акценты сделаны на проблемах скудности сбережений, вызывающих их причинах и стимулирующих шагах.

Среди факторов, препятствующих внутренним инвестиционным ресурсам, наряду со скудностью, считается так же и высокий уровень нищеты в стране; высокий показатель уровня безработицы; проблемы, связанные с защитой прав собственности; неупорядоченность в сфере свободной торговли и конкуренции; не наличие антимонопольной структуры; а также частые

изменения в Налоговом Кодексе, которые не дают инвестору возможность долгосрочного планирования.

Tea Kasradze
Doctor of Economics, Associated Professor

INVESTMENT ENVIRONMENT IN GEORGIA AND DOMESTIC INVESTMENT POTENTIAL OF THE COUNTRY

Annotation

Investment environment is the set of factors that influences the investors' decision to invest. A country's political stability, investment and tax policies, crime-rate, corruption level, legislative framework, independent judiciary, access to businesses etc are supposed under those factors. Along with the above factors high importance is attached to such economic indicators as gross domestic product, inflation, domestic savings, employment, international balance of payment etc.

Each of these factors along with others of less importance creates the environment in which local businesses as well as resident and non-resident actors investing in the country have to operate.

The investment-friendly environment in Georgia is rather topical nowadays. The administrative rules for starting business have been simplified. According to 2014 data, in the World Bank Group ranking on ease of doing business Georgia has moved up from 120th rank of 2005 to 15th rank. In 2013, GDP has been increased up to 16 billion USD, whereas in 2004 it amounted to 5 billion USD. There was raise in foreign investments. Compared to the previous years tax and investment legislation is more liberal too. Despite more or less stable political and economic situation in the country the domestic investment is still very low and Georgia remains hinging entirely on foreign investments.

The present article discusses certain primary factors causing the shortage of domestic investment resources. Particular emphasis is made on the shortage savings, its causes and incentive measures.

Along with the shortage of savings the high level of poverty is another factor obstructing domestic investment resources; so are the high indicators of unemployment and the problems related to the violation of the right to property, unorganised free trade and competition, the lack of antimonopoly structure and frequent amendment of the tax legislation preventing investors from long-term planning.

მარინა მუჩიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ფისკალური რისკების გამოვლენა და მართვა

ფისკალური რისკები განისაზღვრება, როგორც ფისკალური შედეგების ბიუჯეტით ან სხვა სახის პროგნოზებით განსაზღვრული შედეგებიდან შესაძლო გადახრა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს მაკროეკონომიკური შოკებით ან/ და პირობითი ვალდებულებების რეალიზაციის მოთხოვნით. ფისკალური რისკების წყარო შესაძლოა იყოს სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადების წინასწარ გაუთვალისწინებელი ცვლილება. მაგალითად, ფისკალურ სტაბილურობაზე ხშირად ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსის დაცემა. ასევე,მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთი მხრივ ბანკების მიმართ, საბანკო კრიზისების დროს, ასევე, მეორე მხრივ, სახელმწიფო სექტორის სხვა ნაწილების ან/და კერძო სექტორის ზოგიერთი სააგენტოს მიმართ პირობითი ვალდებულებების წარმოშობა.

ფისკალური რისკის წყარო შეიძლება იყოს შოკები, რომლებიც ზემოქმედებენ ისეთი სახის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპი, სასაქონლო ფასები, საპროცენტო განაკვეთი ან გაცვლითი კურსი; ასევე, სხვადასხვა სახის პირობითი ვალდებულებების შესრულებაზე წარმოშობილი მოთხოვნები, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს, პირველი, ცხადი სახის ვალდებულებებად – რაც განსაზღვრულია კანონით ან კონტრაქტით (მაგალითად, ვალის გარანტიები), ან, მეორე, არაცხად ვალდებულებებად, რომლებიც ეფუძნება საზოგადოების მოლოდინებს ან ზეწოლას (მაგალითად, ბანკების ან სახელმწიფო სექტორის საწარმოების გაკოტრების თავიდან აცილების მოთხოვნა).

ფისკალური რისკები განსხვავებული სახისაა და გამოვლენისა და შესაბამისად, მართვის თვალსაზრისითაც მოითხოვს სხვადასხვა ზომისა და დროის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით (მოკლევადიან ან გრძელვადიან) ზემოქმედებას. **კერძოდ, დროის მიხედვით რეაგირება შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი.** მაგალითად, დიდი მოცულობის ფისკალური დეფიციტი, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული სიდიდის დროებითი შემცირებით, მოითხოვს ავტომატური სტაბილიზატორების დროებით ამუშავებას. ფისკალურ მდგრადობაზე ხანგრძლივად ზემოქმედ მუდმივ შოკებს კი უფრო ძლიერი ზეგავლენა აქვთ ფისკალურ სტაბილურობაზე და, შესაბამისად, ისინი საჭიროებენ გრძელვადიან რეგულირებას.**ზემოქმედების ზომის დასადგენად მნიშვნელოვანია შოკებს შორის არსებული კავშირების დადგენა.** თუ ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი შოკები ერთმანეთს აბათილებს, მაშინ მათზე მცირე ზომის რეაგირებაა საჭირო. ერთმანეთთან დაკავშირებული შოკების ან

ერთმანეთის გამაძლიერებელი შოკების შემთხვევაში კი (მაგალითად, ერთდროულად გაცვლითი კურსის ცვლილება, ვალის ცვლილება და საბანკო კრიზისი) უარყოფითი ფისკალური ზეგავლენის შესუსტება მოითხოვს არსებითი ხასიათის რეაგირებას.

რხევების გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია **პროგნოზირების სიზუსტე.** ფისკალური შედეგების გადახრამ მოსალოდნელი (პროგნოზირებული) სიდიდეებიდან, შეიძლება ასახოს პროგნოზირების სუსტი მხარეები (მაგალითად, ბიუჯეტის შედგენის დროს წინასწარ შემუშავებული შემოსავლების მეტისმეტად ოპტიმისტური პროგნოზები საკანონმდებლო ორგანოს მიერ ამბიციური ხარჯვითი გეგმის დამტკიცებისათვის ხელშეწყობის მიზნით). შესაბამისად, ზუსტი პროგნოზების შემუშავების როლი ფისკალური რისკების თავიდან აცილების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია.

რისკების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების გამოსახვა რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ფისკალური რისკების შეფასების სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის – რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი – მაჩვენებლებით არის ისინი გამოსახული. რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოსახვა ჩვეულებრივ უფრო იოლია მაკროეკონომიკური რისკებისათვის და ცხადი გარანტიებისათვის (რომელიც მოიცავს საკონტრაქტო პირობებს და მოცულობებს), ვიდრე არაცხადი გარანტიებისათვის.

რისკებზე რეაგირების დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების მგრძნობელობა. ძირითადი ფისკალური რისკები ხშირად უკავშირდება იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფო პოლიტიკის მოლოდინები საჭიროებს სიფრთხილით მართვას. მაგალითად, რეაგირების თვალსაზრისით ძალიან მგრძნობიარე თემაა საბანკო სისტემის პრობლემები ან ზედმეტად გამყარებული გაცვლითი კურსები.

ფისკალური რისკების იდენტიფიცირებას გასაჯაროებასა და მართვას საბიუჯეტო პროცესის რეგულირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ფისკალური რისკის შემცირება იწყება კარგად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ვალის მართვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებით. კარგად გააზრებული პოლიტიკა საშუალებას იძლევა შეფასდეს ის კანონპროექტები, რომლებიც ახალ რიკებს იწვევენ. შესაბამისად, ხდება იმის დასაბუთება, თუ რამდენადაა გამართლებული მათი მიღება. ფისკალური რისკების შერბილება უნდა მოხდეს იმ შეფასებების საფუძველზე, თუ რომელ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია რისკის მართვის საუკეთესო უნარი და სტიმულები და ვის უკავია რისკის ტარების ტვირთის სხვასთან გაზიარების თვალსაზრისით საუკეთესო პოზიცია. რისკის შერბილების შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, კორელაციაშია ეს რის-

კები ერთმანეთთან და მათი ერთობლივი ზემოქმედება აძლიერებს შოკს, თუ ისინი ერთმანეთს აბათილებენ.

განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხელს უწყობს რისკების მართვას, ამაღლებს ფინანსების ეფექტური გამოყენების დონეს და ამცირებს ფისკალური რისკების თავიდან ასაცილებლად საჭირო სესხების მოცულობას. მაშასადამე, ფისკალური რისკების გასაჯაროება რისკების კარგად შეფასებისა და გაცნობიერების საშუალებას იძლევა. ასევე, გამჭვირვალობა ხელს უწყობს სწორი პოლიტიკის ადრეულ ეტაპზე შემუშავებასა და პრობლემებზე დროულ და უმტკივნეულო რეაგირებასაც. ამასთან, ის აძლიერებს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას რისკის მართვაზე.

ფისკალურ რისკებზე ინფორმაციის გასაჯაროება ანალიზს დამატებით სიღრმეებს ანიჭებს და უზრუნველყოფს რისკების სრულად შეფასებასა და ოფიციალურად აღიარებას. გამჭვირვალობა ხელს უწყობს ასევე, ადრეულ და თანმიმდევრულ პოლიტიკურ რეაგირებას. ის განამტკიცებს რისკის მართვაზე პასუხისმგებლობას და აუმჯობესებს სახელმწიფოს მიერ რისკის თავის თავზე აღების გადაწყვეტილების ხარისხს. მაშინაც კი, როცა წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯები მაკროეკონომიკური თვალსაზრისით გულისხმობს დაბალ რისკს – ან იმის გამო, რომ მცირე ზომისაა ან არ არის ერთმანეთთან კორელაციაში – გასაჯაროება იწვევს დანახარჯების ეფექტიანობის უფრო ყურადღებით შეფასებას და არაცხადი სუბსიდიების გულმოდგინედ შესწავლასა და კონტროლს.

ამ სფეროში ჩატარებული კვლევები[3] გვიჩვენებს, რომ ფისკალური გამჭვირვალობა ასოცირდება უკეთეს საკრედიტო რეიტინგსა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებთან ხელმისაწვდომობასთან. უფრო მეტიც, დადგინდა, რომ ფისკალური გამჭვირვალობა სტიმულს აძლევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

მსოფლიოში შეინიშნება ფისკალური ინფორმაციის გასაჯაროების ტენდენციები, რაც გამოწვეულია რისკების გასაჯაროებაზე საერთაშორისო საბუღალტრო და სტატისტიკური სტანდარტების მოთხოვნების ზრდითა და სხვადასხვა ქვეყანაში ფისკალური ვალდებულებებისა და საჯარო ფინანსების მართვის კანონმდებლობის დამტკიცებით, რაც აუმჯობესებს გასაჯაროებას ამ სტანდარტების მიხედვით; ასევე, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის ისეთი ახალი ინიციატივები, როგორიცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური გამჭვირვალობის უკეთესი პრაქტიკის კოდი და წელიდწლეული"(2001, 2007), და ეკონომიკური თანამშრომლობისა და კოოპერირების ორგანიზაციის – „საბიუჯეტო გამჭვირვალობის საუკე-

[3]IMF, **Fiscal Risks, Sources, Disclosure, and Management**, Prepared by the Fiscal Affairs Department, Approved by Teresa Ter-Minassian, May 21, 2008.

თესო პრაქტიკა"(2001) – დებულებები. ამ ახალი ინიციატივების მოთხოვნების შესაბამისად ბიუჯეტის ნახევარწლიურ და წლიურ ანგარიშებში მოცემული უნდა იყოს ძირითადი რისკები, ასევე, ანგარიშები, რომლებიც გვიჩვენებენ პირობითი ვალდებულებების ბუნებასა და შესაბამისი პოლიტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და გათვალისწინებულ ბენეფიციარებს, მიღებულ საგარანტიო შენატანებს, სახელმწიფოსთან შეხებას სრულად და იქ, სადაც შესაძლებელია, პოტენციური საბიუჯეტო დანახარჯების შეფასებას.

ფისკალური გამჭვირვალობის ინდიკატორები მუშავდება „სტანდარტებისა და კოდების მოხსნების ფისკალური გამჭვირვალობის მოდულის" მიხედვით. „ყოვლისმომცველი ფისკალური გამჭვირვალობა" ფისკალური გამჭვირვალობის უკეთესი პრაქტიკის 20 მახასიათებელს ემყარება. უფრო ვიწრო საზომი (ფისკალური რისკის საზომი) კი საბიუჯეტო დოკუმენტაციაში პირობითი ვალდებულებების, კვაზიფისკალური საქმიანობებისა და სხვა სახის ფისკალური რისკების გასაჯაროებას ემყარება. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აგებული ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ცვლადები პოზიტიურ კავშირშია სუვერენულ რეიტინგებთან (რომელზეც ზეგავლენას ახდენს მოსახლების ერთ სულზე შემოსავლი, ინფლაცია, დეფოლტის ისტორია და პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა სახის მაჩვენებლები). ამ ორივე ცვლადზე ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით და მათ შორის კავშირის შესწავლის შედეგად მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყანებმა, რომლებმაც მაკროფისკალური რისკების, პირობითი ვალდებულებების ან კვაზიფისკალური ვალდებულებების დაფარვიდან, ყველა ამ კომპონენტის მიხედვით, რაღაც დონით შეიცვალეს პოზიცია ინფორმაციის გასაჯაროების მიმართულებით, საშუალოდ ერთი დონით მაინც გაიუმჯობესეს საკრედიტო რეიტინგები (მაგალითად, მუდის რეიტინგის მიხედვით Baa1 დონიდან A3-ზეში გადავიდნენ). 2012 წლის შეფასებებით, საქართველოს საკრედიტო რეიტინგები: S&P-ს მიხედვით BB-ს - სტაბილური; Fitch-ის მიხედვით B+-ს – პოზიტიური; მუდის მიხედვით Ba3-ს, სტაბილური; შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი სავალო ფასიანი ქაღალდის, როგორიცაა ობლიგაციები, საკრედიტო რეიტინგები პოტენციური ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანი სახის საფინანსო ინდიკატორს წარმოადგენს.

ფისკალური რისკის მართვა ხორციელდება შემდეგი სამი გზით:

1. ეფექტური მეთოდით რისკის შემცირებით;
2. ფისკალური რისკის ეფექტური მენეჯმენტისათვის იურიდიული, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ჩარჩოების შემუშავებით;

3. ფისკალურ ანალიზსა და საბიუჯეტო პროცესში ფისკალური მართვის ინტეგრაციით.

რისკების გამოვლენისა და მართვის საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებში მოულოდნელი ცვლილებები მნიშვნელოვანი ზომის ფისკალური რისკების გამომწვევი მიზეზი გახდა. კერძოდ, მაკროეკონომიკური ცვლადებით გამოწვეული რისკების შეფასებებმა (რომელიც განხორციელდა განვითარებული და მზარდი ეკონომიკის მქონე 19 ქვეყნის მაგალითზე სტანდარტიზებული ზღვრული ტესტების ფორმით, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის მდგრადობის ნიმუშებში)[4] აჩვენა, რომ მშპ-ს რეალურ ზრდაზე 1.5 სტანდარტული გადახრის სიდიდის მქონე მუდმივი შოკის ზემოქმედება შოკის წარმოშობიდან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ვალი/მშპ თანაფარდობის საშუალოდ 6,8 პროცენტით ზრდას, პირველად დეფიციტზე 1.5 სტანდარტული გადახრის სიდიდის მქონე შოკი ვალი/მშპ თანაფარდობას 5,2 პროცენტული პუნქტით ზრდას და იმავე სიდიდის შოკის ზემოქმედება პროცენტულ განაკვეთზე საშუალოდ, ვალი/მშპ-ს შედარებით ნაკლებ ზრდას განაპირობებდა. ასევე, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამ ზომის შოკი გაცილებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა იმ ქვეყნებში, რომლებიც უპირატესად სესხის მცურავ საპროცენტო განაკვეთს იყენებდნენ. განვითარებად ქვეყნებში კი ვალის დინამიკაზე განსაკუთრებით შესამჩნევი ეფექტი აქვს ეკონომიკური ზრდის დაცემას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევებმა აჩვენა[5], რომ **გაცვლითი კურსის დაცემის ეფექტი** მყისიერია და ძალიან მნიშვნელოვანიც მაშინ, როცა ქვეყნის ვალის დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში. განვითარებული, განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში რეალური გაცვლითი კურსის 30 პროცენტიანი გაუფასურება იწვევს ვალი/მშპ თანაფარდობის 8 პროცენტით ზრდას შოკის მოქმედების წელს და 6,5 პროცენტით ზრდას მომდევნო ხუთ წელიწადში. მზარდი ეკონომიკების მაგალითზე განხორციელებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 1990-იანი წლების კრიზისების დროს ვალი/ მშპ თანაფარდობის გაზრდაში მნიშვნელოვანი წილი ეკავა გაცვლითი კურსის დაცემას.

მნიშვნელოვანი ფისკალური ზეგავლენა აქვს სასაქონლო ფასების ცვლილებებს, განსაკუთრებით სასაქონლო პროდუქციის მწარმოებლებისათვის. მაგალითად, ნავთობის ფასების დაცემა 20 დოლარით იწვევს

[4]Fiscal Risks-Sources, Disclosure, and Manageement. IMF, May, 21, 2008. p.11.
[5]იქვე, გვ. 12-13.

ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებში მთლიანი ფისკალური ბალანსის გაუარესებას მშპ-ის 10 პროცენტის შესაბამისი სიდიდით. სასაქონლო ფასების ცვლილებები ზეგავლენას ახდენს საქონლის იმპორტიორების ფისკალურ მდგრადობაზე ეკონომიკური ზრდის მეშვეობით. ასევე, მისი პირდაპირი ზეგავლენა მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ახდენენ ენერგიის სუბსიდირებას.

დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის **სხვა ქვეყნებიდან დახმარებების არათანაბარი რიტმით შემოდინება და ღარიბების გარე შოკებიდან დაცვის საჭიროება** სპეციალურ გამოწვევას წარმოადგენს. ამ ტიპის დახმარებებზე დიდად დამოკიდებულ ქვეყნებში ქვეყნის გარედან დახმარებების მიღება უფრო მაღალი მერყეობით ხასიათდება, ვიდრე ფისკალური შემოსავლებისა, და, ხშირ შემთხვევაში, დახმარებებისა და შემოსავლების უკმარისობა ერთად იჩენს ხოლმე თავს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას.

გამოკვლევები მოწმობს, რომ **ფისკალური დანახარჯების ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება პირობითი ვალდებულებები.**

ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა დანახარჯების ზრდის შემდეგი ძირითადი მიზეზები:

1. **საბანკო კრიზისი.**117 საბანკო კრიზისის მიხედვით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 93 ქვეყანაში 1977-1998 წლებში, აღებული შერჩევის საფუძველზე გამოვლინდა 24 ეპიზოდი, სადაც კუმულაციური დანახარჯები აღემატებოდა მშპ-ის 5 პროცენტს. ეს დანახარჯები არგენტინის, ჩილესა და ურუგვაიში (1980-იანი წლების დასაწყისში) ამ ქვეყნების მშპ-ის 35-55 პროცენტს, ინდონეზიის, კორეისა და ტაილანდში (1997-1998 წლებში) ამ ქვეყნების მშპ-ის 25-50 პროცენტს და იაპონიის (1990-იან წლებში) მშპ-ის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენდა. ეს დანახარჯები პირდაპირი დეპოზიტორების ან დებიტორებისათვის დახმარების გაწევის საჭიროებას, ღია ლიკვიდურობის დახმარებისა და განმეორებადი რეკაპიტალიზაციის პროგრამების დაფინანსებას უკავშირდებოდა.

2. **ბუნებრივი კატაკლიზმები.** ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები განვითარებად ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში მშპ-ის 10%-ს, ხოლო ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მშპ-ის რამდენიმე პროცენტულ პუნქტს აღემატებოდა. ეს დანაკარგები ხშირად არათანაბრადაა განაწილებული ქვეყნებს შორის, რადგან ბუნებრივი კატაკლიზმები, როგორც წესი, ერთსა და იმავე ზონებში მეორდება. მათი ფისკალური ზეგავლენა მნიშვნელოვანია, თუმცა კვლევის შედეგად შეფასებები მიღებულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ქვეყნების მაგალითზე. კერძოდ, ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებში გამოვლე-

ნილია ბევრი შემთხვევა, როცა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ამ ქვეყნების ბიუჯეტების დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

3. **ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება.** ადგილობრივი ხელისუფლების დეფოლტის ან გაკოტრების საფრთხე ხშირად ცენტრალურ ხელისუფლებას აიძულებდა მათ დასახმარებლად ღონისძიებების პაკეტის გატარებას, რაც დიდი მოცულობის დანახარჯებს უკავშირდებოდა. მაგალითად, ამ მიზეზის გამო ჰქონდა ბრაზილია ბიუჯეტის დანახარჯები 1993 წელს მშპ-ის 7%-ით, ხოლო 1997 წელს, მშპ 12 %-ით გაიზარდა;

4. **სამართლებრივი მოთხოვნები.** ამ სახის მოთხოვნების ზომის ზუსტი პროგნოზირება ძნელია. მაგალითად: მოთხოვნები სამხედრო საჭიროებებსა და უცხოური ვალუტის გაყინული დეპოზიტების დაფარვაზე (ბოსნია ჰერცოგოვინა, მშპ-ს 12%); სასამართლოს მოთხოვნები შიდა ვალების დაფარვაზე (ჩადი – მშპ-ს 9%), მოთხოვნები პრივატიზაციასთან დაკავშირებული სარჩელების დაკმაყოფილებაზე (ბრაზილია), დანახარჯები, დაკავშირებული პერსონალის მართვასთან (ბრაზილია, საფრანგეთი), უძრავი ქონებისა და სხვა ქონების დანაკარგების კომპენსაციის მოთხოვნები (ლიტვა და პოლონეთი), გადასახადების უკან დაბრუნების მოთხოვნა (ინდონეზია), ბანკების რესტრუქტურიზაციის გარანტიები (ჩეხეთი), გარემოს გაჯანსაღებაზე დანახარჯების ზრდის მოთხოვნა (მაგალითად, რაც უკავშირდება თავდაცვას და ატომურ სადგურებს – კანადა და აშშ).

5. **გარანტიები.** გარანტიებიდან გამომდინარე პოტენციური რისკები მნიშვნელოვანია. ესენია: ფასების გარანტიები, სესხების ან მოგების გარანტიები. 2002 წლის ბოლოს ეს თანხები იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აპირებდნენ ევროკავშირში გაერთიანებას, საშუალოდ მშპ-ის 12%-ს (ევროკომისია, 2004) შეადგენდა.

6. **საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა.** რისკის ეს წყარო მნიშვნელოვანი გახდა ბევრ განვითარებულ და ზრდადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში – განსაკუთრებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკის სფეროში დიდი მოცულობის საინვესტიციო პროექტების გამო, რომლებიც ხშირად ხდება ისეთი ვალდებულებების წარმოშობის წყარო, რაც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშებში. მაგალითად, კონცესიური სესხებისათვის სახელმწიფო გარანტიები, მინიმალური შემოსავლები ან გაცვლითი კურსის დანაკარგები.

7. **პირობითი ვალდებულებები.** ანალიზი უჩვენებს, რომ პირობითი ვალდებულებების სხვადასხვა ტიპების შეფარდებითი მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ რისკის გასაჯაროებისა და მართვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების დროს.

ფისკალური რისკების მართვის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების დანერგვა საქართველოში მეტად აქტუალურად გვესახება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ეფექტიანობის და, შესაბამიდ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მარინა მუჩიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ფისკალური რისკების გამოვლენა და მართვა

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ფისკალური რისკების მაკროეკონომიკური მნიშვნელობა, რადგან მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოულოდნელ ცვლილებებს, განსაკუთრებით ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში, ხშირად აქვთ უარყოფითი შედეგები ფინანსური მდგომარეობისათვის.

Марина Мучиашвили
Ассоцированный профессор ТГУ

ИСТОЧНИКИ ФИНАНСОВИХ РИСКОВ И ИХ УПРАВЛЕНИЯ

Аннотация

В статье рассмотрено макроэкономическое значение финансових рисков из разных источников, из затого что, неожиданные изменения макроэкономических показателей, в особенности в случае обесценения валюты часто имеют последствия для финансовой устойчивости.

Marina Muchiashvili
Associated Prof. of TSU

SOURCES OF FISCAL RISKS AND ITS MANAGEMENT

Annotation

In this paper the macroeconomic significance of fiscal risks from various sources is considered. Unexpected changes in macroeconomic variables, most notably in the case of exchange rate depreciation often have consequences for fiscal sustainability. A main role is also played by calls on contingent liabilities in banking system, other parts of the public sector, or the government's interactions with private sector agents.

ეკონომიკური თეორია

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ნეოინდუსტრიული განვითარება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პირობებში (თეორიული ასპექტი)

ოც წელზე უფრო მეტი გავიდა, რაც საქართველოში დაიწყო ეკონომიკის პოსტსაბჭოური ტრანსფორმაცია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარამეტრები სანუგეშო არ არის. მართალია, მიღწეული იყო ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპები, მაგრამ, ამასთან, წარმოება ბევრ საჭირო დარგში შეიკვეცა, არ წარმოქმნილა ახალი თანამედროვე დარგები, ბოლო წლებში შესამჩნევია ძლიერი დაცემა სოფლის მეურნეობაში, საქონლის და მომსახურების იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, ამასთან, სექტორების (დარგების, ჯგუფების) უმეტესობაში იმპორტი რამდენჯერმე აღემატებოდა საკუთარი გამოშვების პროდუქციის მოცულობას. ზრდის მაღალი ტემპები 2005-2012 წლებში უზრუნველყოფილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა (ხშირად არა პირველი საჭიროების) და ძვირადღირებული საჩვენებელი ობიექტების აგების (უპირატესად სახელმწიფო ინვესტირების მეშვეობით) და, ასევე, სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასების მომატების ხარჯზე (უკანასკნელი უპირობოდ იყო საჭირო). მცირე იყო ინვესტიციების დონე რეალურ წარმოებაში, დაბალი – ბიზნესის ინვესტიციური და ინოვაციური აქტიურობა.

ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ ფორუმზე – "ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის" – პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის (მათ შორის სასურსათო პროდუქციის) გამოშვების მოცულობის ზრდისა და დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე [20].

რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის სფეროში, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭირო დინამიზმი და ბიზნესის ეკონომიკური აქტივობის ამაღლება ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის მიზნით ამ მიზანდასახულობების მიხედვით?

1999 წ. სტატიაში [11] აღვნიშნავდით, რომ საჭიროა საბოლოო გათავისუფლება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეგულირების გად-

მონაშთებისაგან, რისთვისაც ყურადღება გავამახვილეთ სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების განვითარების ზოგიერთი მიმართულებაზე ეკონომიკური განვითარების დინამიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ამავე საკითხს იხილავს ი. კორნაი ინოვაციური განვითარებასთან მიმართებაში ([24], 2012). მაგრამ კონკრეტულ ქვეყნებში პერსპექტიული წარმოებების განლაგებისა და გასაღების ბაზრებისათვის სულ უფრო გამწვავებადი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ეს არ არის საკმარისი. ქვეყანამ გეზი უნდა აიღოს განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირებაზე, რომლის საფუძველში უნდა ჩაიდოს **განვითარების ნეოინდუსტრიული ტიპი**, დაფუძნებული **ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე,** ქმედითი **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებით** და, ასევე, მოწესრიგებული **ქსელური ურთიერთკავშირებით**. გლობალიზაციისა და ქვეყნების ეკონომიკების სულ უფრო მეტი და მეტი ღიაობის პირობებში საერთაშორისო ასპექტში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელზე ორიენტაციის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკების წარმატებულ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია, ამჟამად ფართოდ გამოყენებადი ტერმინების – "გლობალიზაცია", "ინოვაციური ეკონომიკა", "ნეოინდუსტრიული განვითარება", "განვითარების საფინანსო ინსტიტუტები" და "ქსელური ურთიერთკავშირები" (რომლებიც ასეთი მოდელის ფუნდამენტურ შემადგენლებს წარმოადგენენ) თანაფარდობისა და მათი ურთიერთკავშირების და ურთიერთზემოქმედების თეორიულ ასპექტში განხილვა.

რამდენადაც ტერმინი "პოსტინდუსტრიული განვითარება" სრულად და ადეკვატურად არ მოიცავს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს, და, ამიტომ, როგორც ჩვენ დავასაბუთეთ [2; 6, თავი III]-ში, თანამედროვე ეკონომიკასთან მიმართებაში უფრო მიზანშეწონილია ჯ. გელბრეიტის უფრო ადრეული ტერმინის – "ნეოინდუსტრიული განვითარება" – გამოყენება, ასევე, ამჟამად ფართოდგამოყენებადი ტერმინები "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" სრულად არ მოიცავენ ინოვაციურ საქმიანობაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს. უფრო მეტიც, ტერმინი "ახალი ეკონომიკა" ასევე მიეკუთნება იმ ცნებებს, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის მდგომარეობას მთლიანობაში, უპირველეს ყოვლისა, დარგობრივ და ტექნოლოგიურ სტრუქტურებს *(ე. ი. ეს იმავე კლასის ცნებაა, რაც "პოსტინდუსტრიული ეკონომიკა", "სუპერინდუსტრიული ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა", თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მისი დეფინიციის მიხედვით, ეს ცნება სრულად არ მოიცავს თანამედროვე ეკონომიკას),* მაშინ, როდესაც ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" ახასიათებს ინოვაციებისადმი ეკონო-

მიკის ამთვისებლობის, ინოვაციების დიფუზიის კოორდინაციის არსებული მექანიზმების (ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო და ბიზნეს-რეგულირების) ხარისხს, მთლიანად სახელმწიფოში სამეცნიერო და დამნერგავი ორგანიზაციების არსებობისა და, ასევე, მსხვილ კორპორაციებში ინოვაციური საქმიანობის უზრუნველმყოფელი ქვედანაყოფებისა და მექანიზმების არსებობის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" შედარებით ახალია, ინოვაციური ხასიათის ეკონომიკები არსებობდა უფრო ადრეც, ეკონომიკის "ინოვაციურობის" ხარისხი კი ცალკეულ პერიოდებში და ცალკეულ ქვეყნებში მკვეთრად იზრდება (მაგალითად, ინგლისში და შემდეგ რიგ სხვა ქვეყანაში სამრეწველო რევოლუციის დროს). ინოვაციური განვითარების "ტალღათა მოზღვავების" ეტაპები კარგადაა დახასიათებული ს. გლაზიევის ნაშრომებში [14; 15] (თუმცა ის იშვიათად ხმარობს ტერმინს "ინოვაციური განვითარება"). როგორც ცნობილია, სსრკ-ში 80-იანი წლების პერიოდში ინოვაციური განვითარების მექანიზმი ფაქტობრივად მოშლილი იყო (სამხედრო სამრეწველო კომპლექსის გამონაკლისით), რაც აღრმავებდა ტექნოლოგიურ ჩამორჩენას განვითარებული ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა, არსებობდა ინოვაციური ზედნაშენის მრავალი ელემენტი, მაგალითად, მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, აკადემიური და საუწყებო დარგობრივი ინსტიტუტები, მაგრამ მათი საქმიანობა ატარებდა სულ უფრო და უფრო ფორმალურ-ბიუროკრატიულ ხასიათს და წარმოშობდა სულ უფრო და უფრო ნაკლებ რეალურ სამეცნიერო და პრაქტიკულ შედეგებს. პრინციპში, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკისათვის საჭირო სტრუქტურები არ ვითარდებოდა პოსტკომუნისტური პერიოდის განმავლობაშიც, ცალკეული ფირმების კერძო წარმატებების გარდა (თუ არ ჩავთვლით რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს). ამიტომ, დღევანდელ პირობებში პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებობს ინოვაციური განვითარების მექანიზმების შექმნის სერიოზული იმპერატივები, მისწრაფებები, ე. ი. თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების იმპერატივები (ასეთი მექანიზმები, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ჩვენ მიერ ნაწილობრივ დახასიათებულია [1; 6, თავი V]).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ ამჟამად ყველაზე მეტად აღიარებული გლობალიზაციის დეფინიცია გვაძლევს შესაძლებლობას, მკაფიოდ დავადგინოთ ურთიერთდამოკიდებულება ტერმინებს – "გლობალიზაცია", "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" და "ინოვაციური ეკონომიკა" – შორის. ეს დეფინიცია ჟღერს შემდეგნაირად: "გლობალიზაცია" წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ქვეყნების მზარდ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას საქონლის, მომსახურების და კაპიტალის ტრანსსასაზღვრო ნაკადების სულ უფრო მზარდი

მოცულობის და ნაირსახეობისა, და, ასევე, ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზიის შედეგს [8]. ის, რომ "ნეოინდუსტრიული განვითარება" ან "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ჩვენ დავასაბუთეთ [2; 6, თავი III]-ში (ქვემოთ, ამ სტატიაში, მოცემულია ამ ფაქტის დამატებითი დასაბუთება). ამასთან, "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ახლად წარმოშობილ დარგებს და ტექნოლოგიებს, ასევე ახალი ტექნოლოგიების დიფუზიას (უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების) ყველა ტრადიციულ დარგში. გლობალიზაციის მოცემული განსაზღვრების ბოლო ნაწილი კი – "ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზია" ზუსტად ასახავს ურთიერთკავშირს ცნებებს – "გლობალიზაცია" და "ინოვაციური ეკონომიკა" შორის და გარკვეულ ზომებში ურთიერთშეთავსებას. "ინოვაციური განვითარების თანამედროვე სტადიაზე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა. ამ პროცესის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას ეკონომიკურ, საფინანსო, ფულადსაკრედიტო, მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობაში; თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში წინმსწრები ტემპებით იზრდება ვაჭრობა მომსახურებით, ტექნოლოგიებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით – ე. ი. იმით, რაც განსაზღვრავს თანამედროვე *ახალი ეკონომიკის* შინაარსს" [8].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი "ახალი ეკონომიკა" მოიცავს ცნების – "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, რადგანაც დარგების ერთობლიობაში ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს როგორც ყველა ტრადიციული დარგის (გულისხმობს მხოლოდ მათ აღჭურვას ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით), ასევე სხვა ახლად გაჩენილი დარგების მოცვას. ამასთან, "ეკონომისტთა შორის არ არსებობს ერთიანობა ახალი ეკონომიკის ფენომენის შეფასებაში. ზოგიერთი მკვლევარი მის დამსახურებად თვლის ყველა იმ დადებით ცვლილებას, რაც ხდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში. სხვები კი მას, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეული სკეპტიციზმით, ზოგჯერ კი – საერთოდ უარყოფითად ეპყრობიან, ამასთან ამტკიცებენ, რომ საინფორმაციო რევოლუცია წარმოადგენს რიგით საბირჟო თამაშს, ან კიდევ – საბირჟო ავანტიურას" [8]. რა თქმა უნდა, ყველა დადებითი და უარყოფითი აზრის გათვალისწინება საჭირო არ არის, მაგრამ ამ დეფინიციებიდან ჩანს, რომ "ახალი ეკონომიკა" ძალიან არაერთმნიშვნელოვანი და არაყოვლისმომცველი ტერმინია.

ცნება "ახალი ეკონომიკისაგან" განსხვავებით, ტერმინები "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" უფრო ტევადი და ყოვლისმომცველია და ზუსტად ასახავს თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის მდგომარეობას. ამ მოსაზრებების განმტკიცებისათვის მოვიყვანთ ვ. მაუს აზრს: "... განვითარებული ქვეყნების ახალი ინდუსტრიალიზაციის იდეა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ამას აშშ-ის პოლიტიკოსები და ეკონომისტები ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ კრიზისის დასაწყისში, ამაზე პერიოდულად ლაპარაკობს რუსეთის ხელმძღვანელობაც. ლაპარაკია არა ტრადიციული სექტორების აღდგენაზე, არამედ პრინციპულად ახლების გაჩენაზე, რომლებშიც ინტელექტუალური საქმიანობა და საკუთრივ წარმოება მჭიდროდ გადახლართულია და რომელთა განთავსება მსოფლიოში (რესურსებზე დანახარჯების გათვალისწინებით) არაეფექტიანია" [25, გვ. 6]. მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობის წინაშე, რომლებმაც პოსტსაბჭოური დაცემის შედეგად დაკარგეს რიგი ტრადიციული წარმოება, დგას ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზის საფუძველზე მათი უმეტესობის რეანიმაციის საკითხი. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარებას (წინათ არსებულების რეანიმაციას და ახლების ჩამოყალიბებას), რომლებიც უზრუნველყოფენ დიდი მოცულობის დამატებულ ღირებულებას და, მაშასადამე, რომლებსაც შეაქვთ დიდი წვლილი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში (ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში გადამამუშავებელი მრეწველობის როლი ძალიან თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები [22]-ში).

რაც შეეხება "ინოვაციურ ეკონომიკას", შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მისი ბევრი დეფინიცია, ამასთან, ყველა მარჯვე დეფინიცია, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია გლობალიზაციის ცნების განსაზღვრებასთან.

ვიკიპედიაში მოცემულია ინოვაციური ეკონომიკის შემდეგი განსაზღვრება: "ინოვაციური ეკონომიკა (ცოდნის ეკონომიკა, ინტელექტუალური ეკონომიკა) – ეს არის ეკონომიკის ისეთი ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციების ნაკადზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ძალიან მაღალი დამატებული ღირებულებით, და თვით ტექნოლოგიების წარმოებასა და ექსპორტზე" [13]. ამ განსაზღვრებაში მხედველობაში მიღებულია ყველა მაღალტექნოლოგიური დარგი (არა მარტო ისეთები, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს), მაგრამ მხედველობიდან გამორჩენილია არამაღალტექნოლოგიური დარგები, თუმცა, რასაკვირველია, მათშიც ხორციელდება ინოვაციები (მაგალითად, ა. იუდანოვი აღნიშნავს – "დაბალტექნოლოგიური სექტორის მიმართებაში ნაჩ-

ვენები იყო, რომ მისი ინოვაციურობა დაფუძნებულია სხვა დარგების მიღწევების გამოყენებაზე", ამის გარდა, არსებობს კიდევ ორგანიზაციული, ინსტიტუციური და, ასევე, "არაფორმალური ინოვაციები, რომელთა ქმედითობა მოწიფულ დაბალ- და საშუალოტექნოლოგიურ სექტორში" დადასტურებულია, მაგალითად, ფირმა-გაზელების (სწრაფი ზრდის სტაიერების) გამოცდილებით [33, გვ. 32-33], ვ. მაუ კი აღნიშნავს, რომ "საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა დარგების დაყოფა პროგრესულობასა და ჩამორჩენილებზე: თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი დარგი შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური, ასევე ძველმოდური" [25, გვ. 6]. მაგრამ, რაც მთავარია, ამ განსაზღვრებაში არაა გათვალისწინებული გლობალიზაციის ფაქტორის როლი ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში. ამასთან დაკავშირებით "ძნელია იმის აღიარება, რომ ეს დეფინიცია შეესაბამება რეალობას, რადგანაც, მაგალითად რუსეთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, "სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ხდებოდა ინოვაციების სესხება საზღვარგარეთიდან" (ბუნებრივია, გარკვეული ნაწილის) "და ნასესხები ინოვაციების საფუძველზე შენდებოდა ინოვაციური ეკონომიკა. ახლა ეს თავისებურ ტრადიციად იქცა. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ასე იქცეოდნენ (და ახლაც იქცევიან) ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა და მრავალი სხვა ქვეყანა" [28].

ა. იუდანოვის მიერ ჯერ კიდევ 1996 წ. მოცემულმა ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულმა განმარტებამ [34, გვ. 218], ჩვენი აზრით, მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაკარგა. მოვიყვანთ მას ინტერპრეტაციაში, რომელიც მოცემულია [28]-ში:

"**პირველი,** ეროვნული ეკონომიკა შეიძლება იყოს ინოვაციური, თუ: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ისეთი უმარტივესი და ეფექტიანი ინოვაციები, რომლებიც დაფუძნებულია ძველ ცოდნაზე; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ხდება მათზე დაფუძნებული ინოვაციების სესხება.

მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში გამოყენებული დამოუკიდებლად შექმნილი გაუმჯობესებული ინოვაციები შეიძლება დაფუძნდეს ან ახალ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ცოდნის ეკონომიკაზე), ან უფრო ადრე ცნობილ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში ინოვაციურ ეკონომიკას არ აქვს ცოდნის ეკონომიკის თვისებები).

მესამე, ახალი (ეროვნული) ეკონომიკა შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს: ა) ქვეყანაში შექმნილი ახალი ცოდნის საფუძველზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ხდება ცოდნის ეკონომიკის ფორმირება; ბ) მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადმოღებაზე.

ავტორების აზრით, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) **მეოთხე,** გადმოღებული და საკუთარი ისეთი დამუ-

შავებებისა, რომლებიც შექმნილია როგორც საზღვარგარეთ შეძენილ, ასევე ქვეყანაში წარმოშობილ ახალ ცოდნაზე; ბ) ტრადიციული დარგების ინოვაციური და ცოდნისეული განვითარების და იმ დარგების და საქმიანობის სფეროების პრიორიტეტული განვითარების, რომლებიც იმყოფებიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულ და კრიტიკულ დარგებს წარმოადგენს.

მიუხედავად ამ განსაზღვრების საკმაო ტევადობისა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე საჭიროა, ერთი მხრივ, მისი კორექტირება, მეორე მხრივ, შევსება. ამიტომ, ამ განსაზღვრების მიმართ ჩვენ გვაქვს შემდეგი შენიშვნები: ა) ტერმინი "ახალი ეკონომიკა" გამოიყენება ტერმინის – "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" – მაგივრად, რაც, ზემომოყვანილიდან გამომდინარე, არაა კორექტული; ბ) შევიწროებულია ცნება "ცოდნის ეკონომიკა" – ძველი ცოდნა, რომლებიც გამოიყენება ინოვაციებში, ასევე მიეკუთვნება ცოდნის ეკონომიკას, დეფინიციაში კი საწინააღმდეგო იგულისხმება; გ) განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქვეყანას ესაჭიროება ზოგიერთი ტრადიციული დარგის პრიორიტეტული განვითარება (არჩეულ ახალ დარგებთან ერთად), როგორც ეს საჭიროა, მაგალითად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას ზოგიერთი ტრადიციული დარგის რეანიმაციის საკითხი; დ) და, რაც მთავარია, დეფინიციაში არაა ასახული არც სახელმწიფო, არც კორპორაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას, ეს კი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის დედაარსს.

ე.ი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულ დეფინიციაში უნდა აისახოს ეროვნული ინოვაციური სისტემის არსებობა და ფუნქციონირება. ეროვნული ინოვაციური სისტემები ჩვულებრივად განისაზღვრება, როგორც "სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული ქსელები, რომელთა საქმიანობა და ურთიერთზემოქმედება ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტირებას, მოდიფიცირებას და გავრცელებას (diffuse) (C. Freeman) [3, იხილეთ 33-ში, გვ. 32] (ქვემოთ შემოთავაზებულ გაფართოებულ დეფინიციაში ეს რამდენადმე სხვანაირად აისახება).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით (ასევე, მცირე ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით), ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებული განსაზღვრება (ა. იუდანოვისა და ვიკიპედიის განსაზღვრებების პოზიტიური მომენტების გამოყენებით) უნდა იყოს შემდეგნაირი:

პირველი, ეროვნული ინოვაციური ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკის ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ნასესხებ (გადმოღებულ) და საკუთარი დამუშავებებით შექმნილ ინოვაციებზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, ძალიან მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პრო-

დუქციის (მათ შორის საწარმოო ტექნოლოგიების) წარმოებასა და ექსპორტზე.

მეორე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც შექმნილია საიმედო სახელმწიფო (სახელმწიფო მაკოორდინებელი და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სისტემა) და კერძო (კორპორაციული და კორპორაციათაშორისი, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების შემუშავებას, გადმოღებას და დანერგვას) მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას.

მესამე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ძველ ცოდნაზე დაფუძნებული მარტივი და ეფექტიანი ინოვაციები; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ხდება მათზე დაფუძნებული ინოვაციების სესხება.

მეოთხე, ნეოინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკა შეიძლება დაფუძნდეს: ა) ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) გლობალიზაციის შესაძლებლობებით განპირობებული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების სესხებაზე (გადმოღებაზე).

მეხუთე, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) ნასესხები (გადმოღებული) და საკუთარი (მცირე ქვეყნების შესაძლებლობების გათვალისწინებით) ისეთი შემუშავებების, რომლებიც დაფუძნებულია როგორც საზღვარგარეთ შეძენილ, ასევე ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) საჭირო (პრიორიტეტული) ტრადიციული დარგების ინოვაციური განვითარებისა (ან ინოვაციურ ბაზაზე რეანიმაციის) და რამდენიმე (მცირე ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე) არჩეული ისეთი დარგების დაჩქარებული განვითარების, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე იმყოფებიან და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულები და კრიტიკულები არიან.

ასეთი განსაზღვრება აშკარად ან ფარულად (მაგალითად, სიტყვების "გადმოღებული", "ნასესხები", "ტექნოლოგიების ექსპორტი" მეშვეობით) ადასტურებს თანამედროვე ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას გლობალიზაციის ფაქტორებთან.

ცხადია, რომ კორექტული არ არის ტერმინების "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" გაიგივება, რაც დამახასიათებელია რიგი მეცნიერ-ეკონომისტის პოზიციისათვის. ვიკიპედიაშიც კი, "ახალი ეკონომიკა" წარმოდგენილია "ცოდნის ეკონომიკის" სინონიმად, "ინოვაციური ეკონომიკა" კი – "ცოდნის ეკონომიკისა" და "ინტელექტუალური ეკონომიკის" სინონიმებად. თუმცა ბევრი მეცნიერი და "ვიკიპედია" ეყრდნობა იმ აზრს, რომ "ცოდნის ეკონომიკა" წარმოადგენს "ინოვაციური ეკონო-

მიკის" უმაღლეს ეტაპს. მაგრამ ეს ტერმინებიც არ წარმოადგენს სინონიმებს, თუმცა, განსაზღვრულ ზომებში, შეთავსებადები არიან.

ქვეყნის ინტეგრაციისათვის გლობალიზაციის პროცესებში, ქვეყანაში უნდა მოხდეს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია, უნდა გაფართოვდეს ინოვაციური საქმიანობის მიმართულებები. მცირე ქვეყანაში, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ნასესხებმა, გადმოღებულმა ინოვაციებმა, მაგრამ უნდა გაიზარდოს საკუთარი ინოვაციური და სამეცნიერო-კვლევითი სექტორის როლიც, ამასთან, თვით ნასესხები (გადმოღებული) ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის მიზნებისათვისაც.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუმცა "ახალი ეკონომიკა" მოიცავს დარგების უმეტესობას, მაგრამ მხოლოდ (ძირითადად) ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან ურთიერთკავშირში, ხოლო ტერმინი "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ყველა ტრადიციულ, ასევე ყველა ახალ დარგს. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი, თუ განვსჯით სახელწოდების მიხედვით, გათვალისწინებულია რუსეთის პროგრამაში "ეკონომიკური განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა". მაგრამ კიდევ უფრო აქტუალურად თანამედროვე ეკონომიკის წინაშე მდგარ მიზნებს და დასამყარებელ ურთიერთკავშირებს ასახავს სიტყვათშეწყობა "ნეოინდუსტრიული განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა". ამასთან დაკავშირებით, ამ ცნებების თანაფარდობისა და ურთიერთშეთავსებადობის დონის გრაფიკული ინტერპრეტაცია ეილერის წრეების მეშვეობით ასახულია [28]-ში. ვისარგებლეთ რა ამ იდეით, ჩვენ ავაგეთ მსგავსი გრაფიკი (ნახ. 1), ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ცნების "ახალი ეკონომიკა" შეცვლით ცნებით "ნეოინდუსტრიული განვითარება". ამასთან, ამ ცნებების ურთიერთშეთავსებადობა უფრო მჭიდროა, ვიდრე მოცემულია [28]-ში, რაც გათვალისწინებულია ჩვენს ნახატში (მაგალითად, ეკონომიკის ამ მიმართულებებით კოორდინაციისათვის განსხვავებულ ხერხებთან (ორგანიზაციებთან, სტრუქტურებთან) და ინსტრუმენტებთან ერთად, გამოიყენება მრავალი საერთო ხერხი და ინსტრუმენტი).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია, ნეოინდუსტრიული განვითარება, ინოვაციური ეკონომიკა და ცოდნის ეკონომიკა – ესაა ახალი მსოფლიო სამეურნეო კონტურის ჩამოყალიბების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეთავსებადი პროცესები, რომლებშიც ადეკვატურად უნდა ჩაერთოს მცირე ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა.



ნახ. 1. ცნებების "ინოვაციური ეკონომიკა", "ცოდნის ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" თანაფარდობა

ამიტომ, ქვეყანაში თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ისეთი განზოგადებული მოდელის აგება და ამოქმედება, რომელშიც ასახული იქნება დარგობრივი (ნეოინდუსტრიული) რესტრუქტურიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების გზები და ასეთი ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების სახელმწიფო და ბიზნესკოორდინაციის მექანიზმები. განვითარების ინოვაციური და ნეოინდუსტრიული მოდელების ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტი ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უკვე საკმაოდ ფართოდ განიხილება პოსტსაბჭოური ქვეყნების სამეცნიერო კვლევებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებმაც ყველაზე წარმატებულად გადაწყვიტეს ტრანსფორმაციული პერიოდის წინამავალი ეტაპები (იხ., მაგ., [32, გვ. 115]), მაგალითად, ყაზახეთსა და უზბეკეთში (იხ., მაგ., [26; 27]). რუსეთში კი სამეცნიერო წრეებში დაიწყო ეკონომიკის "საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოდელების ძებნა" ინოვაციური ნეოინდუსტრიული მოდელის აგების მიზნით [19] და უკვე ტარდება ღონისძიებები, მაგალითად, რეგიონებში ახალი ინდუსტრიული ცენტრების (ტექნოლოგიური პარკების) შესაქმნელად (იხ., მაგ., [12]).

რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ-ნეოინდუსტრიული რეორგანიზაცია მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. ასე, მაგალითად, ა. აგანბეგიანი აღნიშნავს, რომ რუსეთში საწარმოო მოწყობილობების, ძირითადი ფონდების გასვლა ინოვაციურ დონეზე (ისეთებზე, რომლებიც ჭარბობს განვითარებული ქვეყნის სხვადასხვა დარგში[6]) მოითხოვს 10-15

[6] ამ ფორმულირებაში გამორჩენილია სრულიად ახალი (ახლად გაჩენილი) დარგების ფორმირების აუცილებლობა.

წელს. ამასთან, მოწყობილობის განახლება უნდა ხდებოდეს კომპლექსურად, ესე იგი ისეთი მთლიანი ტექნოლოგიური ხაზებით, სისტემებით, კლასტერებით, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიების რეალიზაციას ახდენენ" [4]. რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლა შესაძლებელია უფრო მოკლე ვადებში, იმის გათვალისწინებით, რომ ის მცირე ქვეყანაა და თავისდროულად ჩაერთვება შესაბამის გლობალურ და რეგიონულ **ქსელებში.** ქვეყნის ბიზნესის ჩართვა ასეთ სავაჭრო, ინოვაციურ, ტექნოლოგიურ ქსელებში წარმოადგენს მისი ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

ასევე, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების დაფინანსების პრობლემა. ბიზნესი თავისთავად, ინვესტიციების მხოლოდ არსებული საკუთარი სახსრებით განხორციელებისას, ასეთ პრობლემას ვერ მოერევა. ამიტომ საჭიროა განვითარების შედავათიანი დაკრედიტების თანამედროვე სისტემებისა და მეწარმეთა საფინანსო მხარდაჭერის სხვა ხერხების გამოყენებაც. ამასთან დაკავშირებით სტატიაში "აგანბეგიანმა იცის, საიდან უნდა ავიღოთ ფული" [5] აღწერილია რუსეთის პირობებისათვის საფინანსო და საკრედიტო რესურსები, რომელთა გამოყენება საჭიროა თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისათვის. ამ სტატიაში შემოთავაზებული ბევრი ხერხის გამოყენება შეიძლება ჩვენს ქვეყანაშიც, მაგრამ, საქართველოში, რომელსაც არ გააჩნია მსხვილი ოქრო-ვალუტის რეზერვები, ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების დაფინანსების მექანიზმი უნდა იყოს გარკვეულწილად სხვანაირი, კერძოდ, მასში უფრო დიდი როლი უნდა ითამაშონ **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებმა.**

ამიტომ, ქვემოთ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილება ეს ორი საკითხი: განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთობების როლი თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნული ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის გაფართოება. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიების შემოღებას. საკუთარი საინვესტიციო წყაროებიდან უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ერთ წყებაზე უფრო მეტად ინვესტირებაში გაიზარდა ინსტიტუციური ინვესტორებისა (მაგალითად, საპენსიო ფონდების) და საინვესტიციო ფონდების როლი.

საქართველოში საპენსიო ფონდის შექმნაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ საწარმოო ინვესტირებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რიგი მსხვილი სამამულო და უცხოური ინვესტორების მიერ დაფუძნებულმა თანაინვესტირების ფონდმა, რომელიც "საქართველოში ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით" [21; 31].

თანაინვესტირების ფონდი, მსხვილი ბიზნესმენებისა და კომპანიების მონაწილეობის ხარჯზე, იმუშავებს სხვა მეწარმეებთან ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში, მაგრამ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კოორდინაციის სისტემა ბიზნესის შესაგულიანებლად მიზანშეწონილ ინვესტიციებსა და ინოვაციებზე ხარჯების გასაზრდელად. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის სისტემებში მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო და კვაზისახელმწიფო (კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების შექმნა (განვითარების ფონდების, განვითარების ბანკების და ა. შ.). მსოფლიოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ასეული განვითარების საფინანსო ინსტიტუტი [29, გვ. 4], რომელთა საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: ინოვაციების სტიმულირება, საექსპორტო ოპერაციების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონული განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მხარდაჭერა (ტიპური მაგალითია – სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა), ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება [29, გვ. 4, 5]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით ხდება მხარდაჭერის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) გადანაცვლება ეკონომიკის ზრდის მხარდაჭერისაგან უმეტესად ინოვაციებისა (ტექნოლოგიური მოდერნიზაციის) და ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერაზე და, მაშასადამე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დარგობრივი დივერსიფიკაციის და, ამის მეშვეობით, ექსპორტის (და მისი დივერსიფიკაციის) და იმპორტჩანაცვლების მხარდაჭერაზე.

საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან (მაგალითად, რუსეთისაგან) განსხვავებით, ქმედუნარიანი (მიზანშეწონილად ორიენტირებული) განვითარების სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტების ფორმირება მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. 2011 წელს საქართველოში დაარსდა სს "საპარტნიორო ფონდი", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს. ეს ფონდი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწოფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. "საპარტნიორო ფონდის" საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა. ამჟამად ფონდის პორტ-

ფელშია რამდენიმე პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი ახდენს კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერას საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, მათ შორის ენერგეტიკის, აგრობიზნესის, წარმოების, ტურიზმის, ლოგისტიკის და სხვა [35].

მიზანშეწონილია ამ ფონდის საინვესტიციო პოტენციალი გაიზარდოს ეკონომიკის განვითარებაში უფრო ფართო მონაწილეობის მიზნით. ამისათვის 2013 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მომზადებული იყო საკანონმდებლო მასალები "საქართველოს სუვერენული ფონდის" შექმნის შესახებ, მაგრამ შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რეორგანიზაციის გზით აქციონერული საზოგადოების "საქართველოს განვითარების ბანკის" დაფუძნების შესახებ (2014 წლის აპრილი). მაგრამ შემდეგ მიჩნეული იყო, რომ საპარტნიორო ფონდის პოტენციალი ჯერ არ არის სრულად გამოყენებული, ამიტომ, უკანასკნელი გადაწყვეტილება არ იყო განხორციელებული და ეს ფონდი ამჟამადაც ფუნქციონირებს შესაბამისი კანონის ჩარჩოებში (საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ; 02.03.2012. №5746; განახლებულია 20.09.2013 [36]).

ინსტიტუციონალიზაცია, ე. ი. სახელმწიფო და შერეული (სახელმწიფო და კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების მიერ მხარდაჭერის ფორმების საკანონმდებლო და, ასევე, კერძო სექტორის ფარგლებში ასეთი მხარდაჭერის გაფორმება, გვაძლევს სუბსიდირების, თანაინვესტირების, შედავათიანი დაკრედიტების და საფინანსო მხარდაჭერის სხვა ფორმების არჩევისა და მისი ეფექტიანობის საიმედო კონტროლის შესაძლებლობას.

საქართველოში 2013 წ. ასევე იყო შექმნილი და მოქმედება დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა (რომლის მოცულობა შეადგენდა 1 მლრდ დოლარს). მიგვაჩნია, რომ ამ ფონდის მოქმედების წესები ასევე უნდა გაფორმდეს საკანონმდებლო წესით. ეს, მით უმეტეს, იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კარდინალური გამოცოცხლების აუცილებლობის პირობებში საჭირო სოფლის მეურნეობის საფინანსო მხარდაჭერის მოცულობის გაზრდა. ასე, მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში (აშშ-ში, ევროკავშირში), სადაც, საქართველოსაგან განსხვავებით, მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში ხელსაყრელია, სოფლის მეურნეობის ყოველწლიური ერთობლივი მხარდაჭერის წილი სოფლის მეურნეობის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (იხ., მაგ., [30, გვ. 133]).

თანამედროვე ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს ქსელური სტრუქტურები (იხ., მაგ., [7]). ქსელური სტრუქ-

ტურებისა და ქსელური ურთიერთკავშირების როლი, და ინოვაციურ ეკონომიკაში მათი როლის კვინტესენცია ძალიან მოხერხებულად არის ფორმულირებული [8]-ში. ამიტომ ეს, შეიძლება ითქვას, გაფართოებული დეფინიცია მოგვაქვს, კომენტარების გარეშე: თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური 'ურთიერთობები სისტემაშემქმნელ როლს თამაშობს. ისინი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ ინოვაციური საქმიანობის განვითარებაზე, რომლის შესაძლებლობა განისაზღვრება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა სტადიას შორის პირდაპირი და უკუკავშირების ერთობლიობით, ცოდნის მწარმოებლებით და მომხმარებლებით, ფირმებით და ბაზრით სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრების ფარგლებში და, სულ უფრო მეტად, გლობალურ მასშტაბებში. ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, რამდენად ეფექტიანია დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების (ფირმების, სამეცნიერო ორგანიზაციების და ა. შ.) საქმიანობა, არამედ იმაზეც, როგორ მოქმედებენ ისინი ერთმანეთთან ცოდნისა და მათი გამოყენების სისტემებში" [8].

ორგანიზაციათაშორისმა ქსელებმა, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ქსელებში მონაწილე პარტნიორების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება (მათ შირის ფირმებისა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ინოვაციური საქმიანობის ქსელური ორგანიზაციის ხარჯზე, მიიღო სახელწოდება "ინოვაციური ქსელები" (იხ., მაგ., [17]). სხვანაირად რომ ვთქვათ, ინოვაციური ქსელების ცნების ქვეშ იგულისხმება ქსელები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ინოვაციების შექმნის, გავრცელებისა და დანერგვის პროცესებს. ინოვაციური ქსელების ძირითად ტიპებს შორის გამოირჩევა: კოოპერაციის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებში მონაწილე კოოპერაციის ქსელები – ესაა ისეთი სამეცნიერო კოლექტივების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ კოოპერირებას რთული კვლევითი პროექტების შესრულების მიზნით (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივებს შორის რთული საპარტნიორო კავშირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების შედეგების სწრაფ კომერციალიზაციას (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის კომერციალიზაციაზე); აქტიური ურთიერთმოქმედი ექსპერტული საზოგადოება, რომლის მიზანს წარმოადგენს საერთო კომპეტენციის გაზრდა მეცნიერების საკვანძო საკითხებზე სინერგიის ეფექტის გამოყენებით (აქცენტი მიმართულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); ისეთი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამრეწველო ორგანიზაცია-პარტნიორების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ერთიანი მიზნით (აქცენტი მიმართულია სრული ინოვაციური ციკლის წინაკონკურენტული ეტაპის თანხლებაზე) [17].

არსებობს ქსელური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური ეფექტის მიღებაზე არა მხოლოდ ინოვაციური საქმიანობის ქსელიზაციის მეშვეობით, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სხვა მხარეების ქსელიზაციაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება ქსელური ორგანიზაციის ისეთი ტიპები, როგორიცაა სტრატეგიული ალიანსები, ვირტუალური ორგანიზაციები, მიწოდების ფოკალური ქსელები, დინამიკური ქსელები, ფასეულობების შექმნის ქსელები, ინოვაციური კლასტერები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები, მცირე ინოვაციური ბიზნესის მსხვილ კორპორაციებთან საწარმოო თანამშრომლობის ქსელები [9; 10, გვ. 29; 17].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მხრივ უპირველესი აქტუალობა გააჩნია ისეთი ტიპის ქსელების განვითარებას, როგორიცაა **ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები.** ბევრ ქვეყანაში ასეთი ქსელები უკვე საკმაოდ განვითარებულია. ასე, მაგალითად, "რუსეთის ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელი" დაფუძნებულია 2002 წელს და ამ დროისათვის აერთიანებს 70-ზე მეტ ინოვაციურ ცენტრს [10, გვ. 29]. ისეთ მცირე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ტექნოლოგიების ტრანსფერის ეროვნული ქსელი, რა თქმა უნდა, უნდა ჩაერთოს შესაბამის საერთაშორისო ქსელებში. საქართველოში უკვე 15 წელი არსებობს ახალი ტექნოლოგიების მომწოდებელი კომპანია "ალტა", რომელიც ამჟამად საკონსულტაციო ფირმის "სინერგი ჯგუფის" დახმარებით, ფაქტობრივად, ნერგავს კომპანიებისათვის ტექნოლოგიების მიწოდების სამუშაოების ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს [23]. ჩვენი აზრით, ამ კომპანიის პროდუქტიულობა უფრო გაიზრდება, თუ ის აქტიურად ჩაერთვება ქსელური თანამშრომლობის შესაბამის საერთაშორისო ფორმებში.

მაგრამ არ შეიძლება შემოფარგვლა ქსელური ტიპის ერთი მსხვილი კომპანიის არსებობით. ასე, მაგალითად, პოლიტიკურ ფორუმზე "ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის" პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ "საქართველო უნდა იქცეს რეგიონულ სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრად", რაც, კერძოდ, გულისხმობს "ვაჭრობის ხელშემწყობი ლოგისტიკური სერვისების" ჩამოყალიბებას [20], ეს კი, თანამედროვე პირობებში, საჭიროებს ქვეყანაში ისეთი რიგი კომპანიების არსებობას, რომლებიც ორგანიზებული იქნება ქსელური პრინციპების მიხედვით.

ამიტომ, დღევანდელ პირობებში საქართველო, ეროვნული ეკონომიკის ფორსირებული ინოვაციური განვითარების მიზნით, აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო (გლობალური, რეგიონული) ინოვაციური ქსელური ურთიერთკავშირების სხვა სახეებშიც.

საქართველოს კომპანიები (ფირმები და ორგანიზაციები) ქსელიზაციის პროცესში უნდა ჩაერთონ საერთაშორისო **სტრატეგიულ ალიანსებში**. ასეთ ალიანსებში მონაწილეობა აფართოებს ინოვაციებისადმი მისაწვდომობას და ხელს უწყობს ცოდნების გენერაციას და გადაცემას (აღვნიშნავთ, რომ სტრატეგიული ალიანსები იქმნება არა მარტო ინოვაციური საქმიანობის კოოპერირების მიზნით, არამედ ბევრი სხვა ამოცანის გადასაწყვეტად). სტრატეგიული ალიანსების შექმნა შეიძლება ქვეყნის ფარგლებშიც, მაგრამ განსაკუთრებულ სარგებელს მოიტანს ეროვნული ფირმებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა საერთაშორისო სტრატეგიულ ალიანსებში.

ვირტუალური ორგანიზაციის განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს "მრავალი კომპანიის (როგორც წესი, მცირე და საშუალო) არსებობა, რომლებიც აერთიანებენ რესურსებს ისეთი პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერ განახორციელებენ. ვირტუალური ორგანიზაციის წევრები აღწევენ თავისი შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებას "ვირტუალური" განზომილების არსებობის ხარჯზე და ამასთან ინარჩუნებენ ისეთ მოქნილობას, რომელიც დამახასიათებელია მცირე კომპანიებისათვის" [17]. ასეთი "ვირტუალური' ორგანიზაციების შექმნა შეიძლება ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, ასევე, ეროვნული კომპანიების ჩართვის გზით საერთაშორისო ვირტუალური ორგანიზაციების ქსელებში.

ქსელური ურთიერთკავშირები დიდ როლს თამაშობს **ინოვაციურ კლასტერებში.** ამ კლასტერების ბირთვები "ჩვეულებრივ, წარმოადგენენ მეცნიერული და საწარმოო ორგანიზაციების ქსელს. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია ინოვაციური პროექტების დიდი რაოდენობით და გააჩნიათ შიდა ინფორმაციული სივრცე ინოვაციების გადაცემისათვის" [17]. ინოვაციური კლასტერები უფრო ხშირადაა ლოკალიზებული განსაზღვრული ტერიტორიების ფარგლებში, მაგრამ არ არის გამორიცხული მათი ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ორგანიზაციის შესაძლებლობაც, კერძოდ, საერთაშორისო მასშტაბებში. მაგრამ "კლასტერების იდენტიფიკაციის დროს საჭირო იმის გათვალისწინება, რომ ისინი ფუნქციონირებენ დამატებული ღირებულების შექმნის ერთიანი ჯაჭვის ჩარჩოებში" [17].

დიდი მნიშვნელობა აქვს ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების პროცესში რეგიონალიზაციის (ქვეყნებსშორისი) ფაქტორების გამოყენებას. რეგიონალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაციის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და მოიცავს, როგორც ცნობილია, ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ქმნიან გაერთიანებებს, კავშირებს და ა. შ., რომელთა ჩარჩოებში ადგილი აქვს ვაჭ-

რობის, ფასწარმოქმნის, კაპიტალის მოძრაობის და შრომითი რესურსების მიგრაციის მეტნაკლებად ლიბერალიზაციას.

ასეთ რეგიონულ გაერთიანებებში მონაწილეობის გარეშე, სადაც მონაწილე ქვეყნებისათვის დგინდება გარკვეული პრეფერენციები, ძნელია გლობალურ და რეგიონულ მასშტაბებში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის აშენება, რადგანაც ხვედრითი დანახარჯები ტექნოლოგიურ ინოვაციურ განვითარებაზე ქვეყანაში უფრო დიდი იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც პრეფერენციები გააჩნიათ. ამიტომ, ინოვაციური მშენებლობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახერხა ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა ამ გაერთიანებაში ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე. ამასთან, საქართველოს გააჩნია ბევრი საერთო პრობლემა ინოვაციური მშენებლობის სფეროში პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (როგორც წესი, ამ ქვეყნებში მცირეა მაღალტექნოლოგიური წარმოებების პროდუქციის წილი (რუსეთშიც კი) მთლიან შიდა პროდუქტში, ყველა ამ ქვეყანაში მცირეა მსუბუქი მრეწველობის დარგების პროდუქციის წილი და ა. შ.). ასე, მაგალითად, ამასთან დაკავშირებით რ. ს. გრინბერგი აღნიშნავს, რომ "საჭიროა (საბაჟო კავშირის ფარგლებში) საკუთარი ეკონომიკების რესტრუქტურიზაციის და დივერსიფიკაციის საერთო პროგრამის ინიცირება საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის დარჩენილი წამოწყებების გამოყენებით" [18, გვ. 28]. გასაგები გარემოებების გამო (საქართველოს ასოცირება ევროკავშირთან, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ავტოქტონური ქართული მოსახლეობის განდევნა) საქართველოს არ შეუძლია საბაჟო კავშირში მონაწილეობა. მაგრამ, საქართველოს მთავრობის მიერ აღებულია კურსი რუსეთის ფედერაციასთან დაძაბულობის შერბილებასა და ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე. ამ პირობებში ქვეყნის მეწარმეებს შეუძლიათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთობლივ ინოვაციურ ტექნოლოგიურ პროექტებში (მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაცია და ა. შ.) ჩართვა თანამედროვე ქსელურ სტრუქტურებში მონაწილეობის ჩარჩოებში (მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო და დამნერგავი ორგანიზაციების, ინვესტორების, ტექნოლოგიურ განახლებას ან რეანიმაციას დაქვემდებარებული წარმოებების და ა. შ. მონაწილეობით).

გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პროცესებში ჩაბმა დააჩქარებს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას განვითარებული ქსელური ურთიერთკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღებას ნეოინდუსტრიული ხასიათის

სტრუქტურულ-დარგობრივი ძვრების ხარჯზე და აქტიურ მონაწილეობას გლობალურ კონკურენციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and Their Coordination under Advansing Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 3. Issue 4. 2009. CA&CC Press. SWEDEN.
2. Burduli V., Abesadze R. Sectoral, Tecnological and Institutional-Organization Structures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 7. Issue 1-2. 2013. CA&CC Press. SWEDEN.
3. Freeman C. The "National System of Innovation" in Historical Perspective // Cambridge Journal of Economics. Vol. 19. P. 5-24.
4. Абел Аганбегян: что надо сделать, чтобы догнать и перегнать. 21 февраля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analityc_journel/4336.html
5. Аганбегян знает, где взять деньги (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analytic_journel/4339.html
6. Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси: 2014.
7. Абесадзе Р. Сетевая экономика и основные направления ее формирования в Грузии. В книге: SPOŁECZEŃSTWO SIECI. GOSPODARKA SIECIOWA W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ. T.1, "WYDAWNICTWO KUL", Lublin, 2011, c. 186-191.
8. Базылев Н. И., Соболева Н. В. Глобализация и «новая экономика» (соотношение понятий. – Проблемы современной экономики (Евразийский международный научно-аналитический журнал), №1/2 (13/14), 2005. www.m-economy.ru/art/php?nArtid=666
9. Баринов В., Жмуров Д. А. Развитие сетевых формирований в инновационной экономике. – ж.: Международный менеджмент в России и за рубежом, 2007, №1. dis.ru/library/561/561/25924/
10. Болычев О. Н., Волошенко К. Ю. Межорганизационные сетевые взаимодействия как определяющая форма научно-технического и инновационного сотрудничества России и Европейского Союза в Балтийском регионе. – ж.: Балтийский регион. №4/2013. cyberleninka.ru>Научные статьи>Экономика и экономические науки автор ОН БОЛЫЧЕВ-2013

11. Бурдули В., Церетели Г. Проблемы динамизации экономического развития Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1998, №4.
12. Васин С. Россия не должна проспать новую индустриальную революцию. 28 апреля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analytic_journal/4541/html
13. Википедия-интернет: определения: «новая экономика», «экономика знаний», инновационная экономика.
14. Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменений в мировой экономике. / С. Ю. Глазьев. www. spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm
15. Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3.
16. Голиченко О. Модели развития, основанного на диффузии технологий. – ВЭ, 2012, №4.
17. Горденко Г. В. Перспективы развития инновационных сетей. Innclub.info/wp-content/uploads/2011/02/горденко_6_конк_дд.doc
18. Гринберг Р. С. Контуры новой экономики и шансы евразийской интеграции. – Proceedings of Materials of International Scientific-practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. (28-29 June, 2013). Tbilisi: 2013.
19. Илья Быковников: идет поиск моделей повышения конкурентоспособности российской промышленности. 13 мая 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ) (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).
20. ირაკლი ღარიბაშვილი: "ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა... ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი". 18 თებერვალი, 2014. http://www.frontnews.ge/ge/news/27159-%/E1... (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).
21. ქარჩავა თ. თანაინვესტირების ფონდში უკვე 6 მლრდ დოლარი აკუმულირებულია. www.for.ge/view/php?for_id=27126&cat=1
22. Клинов В. Какой должна быть экономическая политика *(О книге Э. Райнерта «Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными»).* – Вопросы экономики, 2012, №1.
23. კომპანია „ალტამ" და სინერჯი ჯგუფმა" ინოვაციურ სტრუქტურულ მოდელზე მუშაობა დაასრულეს. 11.03.2014 (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით – internetnews.ge).
24. Корнаи Я. Инновации и динамизм: взаимосвязь систем и технического прогресса. – Вопросы экономики, 2012, №4.

25. May B. Между модернизацией и застоем: экономическая политика 2012 г. – ВЭ, 2013, №2.
26. Неоиндустриальная модель экономического развития и формирование перспективных инновационных кластеров (2013 г., Виртуальный проект, Казахстан). www.group-global.org/aef/view/163
27. Расулев А. Ф. Неоиндустриальная модель промышленности в свете формирования перспективных инновационных кластеров. shagdo.ru/docs/index-1008759.html
28. Сербиновский Б. Ю., Захарова А. С. О содержании терминов «инновационная экономика», «новая экономика» и «экономика знаний». – Научный журнал КубГАУ, №61(07), 2010. httr://ej/kubargo.ru/2010/07/pdf/11/pdf
29. Симачев Ю, Кузык М., Иванов Д. Российские финансовые институты развития: верной дорогой? – Вопросы экономики, 2012, №7.
30. Узун В. Российская политика поддержки сельского хозяйства и необходимость ее корректировки после вступления в ВТО. – Вопросы экономики, 2012, №10.
31. თანაინვესტირების ფონდი: ყველა კარგ პროექტს დავაფინანსებთ. 07-10-2013. ქვეყანაში 6 მლრდ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდება (ე. ტუხაშვილი). www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html
32. Эллман М. Что исследование переходных экономик дало мейнстриму экономической теории? – Вопросы экономики, 2012, №8.
33. Юданов А. Что такое инновационная фирма. – Вопросы экономики, 2012, №7.
34. Юданов А. Ю. Конкуренция: теория и практика. – М.: Акалис, 1996.

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ნეოინდუსტრიული განვითარება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პირობებში (თეორიული ასპექტი)

ანოტაცია

უკვე არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ეკონომიკური განვითარება ქვეყანაში ტრანსფორმირებადი ეკონომიკით უნდა ხდებოდეს განვითარების ნეოინდუსტრიულ მოდელზე დაყრდნობით, რომელში გათვალისწინებული იქნება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და გლობალიზა-

ციურ პროცესებში ინტეგრაციის პრობლემები. ამ თვალსაზრისით, სტატიაში თეორიულ ასპექტში გაანალიზებულია ცნებების "გლობალიზაცია", "ნეოინდუსტრიული განვითარება" და "ინოვაციური ეკონომიკა" ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდულობის საკითხები. ასევე, ყურადღება გამახვილებულია განვითარების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ისეთ ინსტიტუტებზე და მექანიზმებზე, როგორიცაა "განვითარების საფინანსო ინსტიტუტები" და "ქსელური ურთიერთობები", რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე ნეოინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკის უპირობო ატრიბუტს.

Вахтанг Бурдули
Доктор экономических наук

НЕОИНДУСТРИАЛЬНОЕ РАЗВИТИЕ В УСЛОВИЯХ ФОРМИРОВАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ЭКОНОМИКИ (ТЕОРЕТИЧЕСКИЙ АСПЕКТ)

Аннотация

В настоящее время уже никто не сомневается, что динамичное экономическое развитие в стране с трансформационной экономикой должно опираться на неоиндустриальную модель развития в которой учтены проблемы формирования инновационной экономики и интеграции в глобализационные процессы. С этой точки зрения, в статье в теоретическом аспекте анализируется взаимосвязь и взаимозависимость понятий «глобализация», «неоиндустриальное развитие» и «инновационная экономика». Заострено, в частности, внимание на таких институтах и механизмах развития, как «финансовые институты развития» и «сетевые взаимосвязи», которые являются безусловными атрибутами современной неоиндустриальной инновационной экономики.

Vakhtang Burduli
Doctor of economic sciences

NEO-INDUSTRIAL DEVELOPMENT AND THE FORMATION OF AN INNOVATIVE ECONOMY (THEORETICAL ASPEKT)

Annotation

Already no one doubts the facts that the dynamic economic development in a country in transition should focus on the neo-industrial model of development in the emerging innovation economy and perception of globalization. In this regard, the article analyzes the relationship and independence concepts of "globalization", "neo-industrial development" and "innovation economy". Pointed, in particular, focus on such institutions and mechanisms of State and business coordination as "development finance institutions" and "network interconnections", which are the absolute attribute of modern neo-industrial innovation economy.

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
მედეა მელაშვილი
თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელი

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

ტერმინს მნიშვნელოვანი როლი გააჩნია სიტყვის მეცნიერული არსის დაზუსტებაში. ამასთან დაკავშირებით სტატიაში რამდენიმე ტერმინს დავახასიათებთ:

1. ბიბლია და ქრისტიანული ეკონომიკური აზრი. ბიბლიის ეკონომიკურ სამყაროში ასახულია ისეთი თემატიკა, როგორიცაა საკუთრება, მოთხოვნილებები, სამეურნეო საქმიანობა, შრომა, ფული, საფინანსო, საგადასახადო, სასესხო და საბირჟო საქმე, ვაჭრობა, მოგება, მართვა, დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი, გარემოს დაცვა, ქველმოქმედება და მრავალი სხვა.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა მეცნიერების საფუძვლები, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, კულტურა, დემოკრატია, მათემატიკა, ფიზიკა, ფილოსოფია და ა.შ. [1, გვ. 10].

2. აქციის ბეტა. კონკრეტული აქციის აქტივთან რისკიანი აქციების ბაზარი, როგორც კოეფიციენტი, ისე ზომავს არადივერსიფიცირებულ, ანუ სისტემატიზებულ საბაზრო რისკს, დაკავშირებულს ფასიან ქაღალდებთან.

β (ბეტა) ბერძნული ასოა, მისი საშუალებით გათვლების ჩასატარებლად აქციის ბეტა თვალსაჩინოებისათვისაა შემოტანილი. მათემატიზებულ ლიტერატურაში შესაბამისი ფორმულის უფრო ზუსტი გამოსახულებაა ცნობილი.

ბეტა ზომავს არადივერსიფიცირებულ, ანუ სისტემატიზებულ საბაზრო რისკს, დაკავშირებულს ფასიან ქაღალდებთან. იგი ბაზრის მთლიანობაში ერთის ტოლია და აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშანი. ცნობილია ბეტას მნიშვნელოვანი მახასიათებლები [2, გვ. 70-72].

რისკის დახასიათება. რისკზე წასვლა გადაწყვეტილების მიღებაა რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ ალტერნატივას შორის, რომელთაგან ერთ-ერთს აუცილებლად ექნება ადგილი. აზრობრივად ეს პროცესი ორი ვარიანტით – მიმზიდველობით (მოგება) და ხიფათით (წაგება) წარმოიდგინება, რომელთაც ახლავს ამ მოვლენის მოხდენის ალბათობები.

რისკის აზრი ისეთია, რომ იგი არც ერთ ამ ვარიანტს რისკზე წასვლამდე არ გამორიცხავს, თუმცა აფასებს მათი მოხდენის ალბათობას. საერთოდ ასეა, რისკი რისკზე წასვლამდე ალბათურად ფასდება, ხოლო რისკზე წასვლის შემდეგ მისი რეალური შედეგით. რისკი გამიზნულია იმისათვის, რომ პროგნოზით შევძლოთ განვჭვრიტოთ მისი ვარიანტები და დროულად მივიღოთ გადაწყვეტილება, რათა რისკზე წასვლის შედეგად მისი ალბათობით გამარჯვებული აღმოვჩნდეთ.

ეკონომიური რისკი დასახული სამუშაოს შესრულებიდან მოსალოდნელი გადახრის ალბათობაა, როდესაც ზარალის სიდიდის პრაქტიკულად დასაშვები საორიენტაციო „ნორმა" შესასრულებლად მინიშნებულ სამუშაოს 5%-ს არ აღემატება – აღნიშნავდა პროფესორი გიორგი პაპავა [3, გვ. 247-259; 4, გვ. 140].

რისკს საბაზრო ეკონომიკაში ფართო გამოყენება აქვს. პროფ. გიორგი პაპავამ დაახასიათა რისკის რამდენიმე ვარიანტი და მოგვცა მათი შეფასება [3, გვ. 247-259].

ბიბლია და ქრისტიანული ეკონომიკური აზრი. მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა აზრი, თითქოს რელიგიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება მეცნიერება და პირიქით. ჩვენ ვთვლით, რომ ამის მიზეზია როგორც მეცნიერების, ასევე რელიგიისადმი ზედაპირული მიდგომა. ამგვარ წინააღმეგობას ადგილი არ აქვს. რელიგია და მეცნიერება შემეცნების სხვადასხვა ფორმებია და ისინი ერთმანეთს ავსებენ. საღმრთო წერილი გვასწავლის, ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილება ამტკიცებს, რომ ამქვეყნიური საკითხები ამაოა და წარმავალი, ამიტომ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში მთავარ ამოცანად იქცეს ის, რომ მატერიალური ყოფიერების სრულყოფას საფუძვლად დაედოს სულიერი ფუნდამენტი. თეოლოგიური მოძღვრება სამეცნიერო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით პროცესს, რომლის მიზანს ამქვეყნიური (ანუ დროებითი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს, ოღონდ აუცილებელ გარკვეულ ზნეობრივ ფარგლებში. ამ ფარგლებს ძალიან კარგად და სრულიად გარკვევით გვიდგენს ბიბლია, როგორც კაცობრიობის უნიკალური მონაპოვარი.

უაღრესად მრავალფეროვანია ბიბლიის ეკონომიკური სამყარო, რომელშიც სიღრმისეულადაა ასახული ისეთი თემატიკა, როგორიცაა საკუთრება, სიმდიდრე, მოთხოვნილებები, სამეურნეო საქმიანობა, შრომა, ფული, საფინანსო, საგადასახადო, სასესხო და საბირჟო საქმე, ვაჭრობა, მოგება, მართვა, დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი, გარემოს დაცვა, ქველმოქმედება და მრავალი სხვა. ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე მეც-

ნიერების საფუძვლები, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, კულტურა, დემოკრატია.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქამ თითქოს ჩრდილში მოაქცია ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები, სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად მიგვითითებენ ასეთი დასკვნების მცდარობაზე. ალბერტ აინშტაინი, უდიდესი ფიზიკოსი და მოაზროვნე მივიდა ასეთ დასკვნამდე, რომ „რაც უფრო მეტ აღმოჩენას აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივდივართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით".

ჯორჯ ვაშინგტონი ამბობდა, რომ „შეუძლებელია მარტო ქვეყანა მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე".

ცათა სასუფეველში არავითარი მიწიერი სიმდიდრე, ფული და ეკონომიკა არ იარსებებს, თუმცა ქრისტიანული სარწმუნოება არ განიკითხავს სიმდიდრეს და მდიდარ ადამიანს, მით უმეტეს წარმატებულ ეკონომიკას. მთავარია, ფული და სიმდიდრე კერპად არ გადაიქცეს. დიდი სჯულის კანონიც ამასვე ამბობს: „სიმართლით შექმნილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ".

მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ ფული, როგორც სიმბოლო ადამიანის შრომის და მატერიალური დოვლათისა, დღევანდელ ეტაპზე სულ უფრო და უფრო შორდება შრომას და მის შედეგად შექმნილ მატერიალურ ფასეულობებს. სხვადასხვა აფერის შედეგად ფული იწყებს შრომისაგან დამოუკიდებელ არსებობას და რაღაც გარკვეულ მომენტში მსოფლიო ეკონომიკა გარდაიქმნება უზარმაზარ პირამიდად, რომელიც ადრე თუ გვიან დაინგრევა და კვლავ მსოფლიო კრიზისს გამოიწვევს, რომლის არაერთი მაგალითი გაგვაჩნია. ზემოაღნიშნული საფრთხიდან გამომდინარე, დღეს ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი თვლის, რომ საზოგადოება ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის გაძლიერებას უნდა მიუდგეს სისტემურად, მასშტაბურად, სულიერი, ზოგადსაკაცობრიო, გლობალური და ასევე ეროვნული ღირებულებების დაცვისა და განვითარების გზით. ყოველგვარი ცვლილება, გაერთიანება, გლობალიზაცია, განვითარება მხოლოდ მაშინ იძლევა შედეგს, თუკი ეს ხდება უფლის გარშემო, ე.ი. სიკეთის, ზნეობის, ცოდნის საფუძველზე.

ბიბლიური მოძღვრების თანახმად, მდიდარი შემოსავლების მქონე ადამიანმა თავისი სახსრებით შეძლებისამებრ უნდა აღასრულოს შემდეგი:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და შესწიროს ეკლესიის განვითარებას;
2. დაეხმაროს სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით გაჭირვებულებს;

3. მოიხადოს მოვალეობა სახელმწიფოს მიმართ;
4. იზრუნოს ბუნების შენარჩუნებისათვის;
5. დაიკმაყოფილოს პირადი მოთხოვნილებები;
6. შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო.

უფლის ეს სწავლება უზენაეს ზნეობრივ ნორმას უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით ეკონომიკაში, სადაც ესოდენ ძალუმად მოქმედებენ მაცდური ძალები უძლიერესი მტრის – ვერცხლისმოყვარეობის მეშვეობით, რაც ყოველგვარი ბოროტების ფესვს წარმოადგენს. როგორც ი. კანტი ამბობდა, „ადამიანს არ შეუძლია თავის თავს და საზოგადოებას უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს, ვიდრე ბოროტების ბატონობიდან გათავისუფლებაა". სწორედ ამიტომ ბოროტების ძლევა, ანუ განვითარება, კერძოდ ეკონომიკური განვითარება, ბიბლიურ ზნეობას უნდა ექვემდებარებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. შიხაშვილი, ბიბლიური მოძღვრება მეურნეობის შესახებ და თანამედროვეობა. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2001, №4.
2. რ. სარჩიმელია, რისკის ელემენტები, თბილისი, „მარჯი", 2003.
3. გ. პაპავა, სამრეწველო ფორმის ორგანიზაცია და მართვა. ტ. 1, თბილისი, „სამშობლო", 1998.
4. რ. სარჩიმელია, რისკი და მისი განმარტების თავისებურებები. პროფ. გ. წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია". ტ. 2, თბილისი, 2012, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მედეა მელაშვილი
თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელი

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

ანოტაცია

დახასიათებულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტერმინი და მოცემულია მათი განმარტება.

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის შესაბამისობაში განხილულია ბიბლიის ეკონომიკური აზრი.

Роланд Сарчимелия
Доктор экономических наук,
Медеа Мелашвили
Научный сотрудник

ОПРЕДЕЛЕНИЯ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ

Аннотация

Охарактеризованы некоторые значительные термины и даны их определения.

В соотношении науки и религии рассмотрена экономическая мысль Библии.

Rolan Sarchimelia
Doctor of economic sciences,
Medea Melashvili

DEFINITION OF SOME TERMS

Annotation

Are cgaracterized some significant terms and given their definition.

In coordination of science and religion is discussed economic sense of the Bible.

ტურიზმი

გაიოზ ნადირაშვილი
პროფესორი,
დავით ჯანგულაშვილი
პროფესორი

საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

ფართო გაგებით, ტურიზმი განიხილება, როგორც ტურისტული კომპლექსი, ტურისტული მოძრაობა, ტურისტული საქმიანობა და ტურისტული ბაზარი. ტურიზმი მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდა თავისი ამოუწურავი პოტენციალით. საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული მიმართულებები სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებსა და მსოფლიოს ტურისტული კავშირების სისტემაში. XX საუკუნეში საერთაშორისო ტურისტული გაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა ევოლუციამ მსოფლიო ტურისტული საზოგადოებრიობის წინაშე დასვა ხარისხობრივად განსხვავებული პრობლემები ტურისტულ ბიზნესში, რომელიც XXI საუკუნის ახალი გამოწვევაა რესურსების, ინფორმაციისა და მომსახურების მიმართულებით.

ტურისტული ბიზნესი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი სწრაფადგანვითარებადი სექტორია. ზოგიერთი სპეციალისტის შეფასებით, საერთაშორისო ტურიზმი უმსხვილეს საექსპორტო დარგთა შორისაა წარმოდგენილი და ჩამორჩება მხოლოდ ნავთობმომპოვებელ და საავტომობილო მრეწველობათა დარგებს.

მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო საბჭოს მიერ მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკური საქმიანობა 2000 წელს 3,6 ტრლნ დოლარამდეა შეფასებული, რაც მსოფლიოს მთლიანი ნაციონალური პროდუქტის (მნპ) 11%-ს შეადგენს, რომლის მიხედვით იგი მსოფლიოს ეკონომიკაში ყველაზე მსხვილ დარგს წარმოადგენს.

ტურიზმიდან მიღებული თანამედროვე შემოსავლები შეფასებულია მრავალ ტრილიონ დოლარად, რაც მსოფლიოს მსხვილი სახელმწიფოების მთლიან ნაციონალურ პროდუქტს (მნპ) უტოლდება.

აღსანიშნავია, რომ მოგზაურობის მხრივ ყველაზე პოპულარული ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრიის წილი ამ ქვეყნების მნპ-ში საკმაოდ მოკრძალებულია (იხ. ცხრ. 1).

მნპ-ის სტრუქტურაში მაღალი შემოსავლები აქვთ ავსტრიას (8%), ესპანეთს (5,8%), შვეიცარიას (5,2%) და ა.შ. ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპებით ხასიათდება ჩინეთი, მექსიკა, აშშ [4].

ცხრილი 1

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან მნპ-ის სტრუქტურაში (1990-იანი წლების ბოლოს)[4]

№	ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებები	შემოსავლები აშშ-ის დოლარში	ტურიზმიდან შემოსავლების წილი მნპ-ში, %	ზრდის დინამიკა 1995-2020 წწ. %
1	აშშ	71,3	1,0	3,5
2	საფრანგეთი	29,9	3,0	1,8
3	იტალია	29,8	3,0	2,2
4	ესპანეთი	29,7	5,8	2,4
5	დიდი ბრიტანეთი	21,0	2,0	3,0
6	გერმანია	16,4	1,2	არაა მონაცემი
7	ჩინეთი	12,6	0,4	0,8
8	ავსტრია	11,2	8,0	არაა მონაცემი
9	კანადა	9,4	1,5	არაა მონაცემი
10	მექსიკა	7,9	1,0	3,6
11	შვეიცარია	7,8	5,2	არაა მონაცემი
12	ავსტრალია	7,3	1,9	არაა მონაცემი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განხორციელებული ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პარალელურად აუცილებელია შიდა, ნაციონალური ტურიზმის პროგრამების მხარდაჭერა. ცალკეული ქვეყნის მასშტაბით შიდა ტურიზმი, ნაციონალური შემოსავლის გადანაწილებით, უზრუნველყოფს ნაციონალური ეკონომიკის სტაბილურობას, სხვადასხვა დარგების განვითარების ინტერესთა ერთიანობას და სასიკეთო გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. დღევანდელ პირობებში ტურიზმი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სფეროს, რომელიც ბევრ ქვეყანაში მძლავრად განვითარებად ინდუსტრიად გადაიქცა.

XXI საუკუნის კაცობრიობა თავის ძალისხმევას წარმართავს უკეთესი მომავლის ასაშენებლად. ტურიზმი დიდი ხანია ფართოდ გავრცე-

ლებული სოციალური მოვლენა გახდა, როგორც სოციალური ინსტიტუტი კი ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში.

ტურისტული ბიზნესის გრანდიოზული წინსვლა განპირობებულია საერთაშორისო და რეგიონული ტურისტული გაცვლების ინტენსიური განვითარებით და ტურისტული მომსახურების მომხმარებლისა და მწარმოებლის მნიშვნელოვანი განცალკევებულობით დროსა და სივრცეში.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ფაქტორებია მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა პლანეტის უდიდეს ტერიტორიაზე, უმრავლეს ქვეყნებში ტურიზმის მხარდაჭერა სახელმწიფოთა მთავრობებისგან, საზოგადოების სიმდიდრის ზრდა, სამუშაო დროის შემცირება, ტრანსპორტის ზრდა-განვითარება, საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა, ურბანიზაციის დონის ამაღლება. საერთაშორისო ტურიზმი პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ფაქტობრივად ცხოვრების გლობალური სტილის საფუძველი ხდება.

მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მონაცემებით, ბოლო ათწლეულებში სისტემატურად იზრდება საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა. საშუალოდ მსოფლიო ტურისტული ბიზნესი ყოველწლიურად 3-4%-ით იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ამ პროცესს ხელს უშლის მსოფლიოს და ცალკეული რეგიონების კრიზისები.

მთლიანად XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმის განვითარება მდგრადობით ხასიათდება. 1997-1998 წლების კრიზისებმა ნაწილობრივ ხელი შეუშალა ტურიზმის განვითარებას აზიის რეგიონში, თუმცა ყოველწლიური 4%-ით ზრდა მაინც დაფიქსირდა.

XX საუკუნის ბოლოს ტურიზმი მთლიანად საერთაშორისო და ინტერნაციონალური გახდა შემდეგი ორი ფაქტორის ხელშეწყობით: ტურისტული საწარმოები მეტი შემოსავლის მისაღებად აფართოებენ თავიანთ გეოგრაფიას მსოფლიოს მასშტაბით; რენტაბელობის გაზრდისთვის ტურისტულ ბიზნესს სჭირდება საერთაშორისო მასშტაბის ინვესტიციები.

ამავე პერიოდში ტურიზმი კაცობრიობის ცხოვრების მასობრივი მოვლენა გახდა, რაც განაპირობა მსოფლიოში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებმა, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფამ, მომსახურების სფეროს განვითარების მაღალმა ტემპებმა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და ცხოვრების ხარისხის სრულყოფამ და ა.შ. [9]. ასეთი ვითარება ხელს უწყობს რეგიონთაშორისი კონკურენციის განვითარებას, როდესაც მომსახურების მაღალი სტანდარტების ახალი ტურისტული რეგიონები იძულებუ-

ლი ხდებიან განაახლონ ტურისტული მომსახურების ტექნოლოგიები მეტი ტურისტული ნაკადების მისაღებად.

ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ტურიზმმა გიგანტური წინსვლა განახორციელა და იგი გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მაღალგანვითარებულ და მაღალშემოსავლიან დარგად. ამჟამად ტურიზმის წილად მსოფლიოში მოდის ინვესტიციების 7%, საგადასახადო შემოსავლების 5%, საერთაშორისო ვაჭრობის და მომსახურების 1/3, მთლიანი შიდა პროდუქტის 10%, მსოფლიოში დასაქმებულთა 8,2%, ე.ი. ყოველი მეშვიდე მომუშავე ადამიანი ტურიზმის ბიზნესშია დასაქმებული. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით 2011 წელს საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობის რაოდენობა იყო 983 მლნ და მიმღები ქვეყნების შემოსავალმა შეადგინა 1,030 ტრლნ ამერიკული დოლარი. 2020 წლისთვის, პერსპექტიული მონაცემებით, მსოფლიოში შემოსული ტურისტების რაოდენობა იქნება 1,6 მლრდ ადამიანი, რაც 3-ჯერ გადააჭარბებს 2000 წლის მაჩვენებელს, ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი 2 ტრლნ დოლარი იქნება. ტურისტების ყოველდღიური დანახარჯი, საავიაციო გადაზიდვების გამოკლებით, 5 მლრდ დოლარს შეადგენს.

ტურისტების ექსპორტიორი პირველი ხუთი სახელმწიფო, ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიოში შემოსავლების 50%-ს უზრუნველყოფს, რაც კაპიტალის მაღალი კონცენტრაციაა ეკონომიკის სხვა ბაზრებსა და სექტორებთან შედარებით. ამ ქვეყნებს შორის ბრძოლის ხასიათი ტურისტების მოსაზიდად ფაქტობრივად განსაზღვრავს კონკურენციის ხასიათს ტურისტულ ბაზარზე. ამიტომაა, რომ მსოფლიოს ტურისტული ბაზრობები და გამოფენები ძირითადად ამ ქვეყნებში ტარდება.

მძლავრი ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს ახალი ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებში, როგორიცაა: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები: ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია. ამ ქვეყნებში სწრაფად ყალიბდება საშუალო კლასი. ამრიგად ყალიბდება ახალი ტურისტული მიმართულებები, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ავსტრალია. საყურადღებოა ასეთი მაგალითები საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის.

ტურისტების მიმღები ქვეყნებიდან გამოირჩევა აშშ, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი. ამ ჯგუფში ძლიერდება ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, თურქეთი, ტაილანდი, მალაიზია და სხვა. მასშტაბურ ინვესტიციებს ახორციელებენ განვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებში. ამის შედეგად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი განვითარებადი ქვეყნებიდან მიედინება განვითარებულ ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმიდან შემოსავალი მთლიანად ნაციონალური პროდუქტის განმსაზღვრელია: ბერმუდის კუნძულები – 34,7%, სეიშელის კუნძულები – 27,4, ანტიგუა – 58,5, ბაგამი – 52,1%.

არსებული ზოგიერთი მონაცემებით, შედარებით ნაკლებგანვითარებულ 49 ქვეყანაში, ტურიზმი ნავთობის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს უცხოური ვალუტის შემოტანით.

სპეციალისტების აზრით, არ იქნება სწორი, თუ გადამეტებულად შევაფერხებთ ტურიზმის და სტუმარმასპინძლობის მნიშვნელობას მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ დარგში არ იწარმოება თანამედროვე წარმოების საშუალებები, რაც მსოფლიოს პროგრესის საფუძველია და სხვა.

როგორც წესი, ქვეყნები ხელს უწყობენ შემომყვანი ტურიზმის განვითარებას, რადგან მასთანაა დაკავშირებული მეტი რაოდენობით ვალუტის შემოსვლა და ეკონომიკის განვითარების მულტიპლიკატური ეფექტი, რაც გამოიხატება ტურიზმის საშუალებით მომსახურების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნაში. ტურიზმი ხელს უწყობს ჩამორჩენილი და დეპრესიული რეგიონების განვითარებას, ისტორიულად მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო ქალაქების აღორძინებას, რასაც საქართველოსთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვეყნები, რომლებიც ტურისტებს იღებენ და ასევე აგზავნიან სხვა ქვეყნებში. ტურისტების გამშვები ქვეყნებიდან ძლიერი პოზიციები გააჩნიათ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც საკუთარ მოსახლეობას უქმნიან ცხოვრების მაღალ სტანდარტებს. ასეთი ქვეყნებია გერმანია, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი (იხ. ცხრ. 2) [4].

როგორც წესი, ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარებას უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდა, რაც დამტკიცდა ისეთი ქვეყნების მაგალითზე, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყანა. ამ გამოცდილების გამოყენება აუცილებელია როგორც აფრიკის ქვეყნების, ისე სხვა რეგიონების საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

ცხრილი 2

გამყვანი ტურიზმის ლიდერი ქვეყნები 2020 წ.
(მტო-ის პროგნოზი)

№	ქვეყანა	საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა, მლნ	ბაზრის წილი %
1	გერმანია	163,5	10,2
2	იაპონია	141,5	8,8
3	აშშ	123,5	7,7
4	ჩინეთი	100,0	6,2
5	დიდი ბრიტანეთი	96,1	6,0
6	საფრანგეთი	37,6	2,3
7	ნიდერლანდი	35,4	2,2
8	კანადა	31,3	2,0
9	რუსეთი	30,5	1,9
10	იტალია	29,7	1,9

ბოლო წლებში ტურიზმი უპირატესი ტემპებით ვითარდება, აფრიკაში – 9%, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – 17,5%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში – 8,5%. ამავე დროს, ზოგიერთ რეგიონში განვითარების დაბალი ტემპებია, მაგალითად, 1999 წელს ევროპაში იყო 1%, თუმცა ევროპა პირველ ადგილზეა შემოსული ნაკადებით – 385,9 მლნ ტურისტი. ასეთი ვითარება ხელს უწყობს რეგიონთაშორისი კონკურენციის განვითარებას, როდესაც მომსახურების მაღალი სტანდარტების ახალი ტურისტული რეგიონები იძულებული ხდებიან, განაახლონ ტურისტული მომსახურების ტექნოლოგიები მეტი ტურისტული ნაკადების მისაღებად.

რეგიონული მასშტაბით ტურიზმი არათანაბრად ვითარდება, ძირითადად გამოიყოფა შემდეგი ტურისტული რეგიონები: ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთი აზია, წყნარი ოკეანის რაიონი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი აზია. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტურიზმის სწრაფი ზრდა, ტურისტული ნაკადების მოზღვავება დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიისათვის. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, მსოფლიოს მასშტაბით ტურისტული ბრუნვის მოცულობამ აქ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია, რაც ტურიზმის სპეციალისტების, მარკეტოლოგების და მეწარმეთა სპეციალური შესწავლის საგანი გახდა.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პროგნოზებზე ბრიტანეთის მსხვილი ტურისტული გამომცემლობა „ტურიზმის ინდუსტრია,

დასვენება და ჯანმრთელობა, №1(10)", ჯერ კიდევ 1999 წელს იუწყებოდა, რომ 2010 წლამდე საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპები გარკვეულწილად შემცირდებოდა და 2005 წელს იქნებოდა 4,4%, 2010 წელს – 4,3 %, მაშინ, როდესაც 1999-2000 წლებში ზრდის ტემპი 5%-ზე მეტი იყო. პროგნოზებში მითითებული იყო აგრეთვე, რომ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან გამსვლელი ტურისტული ნაკადები შემცირდებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, პირიქით, ზრდის ტემპები მაღალი დარჩებოდა. დიდი ცვლილებები იყო დაფიქსირებული შემომყვანი ტურიზმის მიმართულებითაც. შორ მანძილზე რეგიონთაშორისო მგზავრობების მატებამ 1995 წელს 15%-ის მაგიერ 25% შეადგინა. სპეციალისტების ასეთი პროგნოზი იმასთან იყო დაკავშირებული, რომ თანამედროვე ტურისტული ინდუსტრია ტურისტებს სთავაზობს ახალ, მრავალფეროვან და საინტერესო ტურისტულ პროდუქტებს მოგზაურობის უსაფრთხოების მაღალი გარანტიებით.

მტო-ს პროგნოზით, რომელიც მოცემულია სპეციალურ გამოკვლევაში „Tourizm: 2020 vision", განსაზღვრულია XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიული და პოპულარული ტურიზმის სახეები: სათავგადასავლო, ეკოლოგიური, კულტურულ-შემეცნებითი, თემატიური, საქმიანი და საკრუიზო.

ბოლო ათწლეულები მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნება ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. ამასთან, საერთაშორისო ტურიზმში შთამბეჭდავი მიღწევები, პირველ რიგში განაპირობა ტურისტულ მოთხოვნა-მიწოდებაში განხორციელებულმა ხარისხობრივმა ცვლილებებმა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ტურისტული მოთხოვნის სფეროში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა, რომლებიც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა და თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში მომხდარმა ცვლილებებმა. ტურისტული მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესებამ. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში 2008-2009 წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მნიშვნელოვანი დაქვეითება. ამას მოჰყვა სოციალურ სფეროში ცვლილებები, რამაც გავლენა მოახდინა ტურისტულ მოთხოვნაზე. ამ პროცესების შედეგი იყო საპენსიო ასაკის და სამუშაო კვირის შემცირება, გაიზარდა შვებულება, რასაც მოჰყვა სამუშაო გრაფიკის შემოღება. განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო შრომის ბაზარზე განვითარებული დისპროპორციების შემცირებისაკენ, თუმცა ერთდროულად მათ გამოიწვიეს მოსახლეობის თავისუფალი დროის ფონდისა და ტურისტული მომსახურების პოტენციური მომხმარებლების რაოდენობის გაზრდა.

განხილულმა ფაქტორებმა ღრმა ცვლილებები გამოიწვია ტურისტულ მოხმარებაში როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონული მასშტაბით. თავისუფალი დროის გაზრდამ, საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე, მოსახლეობის რეკრეაციულ ქცევაში ორი ძირითადი ტენდენცია გამოაჩინა: შვებულების დანაწილება და ხანმოკლე მოგზაურობების სიხშირის გაზრდა.

ტურიზმი სულ უფრო მეტად გლობალური ხასიათისა ხდება. მსოფლიო ტურისტული ბაზრის ჩამოყალიბებას თან ახლავს ტარნსნაციონალიზაციის მძლავრი პროცესები, რომელიც გამოხატულებას პოულობს კერძო კაპიტალის საერთაშორისო კავშირების წარმოშობაში, სხვადასხვა ქვეყნების მონოპოლიებს შორის კავშირების გაძლიერებაში, ტრანსნაციონალური კომპანიების მძლავრ განვითარებაში ტურისტული ბიზნესის სფეროში. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის ბევრი საწარმო ერთიანდება მსხვილ სამეურნეო კავშირებად და არღვევენ ცალკეული ქვეყნების სივრცის ჩარჩოებსა და მათ ნაციონალურ ბარიერებს, მოკლე პერიოდში საერთაშორისო ცხოვრებაში ისინი მნიშვნელოვან მოვლენებად გადაიქცნენ. ასეთი ახალი ეკონომიკური წარმონაქმნები წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეებს შეესაბამებიან და ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების შემოღებას და გავრცელებას უზრუნველყოფენ.

XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ახალი ეპოქა დაიწყო. კაცობრიობა სამყაროს აღმოჩენებს ახდენს ტურიზმის ფორმით, რომელიც თანამედროვეობის დიდი მნიშვნელობის მასობრივ მოვლენას წარმოადგენს.

საზოგადოების ევოლუციამ, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ზრდამ, სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატებამ, ურბანიზაციის მსოფლიო პროცესის განვითარებამ და სხვა მნიშვნელოვანმა სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები, მათ შორის საერთაშორისო ტურიზმის დინამიური განვითარება. საერთაშორისო ტურიზმის მუდმივი ზრდა-განვითარება საზოგადოების ცხოვრებაში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორიცაა: მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, თავისუფალი დროის გადიდება, რეგიონების ღიაობის ამაღლება და სხვა.

ტურიზმი, როგორც დასვენება-გართობის სასიკეთო საქმიანობა, მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობს. უხსოვარი დროიდან, ყოველგვარი კონკრეტული მიზანდასახულობის გარეშე, ადამიანების ცნობისმოყვარეობას იზიდავდა მოგზაურობა, თანამედროვე პერიოდში კი, ადამიანები მოგზაურობენ გარკვეული მიზნებით, როგორიცაა საგანმანათლებლო, რელიგიური, რეკრეაციული, საქმიანი (ბიზნესი) და სხვა მრავალი მიზნის შესასრულებლად. მილიონობით ახალი ტიპის მოგ-

ზაურთა გამოჩენას ხელი შეუწყო ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებამ და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის გაფართოებამ. ტურიზმმა საზოგადოების ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა იმის შედეგად, რომ იგი გადაიქცა უნიკალურ მსხვილმასშტაბიან მსოფლიო ინდუსტრიად, ხოლო ტურისტული რესურსები თანდათან ბევრი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა.

თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ტურიზმი განიხილება, როგორც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცხოვრების ხარისხში კი იგულისხმება ადამიანთა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, დასვენება, დასაქმება, კულტურული განვითარება, ოჯახური კეთილდღეობა, ჯანმრთელი გარემო) დაკმაყოფილების რეალური უზრუნველყოფა. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებაში ტურიზმი განიხილება, როგორც ადამიანის მოთხოვნილებათა რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც სხვადასხვა სახის ტურიზმში პოულობს გამოხატულებას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ძირითად სიმდიდრეს მხოლოდ ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს, ამიტომ ბევრი განვითარებადი ქვეყნის არსებობა დამოკიდებულია მინერალური ნედლეულის მოპოვებასა და ექსპორტზე. მსოფლიო ეკონომიკაში კარგადაა ცნობილი ე. წ. „ყავისა" და „ბანანის" ქვეყნების განვითარების პრობლემები, რაც დაკავშირებულია მსოფლიოს ეკონომიკურ მეურნეობაზე მათ დამოკიდებულებასთან. ბუნებრივი რესურსების გაუწონასწორებელ ექსპლუატაციას ამ ქვეყნებისთვის არ მოაქვს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი გარანტიები. ბუნებრივი რესურსების სიმდიდრის მიუხედავად, განვითარებად ქვეყნებში ადამიანები სიღარიბეში ცხოვრობენ, ამიტომ ამ ფენომენს ეკონომისტებმა „რესურსული საშინელება" უწოდეს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ჯ. საქსმა და ე. ფორნერმა შეისწავლეს 95 განვითარებადი ქვეყანა, რომელთაც 1970-1990 წწ. მაღალი რესურსდამოკიდებულების კოეფიციენტი გააჩნდათ (ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან). გამოკვლევის შედეგებით მათ გააკეთეს დასკვნა, რომ რაც უფრო მაღალია რესურსდამოკიდებულების კოეფიციენტი, მით დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დონე. საერთაშორისო ტურიზმი ბუნებრივი რესურსების უკეთესად გამოყენების საშუალებას იძლევა. შემთხვევითი არაა, რომ ქვეყნებმა, სადაც „რესურსული საშინელებების" პრინციპი მოქმედებს, დაიწყეს ეკონომიკისადმი დიფერენცირებული მიდგომა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას მოჰკიდეს ხელი. მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა იამაიკა, ზამბია, ხანგრძლივი პერიოდის

განმავლობაში თავს ირჩენდნენ ბუნებრივი რესურსების ექსპორტით (იამაიკა ჯერ შაქრის ლერწმის სპეციალიზაციით, შემდეგ ბოქსიტების ექსპორტით, ხოლო ზამბია სპილენძის და კობალტის ექსპორტით). მსოფლიოს ეკონომიკური კონიუნქტურის შეცვლის გამო ორივე ქვეყანა იძულებული გახდა, დაეწყოთ საერთაშორისო ტურიზმის და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება. მაგალითად, ტურისტული ზონების და სასტუმროების პრივატიზაციით ზამბიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი ტურისტების შემოსვლა და, შესაბამისად, ტურიზმიდან შემოსავალიც. ტურისტების ძირითადი ნაკადები შემოვიდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინგლისი, იტალია, გერმანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ ის ქვეყნებიც, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი საექსპორტო რესურსული დამოკიდებულება და, ამავე დროს, წარმოადგენენ ეკონომიკაში საკმაოდ წარმატებულს, დაინტერესებული არიან საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით და ახორციელებენ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიცირებას. ასეთი ქვეყნების წარმომადგენელია გაერთიანებული არაბული ემირატები. მდგრადი განვითარების მიზნით მან დააკონსერვა პერსპექტიული მდიდარი ნავთობის საბადოები მომავალი თაობების ცხოვრების ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით გაერთიანებული არაბული ემირატები გახდა მრავალმხრივ წარმატებული ქვეყანა, ხოლო მისი დედაქალაქი აბუ-დაბი – ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ტურიზმის უმსხვილესი ცენტრი.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პროგნოზი – მსოფლიოს ქვეყნებში შემოსული საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ 2010 წელს 1 მლრდ-ს მიაღწია, ხოლო მტო-ს პროგნოზით 2020 წელს 1,5 მლრდ-ს გადააჭარბებს, რაც ჩინეთის მოსახლეობის ეკვივალენტი იქნება. 2020 წლისათვის ჩამოყალიბდება საერთაშორისო ტურისტების მიმღები 3 ძირითადი რეგიონი: ევროპა მიიღებს 717 მლნ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი – 397 მლნ, ამერიკა – 282 მლნ ტურისტს. მათ მოჰყვება აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთი აზია. მაშასადამე, ამ პერიოდისთვის მიმღები რეგიონების მნიშვნელობა და საბაზრო წილი დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით არსებითად შეიცვლება: ევროპის საბაზრო წილი მნიშვნელოვნად შემცირდება, ამავე დროს, შემოსული ტურისტების რაოდენობით მეორე ადგილს მტკიცედ დაიკავებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, რომელიც ამ მაჩვენებლით მნიშვნელოვნად გაუსწრებს ამერიკის კონტინენტს. ერთდროულად მნიშვნელოვნად გაიზრდება საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი და 2020 წელს მიაღწევს 2 ტრლნ დოლარს, რაც ეკვივალენტური იქნება ინგლისის ან გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტის. ტურიზმსა და სტუმარმასპინ-

ძლობის ინდუსტრიაში დასაქმებული იქნება 300 მლნ ადამიანი, რაც დღევანდელი აშშ-ის მოსახლეობის ეკვივალენტური იქნება. პროგნოზით, ყოველი მე-11 ადამიანი ტურიზმის და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში იქნება დასაქმებული. 2020 წლისთვის ამ დარგში მოსალოდნელია 2 ტრლნ დოლარის ინვესტირება, ანუ მსოფლიო მეურნეობაში დაბანდებული მთლიანი ინვესტირების 10%.

დღევანდელ ტურიზმში ორი ტენდენცია არის გამოკვეთილი: იგი, ერთი მხრივ, განიცდის გარეშე ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენას და, მეორე მხრივ, არაკეთილნაყოფიერ პირობებშიც კი ავლენს თავისი მოცულობის სწრაფად აღდგენის უნარს. თუმცა, მსოფლიო საფინანსო ბაზრის სტაბილურობამ გამოიწვია გარკვეული ცვლილებები ტურისტების საშვებულებო ჩვევებში, გაიზარდა დაგვიანებული დაჯავშნის რიცხვი და შემცირდა დასვენების პერიოდში დანახარჯი. კანონზომიერია აღინიშნის, რომ ტურიზმი XX საუკუნის დასასრულს კულტურის ღრმად დამკვიდრებული შემადგენელი ნაწილი გახდა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ხელის შემშლელ ფაქტორებად მოსალოდნელია ტურიზმისა და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები, ინფლაციური ტენდენციები, რაც ფასების ზრდასთან იქნება დაკავშირებული, ეპიდემიურ დაავადებათა აფეთქება, ზოგიერთი ქვეყნის მიერ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება და სხვა გარემოებები.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების რეგიონული ტენდენციების ზოგადი დასკვნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპები დამახასიათებელია აზიის (ინდონეზიის, ჩინეთის და სხვა), აფრიკის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ტუნისი) და ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვისაც;
- საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას თანამედროვე პირობებში ხელი შეუწყო ეკონომიკური, პოლიტიკური და ბუნებრივი ხასიათის სხვადასხვა ფაქტორებმა, ეკონომიკის დინამიურმა განვითარებამ განაპირობა საერთაშორისო ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარება, რომლის მაგალითებია ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია, თურქეთი, სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები (კამბოჯა, ტაილანდი) და სხვა;
- კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი მასტაბილირებელი ფაქტორია ტურისტული ნაკადების შესანარჩუნებლად, რომლის კარგი მაგალითებია ევროპის რეგიონის ქვეყნების მიღწევები ტურიზმის სფეროში. ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა კი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების გადამწყვეტი ხელის შემშლელი ბარიერია. ამის მაგალითებია აფრიკის, აზიის, სამხრეთ

ამერიკის რეგიონების ქვეყნები, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში არსებითი ფაქტორია მარკეტინგული საქმიანობა. ტურპროდუქტის დაძველება აფერხებს ტურისტული ნაკადების განვითარებისა და ზრდის პროცესს, რომლის მაგალითია ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთი ევროპული ქვეყანა. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს ტურისტულ ბაზარზე ინოვაციების დანერგვას.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონიუნქტურულ რყევებზე, როგორიცაა ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილება და სხვა პროცესები. ტურიზმის განვითარებაზე აქტიურად ზემოქმედებს პოლიტიკური, ბუნებრივი, ეკონომიკური ფაქტორები (სხვადასხვა კატასტროფები, ტერიტორიული პრობლემები, ეკონომიკური კრიზისები და სხვა). ასეთი პრობლემების მოხსნის შემთხვევაში საერთაშორისო ტურიზმი სწრაფად აღიდგენს დაკარგულ პოზიციებს.

ტურიზმი საქართველოში ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი კომპლექსია.

საერთაშორისო ტურისტულ რეიტინგებში საქართველოს ტურიზმის ძირითადი მაჩვენებლებით დღეისათვის მოკრძალებული მდგომარეობა უკავია, თუმცა დადებითი ძვრები შესამჩნევია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტივობებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და ტურიზმის სექტორის ტენდენციებში.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2010 წლიდან ეკონომიკის მინისტრის საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის ინდუსტრიის როლის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარებით საქართველოში მაღალი, საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

2013 წელს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია ზრდადი იყო და საერთაშორისო ტურისტული შემოსავლები 22%-ით გაიზარდა, შემოსული ტურისტების რაოდენობამ 5 მლნ-ს გადააჭარბა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშის „UNWTO World Tourism Borometer" (2013 წლის დეკემბერი) მიხედვით, საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელი ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალპროცენტიან მატებად ჩაითვალა.

საქართველოს ეკონომიკაში შიდა და საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავ-

ლიდან 58% ტურიზმზე მოდის. ზრდადობით ხასიათდებოდა საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები, რის შედეგად 2013 წელს მისმა რაოდენობამ 1,72 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც მშპ-ის 6,5%-ს შეადგენს. 2013 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 2011 წელთან შედარებით (73-ე პოზიცია) 7 პოზიციით გაიზარდა და 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი დაიკავა (4,10 ქულა). გარდა ამისა, „Rongr Guides" თანახმად საქართველო მეხუთე ადგილს იკავებს 10 საუკეთესო მოსანახულებლად რეკომენდებულ ქვეყნებს შორის და ტურისტულად ისეთი განვითარებული ქვეყნების შემდეგაა, როგორიცაა ბრაზილია და თურქეთი. საქართველო არის ICC (International Conferennce and Congress) წევრი.

ტურისტული საქმიანობის ყველა მიმართულებით ხდება ტურპროდუქტის მიწოდების სფეროს გაფართოება და მათი სპეციალიზაციის გაღრმავება. საქართველოს ტურიზმში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ემთხვევა მსოფლიო მიმართულებებს, თუმცა ისინი შენელებულია და მოითხოვს დაჩქარებულ განვითარებას. ამიტომ საჭიროა მუდმივი ძიება ბაზარზე მუშაობის ახალი ფორმების და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების დასადგენად.

ტურიზმის გლობალიზაციის ტენდენციები ასახვას პოულობს ტურისტული ბიზნესის წარმომადგენელთა მისწრაფებებში, რომ აღდგენს და განვითარდეს სტუმარმასპინძლობის ქართული ტრადიციები.

საქართველოს მდიდარი ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული პოტენციალი გააჩნია, თუმცა დღეისათვის, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე აუტსაიდერის მდგომარეობაში ვიმყოფებით. ტურიზმის განვითარების სფეროში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაში მდგომარეობს, რომლის საფუძვლები იქნება ტურიზმის დაჩქარებული განვითარებისათვის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნა, ასევე უცხოეთის ქვეყნების ტურისტული გამოცდილების გაანალიზება და გამოყენება.

საერთაშორისო და რეგიონული ტურიზმის განვითარების გათვალისწინებით საჭიროა საქართველოს სანედლეულო სპეციალიზაციის შესწავლა, რათა ტურიზმის მდგრადი განვითარების განხორციელება მოხდეს კვლავწარმოების პროცესში ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გონივრული ჩართვით და მთლიანად გამოირიცხოს მათი მტაცებლური ექსპლუატაცია. ასეთი გამოკვლევები შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას და ტურიზმის ორგანოებს, ოპტიმალუტად განსაზღვრონ საქართველოს ადგილი და მონაწილება საერთაშორისო და რეგიონული ტურიზმის განვითარებაში, ოპტიმალურად შეაფასონ საქართ-

ველოს რესურსული პოტენციალი, ტურიზმის ნაკადების მოცულობა და მიმართულებები.

საქართველოში დაჩქარებული განვითარების სტრატეგიის ფორმირება უნდა განხორციელდეს უცხოეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რომლის მთავარი ამოცანა იქნება, საშინაო და საერთაშორისო ბაზრებზე ნაციონალური ტურისტული პროდუქტის წინ წაწევის მიზნით, მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნების უზრუნველყოფა.

დასასრულ, საქართველოში ტურიზმის განვითარების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- გამსვლელი ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება შემომსვლელ ტურისტებს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ადგილობრივ ტურისტულ ფირმებს არ გააჩნიათ სურვილი, დაამუშაონ ეროვნული ტუროპერრეიტინგის სქემა, რამდენადაც დასავლეთის ქვეყნების სქემის მიხედვით საქმიანობა გაცილებით მარტივია. თუმცა, მეორე მხრივ, ეს იწვევს ტურისტული კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობით უცხოეთის ქვეყნებში გადინებას;
- არსებული ტურისტული ფირმების რაოდენობა აღემატება ტურისტული მომსახურების ბაზრებზე მოთხოვნას, რაც მწვავე კონკურენციას იწვევს ბაზარზე;
- ტურიზმის მატერიალური ბაზა მოითხოვს მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას და დიდი მოცულობის ინვესტიციებს, რადგან არსებული დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს და ბაზრის მოთხოვნას;
- სასტუმრო მომსახურებაზე მოთხოვნა დაბალია, განსაკუთრებით რეგიონებში, ამას მოსდევს სასტუმროების და ნომრების ფონდის შემცირება, რეგიონების სასტუმრო მეურნეობაში ამას ემატება წამგებიანობის სტრატეგია. ამის პარალელურად მიმდინარეობს უცხოეთის სასტუმროების კომპანიების ჩანერგვა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე;
- სამთავრობო და რეგიონულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შიდა ტურიზმის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. T. Coles, M .Hall International and Regional Tourism: Global Issues: Contemporary interact actions, 2008.
2. Page St. Connell J . Tourism: A Modern Synthesis, second edition ,2009.
3. Александрова А., Международный туризм,М., Аспект-пресс,2004.
4. Воскресенский В., Международный туризм, М., Юнити. 2013.

5. Зорин И., Каверина Т., Кварталънов В,,Туризм вид деятельности, М., 2013.
6. Квартальнов В., Туризм. Учебник. М., 2002.

გაიოზ ნადირაშვილი
პროფესორი,
დავით ჯანგულაშვილი
პროფესორი

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების რეგიონალური ტენდენციები

ანოტაცია

ნაშრომში მოცემულია საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების თავისებურებები ბოლო 20-30 წლის განმავლობაში, მითითებულია ძირითადი მაჩვენებლები ტურისტული ნაკადების მიმართულებებზე, საფინანსო შემოსავლებზე მთლიანად მსოფლიოში და მიკრორეგიონების მიხედვით.

საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების სტრატეგიის ფორმირება უნდა განხორციელდეს უცხოეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რომლის მთავარი ამოცანაა საშინაო და საერთაშორისო ბაზრებზე ნაციონალური ტურისტული პროდუქტის წინწაწევის მიზნით ყველა პირობის შექმნა უცხოეთის ქვეყნების ინვესტიციების და ადგილობრივი მთავრობის სუბსიდიების მაქსიმალური ზრდის საფუძველზე.

Гаиоз Надирашвили
Профессор,
Давид Джангулашвили
Профессор

РЕГИОНАЛЬНЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ МЕЖДУНАРОДНОГО ТУРИЗМА

Аннотация

В работе рассматриваются особенности развития международного и регионального туризма в последные 20-30 лет, приводятся основные показатели по направлениям туристических потоков, финансовым доходам в целом мире и по микро-регионам. В Грузии формирование стратегии ускоренного развития туризма должно совершатся на основе изучения богатого опыта иностранных стран, задачей которых является создание соотвествующих условий по продвижению национального туристического продукта на межлународных и внутренных рынках с максимальным использованием инвестиций зарубежных стран и субсидий правительства.

Gaioz Nadirashvili
Professor,
David Jangulashvili
Professor

REGIONAL TRENDS OF INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT

Annotation

The work explores the peculiarities of international and regional tourism development during the last 20-30 years , given the main indicators of tourism destinations, financial incomes according the regions and whole the world. Formation strategy of accelerated tourism development in Georgia should be based on the analyze of rich experiences of foreign countries. It is very important to create essential conditions for the national tourist product promotion in the international and domestic markets.

ლაშა ლაბაძე
თსუ-ს დოქტორანტი

ინვესტიციების ეფექტების შეფასება ზოგადი წონასწორობის მოდელით საქართველოში

ზოგადი წონასწორობის მოდელების (CGE) გამოყენება მნიშვნელოვანია სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიაში. თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გამოკვლევა ვერ მოხერხდება საფასო მექანიზმის გათვალისწინების გარეშე. CGE მოდელი, რომელიც ფასის მექანიზმს მიესადაგება, იკვლევს თანამედროვე პოლიტიკის საკითხებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ფართოდ გამოიყენება ისეთი ტიპის ანალიზისას, როგორიცაა ინვესტიციების, საგადასახადო რეფორმის და სხვადასხვა პროექტების შედეგების შეფასება. CGE მოდელის გამოყენების პოტენციალი საკმაოდ დიდია და ის ბევრ მკვლევარს იზიდავს. დღევანდელ მსოფლიოში ადაპტირებული მეთოდია ზოგადი წონასწორობის მოდელების გამოყენება, განსაკუთრებით ადაპტირებული მეთოდია განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. CGE მოდელის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მისი კომპლექსური სტრუქტურა, რის გამოც ძნელია ბოლომდე გაიაზრო მიღებული შედეგების მიზეზი. სწორედ ამიტომ, CGE მოდელს ხშირად შავ ყუთსაც ეძახიან, რადგან აღნიშნული მეთოდი იძლევა შედეგს, თუმცა, ძნელია მისი ახსნა.

დღევანდელ მსოფლიოში რესურსების ეფექტიანად განაწილების პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ეს იყო თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ. განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დახმარებას იღებენ განვითარებული ქვეყნებიდან და, შესაბამისად, წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკის ძირითადი ამოცანა - შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გადანაწილება.

რესურსების განაწილება ალტერნატივების არჩევის საკითხია. წარმოებული პროდუქცია შეიძლება იქნეს ექსპორტირებული ან ადგილობრივად მოხმარებული. ექსპორტი დამატებითი შემოსავალია, რაც მეტი იმპორტის საშუალებას გვაძლევს. იმპოტირებული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია შეიძლება მოხმარებული იყოს შინამეურნეობების ან წარმოებების მიერ, როგორც შუალედური მოხმარების პროდუქტი. შინამეურნეობების მოხმარება განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობას, მაშინ, როცა მეტი შუალედური პროდუქტი ხელს უწყობს წარმოებული პროდუქციის ზრდას. რადგან ეკონომიკაში ბევრი მოთამაშეა,

ისეთები, როგორიცაა შინამეურნეობები, მთავრობა, ფირმები, ძნელია მათ შორის რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების ამოცანის გადაჭრა მოცემული შეზღუდულობების გათვალისწინებით, იქნება ეს რესურსების, თუ ტექნოლოგიური შეზღუდვები.

მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად მძლავრი იარაღია საფასო მექანიზმი, რასაც ქცევის ოპტიმიზაციის ეკონომიკური თეორიები განიხილავს. შინამეურნეობები და ფირმები გადაწყვეტილებებს იღებენ ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე. მომხმარებლები ცდილობენ სარგებლიანობის მაქსიმიზაციას მოცემული საბიუჯეტო შეზღუდვისა და ფასების პირობებში. ფირმები ცდილობენ მოგების მაქსიმიზაციას მოცემული წარმოების ტექნოლოგიის პირობებში. ამ ოპტიმიზაციის ამოცანების ამონახსნი გვაძლევს მიწოდება-მოთხოვნის სქემებს და ბაზარზე წონასწორობა მყარდება ფასის კორექტირებით. სწორედ ესაა საფასო მექანიზმი. ზოგადი წონასწორობის მოდელი ასეთ საბაზრო ეკონომიკებს ასახავს რაოდენობრივი ფორმით.

რესურსების ეფექტიანი განაწილება თეორიული საკითხი არ არის. ძალიან ხშირად გვესმის ამა თუ იმ შემოღებული რეგულაციების, განხორციელებული ინვესტიციების თუ სხვა რეფორმების შესახებ დღევანდელ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მიმართულია კეთილდღეობის ასამაღლებლად და რესურსების უფრო ეფექტიანად გასანაწილებლად, მნიშვნელოვანია, რომ შედეგების წინასწარი გათვლები აჩვენო ყველა დაინტერესებულ მხარეს. რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა იყოს არა მარტო ხარისხობრივი არამედ რაოდენობრივი მონაცემებიც. დათვლილი უნდა იყოს თუ რა გავლენა ექნება, მაგალითად, კონკრეტულ სექტორში ინვესტიციას მთლიან ეკონომიკაზე, როგორ შეიცვლება მშპ, ქვეყნის იმპორტი/ექსპორტი, რა გავლენა ექნება სხვა სექტორებზე, წარმოების რაოდენობასა და ფასებზე, როგორ აისახება აღნიშნული შინამეურნეობების კეთილდღეობაზე, შემოსავლების უთანასწორობაზე და ა.შ. სწორედ მსგავსი ტიპის შეკითხვებს პასუხობს ზოგადი წონასწორობის მოდელი.

კონკურენტული ბაზრების ზოგადი წონასწორობის მოდელი თავდაპირველად შეიქმნა ცნობილი ეკონომისტის ლენ ვალრასის (Léon Walras) მიერ. მოგვიანებით, მოდელის განვითარებაში, კერძოდ კი წონასწორობის არსებობისა და მისი მდგრადობის დამტკიცებით, წვლილი შეიტანეს ეკონომისტებმა ეროუმ და დებრიუმ (Kenneth Arrow, Gérard Debreu). პირველი სრულყოფილი CGE მოდელი შეიქმნა 1960 წელს ნორვეგიის მაგალითზე და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა. დღეს CGE მოდელებით აანალიზებენ ინვესტიციების, სატარიფო შეთანხმებების, რეგულაციებისა და სხვადასხვა რეფორმების ეფექტებს. ზოგადი წონასწორობის

მოდელებს იყენებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო სასურსათო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი (IFPRI) და სხვ.

საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოდელირებისთვის ვიყენებთ ე.წ. MPSGE მათემატიკური პროგრამირების სისტემას ზოგადი წონასწორობისათვის. ეს სისტემა ეფუძნება რთული/შედგენილი ჩანაცვლების მუდმივი ელასტიკურობის მქონე საწარმოო ფუნქციებს.

მოდელირების კოდი იწერება პროგრამაში GAMS (Generalized Algebraic Modelling System), რომელიც განზოგადებული ალგებრული მოდელირების სისტემას წარმოადგენს. ეს პროგრამა შეიქმნა 1988 წელს მსოფლიო ბანკის თანამშრომლის ალექს მირაუს (Alex Meeraus) მიერ. მას შემდეგ GAMS ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ამოცანების ამოსახსნელად.

MPSGE მოიცავს კონკრეტული არაწრფივი განტოლებების კლასს, თუმცა GAMS ნებისმიერი ტიპის ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნა შეუძლია, და განსხვავებით MPSGE-სგან, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური წონასწორობის მოდელებში იყენებენ, GAMs-ი გამოიყენება ბევრ სხვადასხვა დისციპლინაში.

MPSGE-ს ყველაზე ღირებული და მიმზიდველი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამირების რთული ნაწილი უკვე შესრულებულია და მზა ფორმით მოიცემა. GAMS/MPSGE ინტერფეისი კომერციულად ხელმისაწვდომია უკვე 1993 წლიდან და დღეს მრავალი ეკონომიკური ანალიზი ემყარება ამ მოდელს.

ჩვენ სიმულაციურად ავსახეთ ექვსი სხვადასხვა სცენარი, რომელთა შედეგებიც საწყის სცენარს, ინვესტიციის განხორციელებამდე არსებულ სურათს ედარება. პირველ ხუთ სცენარში გამოთვლილია შედეგები ფონდის სრული კაპიტალის ხუთ სხვადასხვა სექტორში ინვესტიციის შემთხვევაში. ამით უფრო ნათლად ჩანს თითოეული სექტორის გავლენა მთლიანად ეკონომიკაზე. მეექვსე სცენარი წარმოადგენს კომბინირებული ინვესტიციის სტრატეგიას. პროცენტული გადანაწილება ავიღეთ საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ დაანონსებულ თითოეულ ამ სექტორში სავარაუდო ინვესტიციების მოცულობის შესაბამისად.

როგორც მოსალოდნელია, ინვესტიცია თითოეულ კონკრეტულ სექტორში ხელს შეუწყობს ამ სექტორის მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას. გაიზრდება ამ ფირმების წარმოება და შესაბამისად მათი მოთხოვნა კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და შუალედური მოხმარების ნედლეულზე, რაც ეკონომიკაზე აისახება საბოლოო ჯამში.

იქიდან გამომდინარე, რომ მოდელი სტატიკურია, შედეგების დროში განაწილებას არ იძლევა და ნებისმიერი ეფექტი საშუალოვადიან პერიოდზე იგულისხმება. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის საშუალოვადიანი პერიოდი დაახლებით 5-6 წელს გულისხმობს. არ არის მარტივი იმის ახსნა, თუ რატომ იძლევა მოდელი ამა თუ იმ შედეგს. ყველა ეს სექტორი ურთიერთგადაჯაჭვულია, თითოული მათგანი თავის წარმოებაში იყენებს სხვა სექტორის პროდუქტს და ა.შ. ამასთან, მოდელის დაშვების მიხედვით, მუშახელი არის მობილური/მოქნილი ქალაქსა და სოფელს შორის, ასევე, არ გვყავს სექტორზე მიბმული მუშახელი, ასე რომ, მუშახელს თავისუფლად შეუძლია ერთი სექტორიდან მეორეში გადასვლა. მოდელში დავუშვით, რომ სამუშაო ძალა სრულიად მობილურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგან სახეზე გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა გეოგრაფიული მახასიათებლებისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე, დავუშვით, რომ ადგილმდებარეობის, ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ჩარჩოების გამო კაპიტალი ნაკლებ მობილურია.

თანაინვესტირების ფონდის მსგავსად, ინვესტირების სცენარებისთვის შერჩეული სექტორებია: სოფლის მეურნეობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა (ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-მიწოდება), სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. პირველი ხუთი სიმულაცია მდგომარეობს 1 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებაში თითოეულ ამ სექტორში. ბოლო სიმულაციაში თანხა ნაწილდება ამ ხუთ სექტორზე (იხილეთ დიაგრამა 1).

	საყურადღებო სექტორი	**სცენარი**
სცენარი 1	სოფლის მეურნეობა (აგრ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 2	დამამუშავებელი მრეწველობა (მრეწ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 3	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-მიწოდება (ელ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 4	სასტუმროები და რესტორნები (სასტ.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 5	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (ტრან.)	1 მილიარდი ლარის ინვესტიცია
სცენარი 6	აგრ. მრეწ. ელ. სასტ. ტრან.	1 მილიარდი ლარის დივერსიფიცირებული ინვესტიცია: აგრ: 8%, მრეწ: 23%, ელ.: 46%, სასტ.: 15%, ტრან: 8%,

დიაგრამა 1. სცენარების აღწერა

ინვესტირების სტრატეგიის წარმატება არაერთ სოციო-ეკონომიკურ ასპექტზე უნდა აისახოს. ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები (1) უმუშევრობის დონის ცვლილება, (2) ვაჭრობის მაჩვენებლის

შეცვლა, (3) ნომინალური მშპ-ს ცვლილება და (4) რეალური ხელფასების ცვლილება. შედეგები ასახულია ცხრილში 1.

უმუშევრობის მაჩვენებელზე ასახული შედეგები: სცენარი 1. სამუშაო ძალაზე დიდი მოთხოვნის გამო სოფლის მეურნეობაში ინვესტირება ამცირებს უმუშევრობის დონეს 15.1%-დან 10.3%-მდე, უმუშევრობის დონე სოფლებში მცირდება 6.5%-დან 5%-მდე, ხოლო ქალაქში დ 26.5%-დან 17.4%-მდე. **სცენარი 2.** დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება საუკეთესო შედეგს იძლევა და უმუშევრობის მაჩვენებელს 7.1%-მდე ამცირებს. ქალაქად უმუშევრობა 15.8%-მდე იკლებს, ხოლო სოფლად, უმუშევრობის პრობლემა თითქმის აღმოიფხვრება (0.6%). ასეთი მასშტაბური გავრცობითი ეფექტის ქონას სამუშაო ძალის მობილურობა განაპირობებს. **სცენარი 3**. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაში ჩადებული ინვესტიციები უმუშევრობას 10.8%-მდე ამცირებს. ამ მაჩვენებლით სექტორი ერთ-ერთი ყველაზე არამიმზიდველია. **სცენარი 4.** რესტორნებსა და სასტუმროებში ინვესტირებას ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს უმუშვრობის პრობლემის მოგვარებაზე. სავარაუდოდ, ამის მიზეზია ის, რომ ეს სექტორი ეკონომიკის სხვა სექტორებთან ნაკლებადაა დაკავშირებული, რაც გავრცობითი ეფექტის პოტენციალზე უარყოფითად აისახება. მაგალითად, დამამუშავებელი მრეწველობა ფართოდ მოიხმარს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როგორც შუალედური მოხმარების ნედლეულად და, შესაბამისად, ინვესტიციის ჩადება დამამუშავებელ მრეწველობაში სოფლის მეურნეობის სექტორზეც დადებითად აისახება. თუმცა, ეს არ აკნინებს ტურიზმის სექტორის მნიშვნელობას. შედეგების ინტერპრეტაციაა მნიშვნელოვანი და ცხადია – ტურიზმი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სასტუმროები და რესტორნები. თუნდაც იმავე ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგები ტურიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია. **სცენარი 5**. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება მეორე საუკეთესო ვარიანტია უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. უმუშევრობის დონე 7.6%-მდე იკლებს. **სცენარი 6.** – ინვესტიციის დივერსიფიცირება მესამე ადგილზეა საუკეთესო ვარიანტებს შორის. უმუშევრობა დივერსიფიცირებული პორტფელის შემთხვევაში 8.9%-მდე მცირდება.

ცხრილი 1

უმუშევრობის მაჩვენებელზე ასახული შედეგი

	საქართველო	ქალაქი	სოფელი
საწყისი	15.1%	26.5%	6.5%
სცენარი 1 (აგრ.)	10.3%	17.4%	5.0%
სცენარი 2 (მრეწ.)	**7.1%**	**15.8%**	**0.6%**
სცენარი 3 (ელ.)	10.8%	19.8%	4.0%
სცენარი 4 (სასტ.)	12.9%	22.7%	5.6%
სცენარი 5 (ტრან.)	**7.6%**	**16.6%**	**0.8%**
სცენარი 6 (დივერსიფ.) :	8.9%	18.8%	1.5%

ვაჭრობაზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება საუკეთესო შედეგს გვაძლევს ვაჭრობის კუთხით: ექსპორტი 41%-ით იმატებს, ხოლო იმპორტი – 11%-ით. მეორე საუკეთესო ალტერნატივაა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება, რაც ექსპორტს 33%-ით, ხოლო იმპორტს 8%-ით ზრდის. კომბინირებული ინვესტიციის შემთხვევაში კი (სცენარი 6) ექსპორტი 24%-ით, ხოლო იმპორტი 8%დით იმატებს. სოფლის მეურნეობას რაც შეეხება, ამ სექტორში ინვესტიციები 19%-ით ზრდის ექსპორტს, ხოლო იმპორტი 7%-ით მატულობს.

ცხრილი 2

ვაჭრობაზე ასახული შედეგები

	% ცვლილება ექსპორტში	% ცვლილება იმპორტში
სცენარი 1 (აგრ.)	19%	7%
სცენარი 2 (მრეწ.)	41%	11%
სცენარი 3 (ელ.)	17%	6%
სცენარი 4 (სასტ.)	13%	6%
სცენარი 5 (ტრან.)	33%	8%
სცენარი 6 (დივერსიფ.)	24%	8%

მშპ-ზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირებას თითქმის ერთნაირი შედეგი აქვს ნომინალურ მშპ-ზე. ორივე შემთხვევაში მშპ იზრდება 14–15%-ით. ყველაზე ნაკლებ ეფექტურია სასტუმროებსა და რესტორნებში ინვესტირება, რაც მშპ-ს მხოლოდ 3%დით ზრდის. სოფლის მეურნეობაში ინვეს-

ტირება ისეთივე შედეგიანია, როგორც დივერსიფიცირებული ინვესტირება. ორივე შემთხვევაში ნომინალური მშპ 8%-ით იმატებს.



დიაგრამა 2. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ცვლილება

რეალურ ხელფასებზე ასახული შედეგები: დამამუშავებელ მრეწველობაში ჩადებული ინვესტიცია რეალურ ხელფასებს 6.9%-ით ზრდის და ამდენად საუკეთესო ალტერნატივაა. მეორე ადგილზეა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება 6.1%-იანი მატების მაჩვენებლით. ასეთი შედეგი არ არის გასაკვირი, რადგან უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე ყველაზე დიდ როლს თამაშობს დამამუშავებელი მრეწველობა და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. სოფლის მეურნეობის სექტორში ჩადებული ინვესტიციები დაახლოებით 5%-ით ზრდის რეალურ ხელფასს.

ცხრილი 3

რეალური ხელფასების ზრდა

	% ცვლილება რეალურ ხელფასში
სცენარი 1 (აგრ.)	4.9%
სცენარი 2 (მრეწ.)	**6.9%**
სცენარი 3 (ელ.)	2.9%
სცენარი 4 (სასტ.)	2.1%
სცენარი 5 (ტრან.)	**6.1%**
სცენარი 6 (დივერსიფ.)	4.0%

შევისწავლეთ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გამოშვებასა და ფასებზე ასახული შედეგებიც, მათ შორის მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- სასტუმროებსა და რესტორნებში ინვესტიციას ყველაზე ნაკლები გავრცობითი ეფექტი აქვს. მე-4 სცენარის მიხედვით, ამ სექტორის გამოშვება გაზრდილია 128%-ით, ხოლო სხვა სექტორებში გამოშვების მაჩვენებელზე შესამჩნევი ცვლილებები არ აღინიშნება (მეთევზეობის გარდა, სადაც გამოშვება 34%-ით იმატებს, მაგრამ ამ სექტორის მცირე მასშტაბების გათვალისწინებით ეს ცვლილება ვერ ჩაითვლება დიდ მატებად). გავრცობითი ეფექტი ფასებთან მიმართებაშიც არ აღინიშნება.
- დამამუშავებელ მრეწველობაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე მიმზიდველ ალტერნატივებია წარმოების ზრდის თვალსაზრისით. დამამუშავებელი მრეწველობაში ინვესტირების შემთხვევაში გამოშვება ხუთივე სექტორში 20%-ზე მეტად იზრდება.
- სოფლის მეურნეობაში ინვესტირება ამ სექტორის გამოშვებას 31%-ით ზრდის. პარალელურად იზრდება დამამუშავებელი მრეწველობის გამოშვება 19%-ით. აგროპროდუქციაზე ფასები კლებულობს 17%-ით, ხოლო სხვა სექტორების პროდუქციებზე ფასების ცვლილება მერყეობს 1-2%-ს შორის.
- კომბინირებული ინვესტიცია ხელს უწყობს სასაქონლო ფასების დაბლა დაწევას. იგივე ეფექტი აქვს ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების სექტორში ინვესტირებას. საპირისპირო შედეგებია ასახული სხვა სცენარებში. ამგვარი სურათი ბუნებრივია, რადგან ელექტროენერგია უმნიშვნელოვანესი რესურსია ყველა სახის წარმოებისთვის.

თუ დავაკვირდებით ინვესტიციის შედეგებს სხვადასხვა ინდიკატორებზე (მშპ, სამუშაო ადგილების შექმნა, სახელფასო განაკვეთები, საგაჭრო ბალანსი), შესამჩნევი მათ შორის გარკვეული ალტერნატივებია. თუკი ინვესტიცია ერთ-ერთ სექტორში მშპ-ს მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ზრდის, განსხვავებულ სექტორში ინვესტიციას აქვს საუკეთესო მაჩვენებელი ფასების კლების თვალსაზრისით. მე-6 ცხრილში მოცემულია სცენარების შედეგები და შეფასება 1-დან (საუკეთესო) 6-მდე (ყველაზე ცუდი).

ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გათვალისწინებით, საუკეთესო ვარიანტებია დამამუშავებელ მრეწველობაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ინვესტირება (სცენარი 2 და 5). სხვა სცენარებთან შედარებით, ორივე შემთხვევაში მოცემულია უმუშევრობის დაბალი მაჩვენებე-

ლი, მაღალი სახელფასო განაკვეთები, მშპ-სა და სავაჭრო ბალანსის უფრო მაღალი მაჩვენებელები სხვა სცენარებთან შედარებით.

მე-3 და მე-4 სცენარები უფრო ცუდ შედეგებს გვაძლევს სოფლის მეურნეობაში ინვესტირებასთან შედარებით. დიაგრამაში 3 დ ყველა მაჩვენებელი შედარებით უკეთესია აღნიშნულ სცენარებთან შედარებით. მშპ-ს მაჩვენებელის მიხედვით, კომბინირებული ინვესტირების შემთხვევა ოდნავ უკეთესია, ვიდრე სცენარი 1 (სოფლის მეურნეობაში ინვესტირება), მაგრამ დასაქმების თვალსაზრისით ნაკლებ შედეგიანია.

	უმუშევრობა	**სახელფასო განაკვეთები**	**მშპ**	**სავაჭრო ბალანსი**
სცენარი 1 (აგრ.)	4	3	3	4
სცენარი 2 (მრეწ.)	**1**	**1**	**1**	**1**
სცენარი 3 (ელ.)	5	5	5	5
სცენარი 4 (სასტ.)	6	6	6	6
სცენარი 5 (ტრან.)	**2**	**2**	**2**	**2**
სცენარი 6 (დივერსიფ.)	3	4	4	3

დიაგრამა 3. რეიტინგი (1- საუკეთესო, 6-ყველაზე ცუდი)

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში მხოლოდ ექვსი სცენარი განვიხილეთ, ნაშრომში ეკონომიკის სხვასხვა სექტორში რესურსების გადანაწილების ოპტიმალური ვარიანტის დანახვა მაინც შეიძლება. ამჟამინდელი მოდელის შესაძლებლობების გასაუჯობესებლად უფრო დეტალური კვლევაა საჭირო ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა სამუშაო ძალის არასრული მობილურობა, სამუშაო ძალის მიგრაცია და სხვა.

ლაშა ლაბაძე
თსუ-ს დოქტორანტი

ინვესტიციების ეფექტების შეფასება ზოგადი წონასწორობის მოდელით საქართველოში

ანოტაცია

ზოგადი წონასწორობის მოდელები ფართოდ გამოიყენება პოლიტიკის ანალიზისას, ის იძლევა სხვადასხვა ალტერნატივების მოდელირების საშუალებას და შესაძლებლობას, დავინახოთ, თუ რა გავლენას ახდენს ეს სცენარები თითოეულ ეკონომიკურ სექტორზე, დასაქმებაზე, კეთილდღეობაზე და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგადი წონასწორობის

მოდელი არის სიმულაციური ლაბორატორია, რომელიც ასახავს „რეალურ სამყაროს“. ზოგადი წონასწორობის მოდელები მსოფლიო მასშტაბით რეგულარულად გამოიყენება მთავრობების პოლიტიკის ფორმულირებაში. მთელი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი მოდელები გვეხმარება ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავებაში არაპირდაპირი საპასუხო ქმედებებისა და გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით.

დგას შეკითხვა "შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, სად არის საუკეთესო ინვესტირება?" აღნიშნულ კვლევით ნაშრომში ჩვენ შევქმენით ზოგადი წონასწორობის მოდელი საქართველოსთვის და განვიხილეთ ინვესტიციების ალტერნატიული ვარიანტები. ჩვენი მიზანი იყო, გვენახა საქართველოს ეკონომიკის ის მამოძრავებელი სექტორები, სადაც ინვესტირება საუკეთესო შედეგებს იძლევა სხვადასხვა ეკონომიკურ პარამეტრებზე: სამუშაო ადგილების შექმნაზე, მშპ-ს ზრდაზე, სავაჭრო ბალანსზე, შემოსავლების უთანასწორობასა და ფასებზე. გაანალიზებული გვაქვს ის შემთხვევებიც, როცა კონკრეტული სცენარი ერთ ინდიკატორს აუჯობესებს სხვების გაუარესების ხარჯზე.

Лаша Лабадзе
Докторант в ТГУ

ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ ИНВЕСТИЦИЙ В ГРУЗИИ С МОДЕЛИ ОБЩЕГО РАВНОВЕСИЯ

Аннотация

Модель Общего Равновесия широко используеться для анализа экономической политики, так как она предоставляет возможность использовать разные конртарфакты и наблюдать общий эффект на экономические сектора, беработицу и благосостояние населения. Другими словами, модель Вычисляемого Общего Равновесия (CGE) предоставляет так называемую симуляционную лабораторию, очень схожую с реальным миром. CGE в нынешнее время очень часто используеться государствами для формирования курса и дебатов. Общая идея CGE помогает разработать оптимальные курсы включая ответные и косвенные связи общего равновесия.

Куда лучше инвестировать, в рамках ограниченного бюджета ? - это очевидный вопрос. В этой теме исследования, ми создали CGE модель для Грузии, в которой мы рассмотрели альтернативыне политики имеющие эквивалентный денежный инвестиционный уровень, но производят разные уровни доходов. Наша цель- подчеркнуть основные стратегии для Грузии в условиях ограниченного бюджета. Основные показатели для доходов: создание занятос-

ти, рост ВВП, торговый баланс, неравенство доходов и цены, в условиях того что некоторые курсы приносит положительные результаты одним показателям в ущерб другим.

Наблюдая за эффектом инвестиций на эти разнообрызные показатели, мы можем заметить компромисс между ними. Инвестиции в один сектор приводят к увеличению ВВП, другой сценарий приводит к уменьшению цены сбыта на продукты.

Lasha Labadze
PhD student at TSU

ASSESSING THE EFFECTS OF INVESTMENTS IN GEORGIA WITH GENERAL EQUILIBRIUM MODEL

Annotation

General equilibrium models are widely used for policy analysis, while it gives possibilities to play with different counterfactuals and see the overall effect on each economic sectors, employment, welfare, etc. In other words CGE model provides a simulation laboratory, acting like a "real world". CGE models today are regularly used by governments in policy formulation and debate. The whole idea is that CGE helps to design optimal policies by mapping out policy response relationships and indirect general equilibrium links.

"Within a limited budget, where best to invest?" is an obvious question. In this research theme, we create CGE model for Georgia and consider alternative policies that have equivalent monetary investment levels, but generate different levels of returns. Our goal is to highlight key strategies for Georgia under a limited budget assumption. The main indicators for return are: employment creation, GDP growth, trade balance, income inequality and prices, where some policies benefit one indicator at the expense of another.

Observing the effects of the investments on these different indicators one can see the trade-offs between them. While investment in one sector leads to a significant increase in GDP, another scenarios leads us to a lowered selling prices for the commodities.

სიახლე

მონოგრაფია საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე

გამოიცა ეკონომიკურ მეცნირებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ჯიბუტის წიგნი "საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები"*. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საფუძვლიან გამოკვლევას საქართველოს სოფლის მეურნეობისა და აგრარულ-სამრეწველო სფეროს აქტუალურ პრობლემებზე. იგი მოიცავს აგრარული პოლიტიკის საკითხების მეტად ფართო წრეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოსტკომუნისტური პერიოდის აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში ესაა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც კომპლექსურადაა გაშუქებული აგრარული სექტორისა და აგრარულ-სამრეწველო სფეროების განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის საკითხები. წიგნში გაანალიზებულია გარდამავალ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მკვეთრი შემცირებისა და დაცემის მიზეზები, მიწის განაწილებისა და მთლიანად აგრარული რეფორმის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომები.

ავტორი, ჩვენი აზრით, მეცნიერულად საკმაოდ სწორი პოზიციიდან, კრიტიკულად განიხილავს უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობების "სოფლის მეურნეობისადმი უპასუხისმგებლო" დამოკიდებულებას, "რეფორმების ნაჩქარევად და არათანმიმდევრულად" განხორციელებას. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ "არ იქნა შემუშავებული აგრარული რეფორმის გატარების და მისი ეფექტიანი მართვის წინადადებები და რეკომენდაციები. არ იყო განსაზღვრული აგრარული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები და აგრარული სექტორის ეკონომიკის პრიორიტეტული განვითარების ძირითადი მიმართულებები"; "სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილების და ტრადიციების, საზოგადოებრივი ინტერესების გაუთვალისწინებლად".

სწორად მიგვაჩნია ავტორის პრინციპული პოზიცია, რომ ქვეყანაში არსებული აგრარული და აგროსამრეწველო სექტორების კრიზისუ-

---

* გამომცემლობა "დარბეგი", თბილისი, 2014 წ, გვ. 309; რედაქტორი ნოდარ ჭითანავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; რეცენზენტი თამაზ კუნჭულია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ლი მდგომარეობიდან გამოსაყვანად უარყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფოს ჩაურევლობის ნეოკლასიკური შეხედულებები და კურსი აღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების მიმართულებით (კეინზისა და ნეოკეინზიანელთა პრინციპების გათვალისწინებით).

ნაშრომში საფუძვლიანადაა გაშუქებული საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის ნედლეულის მიუწოდებლობის მიზეზები. სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია, კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, მოსახლეობის ფაქტობრივი მოხმარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა.

მართებულად მიგვაჩნია ავტორის პოზიცია, როდესაც იგი ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი სასურსათო პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზე. ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა და კვების პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარების დაახლოება მოხმარების რაციონალურ, ფიზიოლოგიურ ნორმებთან, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს კვების მრეწველობის და გარკვეულად მსუბუქი მრეწველობის განვითარებასაც და ამით შეასრულოს სოფლის მეურნეობის "ორერთიანი" ამოცანა.

სოფლის მეურნეობის დარგის დამახასითებელ საერთო ნიშნებთან და განვითარების კანონზომიერებებთან ერთად, ნაშრომში ვრცლადაა განხილული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებანი: მცირე მიწიანობა, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, რეგიონების მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ყველა სახის კლიმატისა და ნიადაგების არსებობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილის რთული გაადგილება და კონფიგურაცია, სავარგულების მორწყვისა თუ დაშრობის მწვავე აუცილებლობა, მთისწინებისა და მთებში მრავალნაკვეთიანობა, მათი მკვეთრი დახრილობა, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მეტისმეტად დაბალი დონე და სხვა სპეციფიური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ რისკებს.

ეკონომიური აზრის თვალსაზრისით წიგნში განხილულია საინტერესო ანტიკური პერიოდის და ფიზიოკრატების შეხედულებები სოფლის მეურნეობების მნიშვნელობაზე; გაშუქებულია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის იმდროინდელ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალო-

ბას. ნაშრომში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიული ექსკურსი, რომელშიც ყურადსაღებია როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთების, ისე, განსაკუთრებით, გასაბჭოების პირობებში განხორციელებული ტრანსფორმაციების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილების, აგრარული რეფორმების განხორციელების, სოფლად საკუთრებითი და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების საკითხებს. ასევე, ყოველმხრივ განიხილება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის კატასტროფულად შემცირების პროცესი, რამაც განაპირობა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების განადგურება და აგრო-სამრეწველო სფეროს დისპროპორციების წარმოქმნა.

მართებულია ავტორის დასკვნა, რომ: "საქართველოში სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დროს. ეს პროცესი ყოველგვარი გეგმისა და წინასწარი გააზრების გარეშე წარიმართა"; შედეგად "ხელაღებით დაშალეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. დაიტაცეს ადრე მათ საკუთრებაში არსებული ქონება". "სოფელი დარჩა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. საქართველოში დაიწყო არქაულ ტექნოლოგიასა და ხელით შრომაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობის რეანიმაციის პროცესები". განსაკუთრებით მწვავე ირონიით აკრიტიკებს ავტორი "ნაციონალების" მთავრობის, "ლიბერტანიანელი და "კოლბერიანელი" ეკონომიკური რეფორმების აღიარებული "მამის" მიერ გატარებულ სოფლის "გაჩანაგებისა და ძარცვის პოლიტიკას"(იხ. გვ. 63-66).

მიწების განაწილების სტატიტიკური მონაცემების სათანადო ანალიზის საფუძველზე ავტორი მართებულად ასკვნის, რომ საქართველოში 1992-1996 წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება (საკუთრება და იჯარა) წარუმატებლად განხორციელდა. რეფორმის შედეგებს ავტორი აგრარული სფეროს განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად განიხილავს. ავტორის აზრით, გაუნაწილებელი სავარგულების რაოდენობა, ე.ი. რაც დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში, შეადგენს 1332700 ჰა-ს, მთლიანი სავარგულების 44,8% (გვ. 72-73).

ვფიქრობთ ეს მონაცემი საჭიროებს დაზუსტებას, დღეისათვის მიწების ფაქტობრივი განაწილების სტატისტიკური მონაცემების განახლებული ბაზის შექმნა მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2004-2012 წლებში გაუქმდა მიწების განაწილების სტატისტიკის წარმოება და სწორედ ამ პერიოდში სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გაყიდული ან გაცემულია.

ამავე პერიოდში მოხდა ასევე იჯარით გაცემული ნაწილი სავარგულების იძულებითი ფორმებით ჩამორთმევა და გადანაწილება.

ნაშრომში შემდგომ მოცემულია სწორ დასკვნა, რომ "დღეისათვის არ არის დაზუსტებული თუ რა რაოდენობის სავარგულებია ქვეყანაში, რამდენია ინტენსიური და ნაკლებადინტენსიური, რა რაოდენობის მიწაა კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში, ვინ არის მესაკუთრე, რა რაოდენობით მიწაა გაცემული იჯარით, ქვეიჯარით, ვინ არიან მოიჯარეები და მეიჯარეები, რა რაოდენობის მიწაა გაცემული და ვის მიერ, რა რაოდენობის მიწაა სათემო სარგებლობაში და რა პირობებში" (გვ.77). ავტორის მტკიცებულებით, მიწის კადასტრის განხორციელებული სამუშაოების დიდი ნაწილი უხარისხო და ზერელეა, პასპორტებში შეტანილია დაუზუსტებელი და არასწორი მონაცემები.

ავტორი ვრცლად განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვის საკითხს. იგი მხარს უჭერს მორატორიუმის გაგრძელებას და უცხოელებზე სავარგულების გაყიდვის მკაცრ აკრძალვას. ავტორი ყურადსაღებ დასკვნას იძლევა, რომ "საქართველოში კანონით უნდა აიკრძალოს ქვეყნის არამოქალაქეზე, მისი მოქალაქეობის არმქონე პირებზე და უცხოელებზე მიწების გასხვისება", "ყველასათვის გასაგები უნდა იყოს ის, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყანას წარმოადგენს (იხ. გვ. 286).

ავტორი ავითარებს მოსაზრებას სრულყოფილი მიწის კოდექსის შემუშავებისა და მისი მიღების აუცილებლობაზე, რომელიც გააერთიანებს ყველა სახისა და კატეგორიის მიწის კანონმდებლობას. მისი აზრით, მნიშვნელოვანი შესწორებები უნდა იქნეს შეტანილი კანონში "იჯარის შესახებ", საჭიროა აიკრძალოს ამ კანონით დაშვებული "ქვეიჯარა".

ავტორი ვრცლად განიხილავს საქართველოში აგრარული სექტორის რეფორმირების, საწარმოო-ორგანიზაციული სტრუქტურების რეორგანიზაციის საკითხებს, ეროვნული ტრადიციების, შრომითი ჩვევებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი მეურნეობრიობის ორგანიზაციულ ფორმებსა და ტიპებს. ასევე განიხილავს სექტორში, როგორც სახელმწიფო და კოოპერაციული, ისე კერძო ფერმერული საკუთრების ფორმების განვითარების საკითხებს. გადაუდებელ ამოცანათა რიგში განხილულია წარმოების სპეციალიზაცია ზონების გათვალისწინებით, "სანერგე, სასელექციო, სასწავლო, კვლევითი, საცდელი, საჩვენებელი მეთესლეობის, მეცხოველეობის საჯიშე-სანაშენე მეურნეობების აღდგენას" (გვ.100).

ავტორი აქტუალურად მიიჩნევს საოჯახო მეურნეობების გაერთიანებას (3-10 ოჯახი), კოოპერირებას ერთგვაროვანი საქმიანობის თუ საწარმოო კულტურის მიხედვით, სპეციალიზებული მცირე ზომის ფერმე-

რული მეურნეობების ჩამოყალიბებას. იგი ასევე ავითარებს მოსაზრებას "კლასიკური ტიპის მსხვილი ფერმერული მეურნეობების" საფუძვლის შექმნის აუცილებლობაზე.

ამგვარი პოზიცია, ჩვენი აზრით, გარკვეულად განსხვავებულ კონცეფციად გვევლინება და წარმოადგენს მცდელობას ორი ცნობილი აგრარული სტრატეგიის – "ფართოსაფუძვლიანი" სტრატეგიის, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ფერემერული მეურნეობების სამთავრობო მხარდაჭერაზე და "დუალისტური" სტრატეგიის, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად მსხვილი ფერმერული მეურნეობების სამთავრობო მხარდაჭერაზე – სინთეზის მცდელობას.

კონცეპტუალურად, ავტორი მთლიანად მართებულად თვლის რომ სოფლის მეურნეობის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს როგორც კოოპერატიული პროცესების განვითარებამ, ისე სახელმწიფოს მიერ ფერმერული მეურნეობისათვის მხარდაჭერის პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენებამაც. თუმცა, განვითარების მოცემულ ეტაპზე, რესურსების სიმცირის გამო, მნიშვნელოვანია, თუ როგორი სიდიდის სასოფლო შინამეურნეობების თუ ფერმერული მეურნეობების განვითარებაზე უნდა იყოს უპირატესად ორიენტირებული სამთავრობო აგრარული პოლიტიკა: მცირესა და საშუალოზე თუ მსხვილზე.

ნაშრომში ვრცლადაა გაანალიზებული აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების ამსახველი მონაცემები როგორც სსრკ-ს დაშლამდე (რაც ნათლად გვიჩვენებს სოფლის მეურნეობისა და ასკ-ს სხვა სფეროების არსებულ პოტენციალს), ისე მასში მომხდარი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები გარდამავალ პერიოდში, მოცემულია ავტორისეული ხედვები როგორც ასკ-ს ძირითადი სფეროების, ისე ძირითადი ქვეკომპლექსების განვითარების პერსპექტივებზე.

ნაშრომში განხილული, აქტუალურ საკითხთა წრე მეტად ფართოა და მოსალოდნელია, რომ რიგმა ავტორისეულმა პოზიციამ გამოიწვიოს მეცნიერ-მკვლევართა განსხვავებული შეხედულებები, დისკუსიები. მაგალითად, ჩვენი აზრით, საკამათოა ავტორისეული პოზიცია, რომ "საქართველოს ასკ-ს დარგობრივი სტრუქტურა საჭიროებს აღდგენას", "პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავებისათვის საჭიროა მანქანათმშენებელი საწარმოების აღდგენა" (გვ.172). "ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანად დასახული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა" (გვ. 203).

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელი მრეწველობაში, განვითარების მოცემულ პერიოდში დაგროვილი კაპიტალის სიმცირის ან არარსებობის, ასევე გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი საბანკო კრედიტის არარსებობის ან რთულად ხელმისაწვდომობის გა-

მო, ქვეყანაში მეტად დაბალია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მსხვილი ფერემერული მეურნეობებისა თუ გადამამუშავებელი საწარმოების ერთობლივი მოთხოვნა ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე. ამასთან, საეჭვოა (ამის საფუძველს იძლევა სამამულო მანქანათმშენებლობის სავალალო გამოცდილება), რომ აღნიშნული მანქანები კონკურენტუანარიანი იქნება და შესაძლებელი იქნება მათი იმპორტირება. ამჟამად, ვფიქრობთ, რომ სპეციალისტებმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და გადამამუშავებელი დანადგარების მსოფლიო ბაზარი და საქართველოს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მათ უნდა ურჩიონ თუ რომელი ქვეყნებიდან თუ კომპანიებიდან და რომელი სახეობების ეფექტური და ეკონომიური ტექნიკა და ტექნოლოგიური საშუალებები შეიძინონ ადგილოებრივმა მწარმოებლებმა. მთლიანობაში, ჩვენ ვიზიარებთ ავტორის პოზიციას, საქართველოში ასკ-ის I და მე-III სფეროების განვითარების სამთავრობო ხელშეწყობის საჭიროების თაობაზე.

ვფიქრობთ, ასკ-ს არსებულ პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივების შესახებ პროფ. ა. ჯიბუტის კრიტიკული პოზიცია მთელ რიგ სამთავრობო ქმედებებზე, აგრარული პოლიტიკის მრავალი სადისკუსიო საკითხის წინა პლანზე წამოწევა და ავტორისეული თამამი შეხედულებები მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, მეტად დროულს ხდის მონოგრაფიულ ნაშრომს – "აგრარული პოლიტიკის საფუძვლები". მას აქვს სერიოზული მეცნიერული, როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება აგარარული პრობლემის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის, სახელმწიფო მოხელეებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრობიზნესის, ფერემერების თუ ოჯახური შინამეურნეობების წარმომადგენლებისათვის.

ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს პ. გუგუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ თანამშრომლები:
პროფ. თ. ჩხეიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ლინა დათუნაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ზურაბ რევიშვილი

ინფორმაცია

***

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

***

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შეღავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14
293 22 60; 551 10 07 04.
ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com

ჟურნალ "ეკონომისტში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

ლარის ანგარიში

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 204864548
მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი – TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 708967254

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL "ECONOMISTI"

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an artticle is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 $.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE FRNYUS33
ACC: 021087992 GEORG
Beneficiary's bank:
NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
beneficiary organizatio name
IBAN: GE65NB0331100001150207

ჟურნალი **"ეკონომისტი"**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal **"Economisti"**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**